 კომესტას, პრესიდენტე! A3

გიორგი ღონღაძის მკვლელობის გამოძიებაში სიახლეებია A7

ოსკარის გმირები B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 1 მარტი, 2005 წელი. №46 (906)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

რობორ შევამციროთ ხორბლისა და ფქვილის კონტრაბანდა ბაზარზე?

ადგილობრივ ხორბალსა და ფქვილს საქართველოს ბაზრის დაახლოებით 20 პროცენტი უკავია, დანარჩენი თითქმის მთლიანად იმპორტირებულია.

A4

უცხოეთი

რუსეთს და ევროკავშირს ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენა სურთ

ევროკავშირისთვის უსაფრთხოების საკითხია მთავარი, ხოლო რუსეთი ეკონომიკურ თანამშრომლობაზე აკეთებს აქცენტს.

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

	1/3	2/3	3/3
თბილისი	17	15	16
ქუთაისი	16	16	13
ბათუმი	15	17	12
სოხუმი	9	5	11
ფოთი	14	15	12
თელავი	16	11	12
ზუგდიდი	14	14	13
გორი	13	11	9
ახმეტა	16	11	12
ჭიათურა	14	13	11
გაგრა	6	1	9
სამტრედია	16	16	12

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8350
ევრო	2.4314
ბრიტანეთის სტერლ.	3.5287
რუბლი	0.0662

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
თვალსაზრისი	A3	რევიუ	B3
ეკონომიკა	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
საზოგადოება	A6	თვალსაზრისი	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
რეგიონი	A8	სხვადასხვა	B8

ისევ ის "იულია"

ბიუროკრატიული ბარიერებით არ შეუშალოთ ხელი საქართველოდან იმპორტს - ემუქრება უკრაინელ ჩინოვნიკებს ტიმოშენკო

საქართველოს და უკრაინის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა.

მალხაზ ლანჩავა
კიევიდან

უკრაინელი კოლეგები გვიყვებოდნენ, რომ რევოლუციის შემდეგ აღარ უნახავთ იულია ტიმოშენკო ესოდენ აღელვებული, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტის დროს.

უკრაინის პრემიერი რევოლუციური მიტინგების შემდეგ საკმაოდ თავდაჭერილი ჩანდა და თანამდებობაზე (ბუნებრივია) "იმიჯის შეცვლასაც" ცდილობდა. მაგრამ ქართველებთან შეხვედრებისას ისევ ის "იულია" იყო, რომელსაც ასეულობით ათასი ადამიანი მიჰყვებოდა.

როგორც ჩანს, რევოლუციური ემოცია ამ ქვეყანაში ძალიან დიდხანს არ დაცხრება. ქალბატონმა ტიმოშენკომ კი, ჟურნალისტების (აგრეთვე საკუთარი მთავრობის წევრთა) თანდასწრებით განაცხადა, რომ "უკრაინის რევოლუცია საქართველოს მოვლენებმა განაპირობეს - რაკი მხოლოდ მაშინ დავრწმუნდით, რომ ეს შესაძლებელია".

"უკრაინულ სახლში" ქართული პროდუქციის პრეზენტაციაზე ქალბატონმა ტიმოშენკომ სიტყვით გამოსვლისას დამსწრეთ აუწყა, რომ "გემო გაუსინჯა ჭაჭას, მაგრამ მაინც ფხიზლად გრძნობს თავს".

აქვე უნდა ითქვას, რომ პრეზენტაციას ათეულობით ქართული კომპანია აწყობდა და ბევრი რამ, რაც ამ ღონისძიებაზე გამოიტანეს, თბილისში საერთოდ არ გვინახავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში გაჩნდნენ მხოლოდ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები.

უკრაინა, როგორც არაერთგზის ითქვა, სავსებით "შეთავსებადი ბაზარია" ქართული ნაწარმისათვის, ხოლო მასშტაბით, მას ნამდვილად შეუძლია შეცვალოს რუსეთი.

გაგრძელება A2 გვერდზე

კანონით, პირველ რიგში, ხელისუფლებაა შეზღუდული

და არა ხალხი

მაია ჭალაგანიძე

სასამართლო და თეატრი ერთმანეთს ორშაბათობით ჰგვანან - კვირის ამ დღეს არც ერთშია სპექტაკლები და არც მეორეში პროცესები. მოსამართლესა და პოლიტიკოსს შორის მსგავსებისა რა მოგახსენოთ და განსხვავება კი მათ შეუფერებელ საქციელებშია - პოლიტიკოსმა შეიძლება ძალიან ბერი ისეთი რამ გააკეთოს, რაც მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის მისაღები იყოს, მეორესთვის - მიუღებელი და მაინც დარჩეს პოლიტიკოსად, თან განაცხადოს, რომ ამგვარი უსაქციელობით სწორედ მთელი მოსახლეობის ბედს წყვეტს. "მოსამართლეს ეს თავისუფლება არ აქვს და ის უნდა იყოს მორალური-ეთიკური თვისებებით გამორჩეული ადამიანი, რომელიც სხვა ადამიანის ბედს წყვეტს," - აი, ასე ამბობს უზენაესი სასამართლოს ახალი და ახალგაზრდა თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ჩვენი მოსამართლეების დიდი ნაწილი ამ თვისებებით ვერ გამოირჩევა. 1998-1999 წლებში აგორებული სასამართლო რეფორმების ტალღა უდღეური რომ არ აღმოჩენილიყო, დღეს სულ სხვა სამართლებრივ-ეკონომიკურ-ინტელექტუალურ სივრცეებში ვიცურებდით.

გაგრძელება B1 გვერდზე

ისაუბრეთ & იკითხეთ 24 საათი

იხილეთ B3 გვერდზე

პროფესიული კავშირებისთვის განაჩენი გამოტანილია

მისი აღსრულების შემდეგ, ცეკავშირის ჯერი დადგება

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლებისა და პროფკავშირების დაპირისპირება დასკვნით ფაზაში შედის. ირაკლი ტულუშის გათვლა, რომ მისი უწყების საკუთრებაში არსებული მთელი რიგი ობიექტების დათმობით მმართველი გუნდის გულს მოიგებდა, არასწორი აღმოჩნდა. დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ პროფკავშირების ხელმძღვანელობამ, "ყაიმის" შეთავაზებით, ისინი მოატყუა და ამიტომ, "ტულუშისა და კომპანიის" "დაშამათებას" ითხოვენ. პროფკავშირების "განკულაკების" შემდეგ კი, როგორც ჩანს, ცეკავშირის ჯერი დადგება.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პროფკავშირების ამჟამინდელი ლიდერი ყველა ბრუნვაში მოიხსენიეს.

"ტულუში აბუჩად გვიგდებს. გულმოწყალედ გადმოგვცა სოხუმსა და ლესელიძეში განთავსებული სპორტული ბაზები, მაგრამ უარს ამბობს დააბრუნოს საგარეჯოსა და ახმეტაში არსებული თუნდაც დანგრეული ობიექტები," - გულისწყრომით საუბრობს დეპუტატი გია ნაცვლიშვილი.

მის აღშფოთებას ელენე თევდორაძეც იზიარებს. **"ტულუში თვალში ნაცარს გვაყრის. იგი ფულის გადახდის შემთხვევაშიც კი არ აპირებს, დარბაზებში შეუშვას ის სპორტსმენები, რომლებიც პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან,"** - ცეცხლზე ნავთს ასხამს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

პარლამენტარები უკვე ნანობენ, რომ დაიჯერეს ტულუშის დაპირება პროფკავშირების ქონების 90 პროცენტის სახელმწიფოსთვის ნებაყოფლობით დაბრუნების თაობაზე და შეაჩერეს კანონპროექტი, რომელიც ამ ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებდა. პროფკავშირების თავმჯდომარესა და ეკონომიკის მინისტრს შორის გაფორმებული შეთანხმება დეპუტატებს უსარგებლოდ მიაჩნიათ, რადგან, მათი მტკიცებით, **"ამ დოკუმენტით ტულუში თმობს მხოლოდ იმ ობიექტებს, რომლებიც მას, პრაქტიკულად, არ ეკუთვნის,"** - არაკონტროლირებად ტერიტორიებზე არსებულ ქონებას და იმ ობიექტებს, რომლებშიც დევნილები არიან შესახლებული.

გაგრძელება A2 გვერდზე

დეპრივატიზაცია უკრაინულად

ტიმოშენკოს და იუშენკოს შორის შავმა კატამ გაირბინა?

დიანა ჩაჩუა

დეპრივატიზაციის საკითხი უკრაინაში ისევე აქტუალურია, როგორც პოსტრევოლუციურ საქართველოში. თუმცა, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ განაცხადა, რომ დეპრივატიზაციის პროცესი მხოლოდ რამდენიმე ათეულ საწარმოს შეეხება. ამ განცხადებით ვიქტორ იუშენკომ, ფაქტობრივად, უარყო პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს სიტყვები, რომელიც საზოგადოებას სამი ათასამდე ობიექტის საპრივატიზაციო საქმის გადახედვას დაჰპირდა. უკრაინის პრეზიდენტმა ამ განცხადებით უკრაინის ბიზნეს-ელიტას ნანატრი სიგნალი მისცა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იულია ტიმოშენკო საკუთარი განცხადებებით მოლიპულ გზას დაადგა, რომელმაც ის, შეიძლება, ოპოზიციამდე მიიყვანოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

ცსკო-ს წევრებს იმუნიტეტი უნდა იცავდეს

მოძრაობა "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" ახალი ინიციატივა

არჩევნებზე სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" ახალი ინიციატივით გამოდის, იგი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს საარჩევნი კოდექსში შესატანი დამატებების და ცვლილებების მისეულ ვარიანტს სთავაზობს. ცვლილებათა პროექტის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა როტაციის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს და, რაც მთავარია, ამ ადამიანებს იმუნიტეტი უნდა იცავდეს.

ვერიკო თევზაძე

ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, ცსკო პროფესიული ნიშნის მიხედვით უნდა კომპლექტებოდეს, ოღონდ ერთი მომენტის გათვალისწინებით: საქართველოს პრეზიდენტი, კანონის თანახმად, აღარ უნდა აწარმოებდეს წინასაარჩევნო კამპანიას. **"პრეზიდენტი ქვეყნის ლიდერია და არა რომელიმე კონკრეტული პარტიისა,"** - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ორიგანიზაციის წევრმა მიშა დევდარიანმა. გარდა ამისა, როგორც "ახალი თაობის" წარმომადგენლები ფიქრობენ, ასეთ შემთხვევებში პრეზიდენტის აგიტაცია მაღალი სახელმწიფო მოხელეთათვის გადამდები ხდება. ორგანიზაციის ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, სასურველი იქნება, თუ პრეზიდენტი საკაშვილი მისი წინამორბედის დარად, მმართველ პარტიას დატოვებს.

"ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" კანონპროექტი ითვალიწინებს შვიდკაციან ცსკო-ს. ცსკო-ს წევრებს პრეზიდენტის წარდგინებით (თითო ადგილზე სამი კანდიდატურა) ამტკიცებს პარლამენტი.

ცსკო-ს თავმჯდომარეს ირჩევენ ექვსი წლით, ხოლო წევრებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ - როტაციის წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ ორ წელიწადში ერთხელ კომისიის ორ-ორი წევრი უნდა შეიცვალოს. ამ პრინციპის მიხედვით, ცსკო-ს ორი წევრი ორი წლის, შემდეგი ორი - ოთხი წლის, დარჩენილი ორი კი ორი წლის ვადით იქნება არჩეული. ორგანიზაციის წევრთა აზრით, ყოველივე ეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მუდმივი განახლების საშუალებას მისცემს. რაც შეეხება იმუნიტეტს, როგორც გუშინდელი პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, მისი შემოღება ცენტრალური საარჩევნო კომიიის წევრთა სრული დამოუკიდებლობისათვის არის საჭირო.

"ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" ცვლილებები ასევე გულისხმობს ცსკო-ს, საოლქო და საუბნო კომისიის წევრთა სერტიფიცირებას შესაბამისი ხარისხების მიხედვით.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ორგანიზაციის 13-კაციანი დელეგაცია, როგორც ეუთო-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მონაწილე, მოკლევადიან დაკვირვებას აწარმოებს მოლდოვის 6 მარტის არჩევნებში. ჩვენი ქვეყნიდან მოლდოვაში კიდევ ორი დამკვირვებელი ჩავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სახით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთლიანად ეუთო-ს დემოკრატიული ინტიტუტების და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის სადამკვირებლო მისია 150 მოკლევადიანი დამკვირვებლითაა დაკომპლექტებული, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვაში ყოველი მეათე დამკვირვებელი ქართველი იქნება.

ისევ ის "იულია"

პირველი გვერდიდან

ზურაბ ნოღაიდელმა უკრაინაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის ამოცანაა, შექმნას პირობები ქვეყანაში კერძო ინიციატივის გამომჟღავნებისათვის. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ახალ მთავრობას თავისი ამოცანა ესმის, როგორც იმ "ჩარჩოს" შექმნა, რომელშიც ბიზნესი შეუფერხებლად იმოქმედებს და განვითარდება.

აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ინფრასტრუქტურის შექმნა, გზების გაყვანა, ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, კრიმინალის აღკვეთა და ასე შემდეგ.

ეს არის კლასიკური "მემარჯვენე" პოზიცია. დაახლოებით ამავე მიდგომას ამჟღავნებდა ნოღაიდელი უკრაინაში სტუმრობის დროსაც.

მისი ამოცანა იყო არა კონკრეტული გადაწყვეტილებების ლობირება, არამედ, ისევ და ისევ, გარემოს შექმნა - ქართული ბიზნესისათვის უკრაინაში ხელ-ფეხის გასახსნელად.

იმაზე მეტი მხარდაჭერა და ლობირება კი რა უნდა ყოფილიყო, როდესაც მთელი უკრაინის თვალწინ, ქართული პროდუქციის პრეზენტაციაზე, უკრაინის ერთ-ერთი ლიდერი (არა მხოლოდ თანამდებობრივად), იულია ტიმოშენკო გემოს უსინჯავდა ქართულ ღვინოს და უკრაინელ "ჩინოვნიკებს" ემუქრებოდა, არ შეეშალათ ხელი საქართველოდან იმპორტისათვის "სხვადასხვა სერტიფიკატების მოთხოვნითა და ბიუროკრატიული ბარიერებით".

ამ თვალსაზრისით, ზურაბ ნოღაიდელის პოზიცია უკრაინაში ვიზიტის დროს, მისი შიდაეკონომიკური პოლიტიკის იდენტურია: მთავრობა აწესებს მხოლოდ თამაშის მკაცრ წესებს (არცთუ ყოველთვის სასიამოვნოსა და ყველასათვის მოსაწონს), ქმნის გარემოს, "კრავს" აუცილებელ ჩარჩოებს - დანარჩენი კი თვით მოთამაშეებმა (სოციუმის აქტიურმა სუბიექტებმა, ამ შემთხვევაში ბიზნესმენებმა) უნდა გადაწყვიტონ.

ნოღაიდელის მხრიდან, ყველაფერთან ერთად, ეს ერთგვარი დემონსტრაციაც იყო პრაგმატული საგარეო პოლიტიკისა. მან მხარი დაუჭირა უკრაინის გაწევრიანებას "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში", მაგრამ არა "რევოლუციური ეიფორიით", არამედ სწორედ იმ აზრით, რომ ამით ქართულ პროდუქციას უკრაინულ ბაზარზე მეტი "გასავალი" და, სამართლიანი კონკურენციით, "შეღწევის" მეტი შანსი ექნება.

მაშასადამე, რევოლუცია, თუკი იგი ქმედითი ხელისუფლებისა და პროგრესული ეკონომიკური სისტემის დაფუძნებას ისახავს მიზნად, იმავდროულად, ყველაზე მეტად პრაგმატულიცაა. პრაგმატულ საფუძველზე კი (ესე იგი ინტერესთა ობიექტური თანხვედრის შედეგად), სახელმწიფოებს შორის ყველაზე მტკიცე კავშირისა და სტრატეგიული თანამშრომლობის მყარი სისტემის დაფუძნებაა შესაძლებელი.

სწორედ ამიტომ, ზურაბ ნოღაიდელს ნამდვილად ჰქონდა უფლება, კიევში განეცხადებინა, რომ "უკრაინისა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა, მრავალწლიანი დეკლარაციების ნაცვლად, ამჟამად კონკრეტული საქმიანობის სტადიაში გადადის".

პიროვნულად, ორივე ქვეყნის ახალგაზრდა ლიდერებს შეიძლება ძალიანაც მოსწონდეთ ერთმანეთი და სიამოვნებდეთ ურთიერთობა. დიდ პოლიტიკაში ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, როდესაც ეს "ზედნაშენი" ინტერესთა სისტემური თანხვედრის საფუძველს ეყრდნობა.

საღამოს შეხვედრები

უკრაინის პრეზიდენტთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე, განხილულ იქნა ენერგეტიკულ სფეროში კონკრეტული პროექტების რეალიზაცია, რომლებიც საქართველოსა და უკრაინის ბაზრების ენერგომამარაგებას ისახავს მიზნად.

მხარეებმა ერთობლივ პროექტებზე მუშაობის გააქტიურების შესაძლებლობები განიხილეს. კერძოდ, ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობაზე საუბრისას იუშენკომ განაცხადა, რომ ტარიფებისა და ნავსადგურებში მოსაკრებლების საკითხებისადმი ერთიანი მიდგომის ფორმირების შესაძლებლობებზე იმსჯელეს. უკრაინის პრეზიდენტის აზრით, **"ეს ერთობლივ პროექტზე ერთობლივად მუშაობის უზრუნველყოფას"** შეუწყობდა ხელს.

გარდა ამისა, იუშენკომ და ნოღაიდელმა უკრაინაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დამდეგი ვიზიტის დეტალებზე იმსჯელეს. ვიზიტი მიმდინარე წლის მარტისთვისაა დაგეგმილი.

ამასთან, გამოიკვეთა, რომ უკრაინა და საქართველო სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება სუუამ-ის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა) აღორძინებას უჭერენ მხარს.

ნოღაიდელთან გამართული შეხვედრის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა ყურადღება სუუამ-ის მუშაობის რეალური შინაარსით შევსების აუცილებლობაზე გაამახვილა.

ზურაბ ნოღაიდელს შეხვედრა ჰქონდა ასევე უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარესთან ვლადიმირ ლიტვინთან.

"უმაღლესი რადა აქტიურად დაუჭერს მხარს იმ შეთანხმებათა რეალიზაციას, რომლებიც საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს შორის იქნა მიღწეული," - განუცხადა ჟურნალისტებს ლიტვინის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა იგორ სტოროჟუკმა.

მისი აზრით, ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ამ მხრივ, შესაძლოა, გახდეს სუუამის წევრი ქვეყნების მორიგი პარლამენტთაშორისი ასამბლეა, რომლის გამართვაც 2005 წლის მაისში იგეგმება.

უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვედრა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბორის ტარასუკთანაც ჰქონდა. საუბრისას საქართველო-უკრაინის თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

24 საათი

პროფკავშირებისთვის განაჩენი გამოტანილია

პირველი გვერდიდან

მოტყუებული კანონმდებლების შურისძიება, ალბათ, ძალიან მკაცრი იქნება. ნოდარ გრიგალაშვილი მოითხოვს, რომ გადამოწმდეს, რა ქონება გაასხვისა პროფკავშირების ხელმძღვანელობამ და სად წავიდა მიღებული თანხა. ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაციით, შარშან ზაფხულში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, პროფკავშირების შეფებმა სულ რაღაც 50 ათასად გაასხვისეს ერთ-ერთი ობიექტი, რომელიც, მინიმუმ, 500 ათასად უნდა შეფასდეს.

ერთი სიტყვით, მომავალ სასესიო კვირაში პარლამენტი ისევ მიუბრუნდება კანონპროექტს, რომელიც პროფკავშირების ქონების ნაციონალიზაციას ითვალისწინებს. გარდა ამისა, კანონში "პროფესიული კავშირების შესახებ" დეპუტატები მეორე მოსმენით შეიტანენ ცვლილებებს, რომლითაც ირაკლი ტუღუშს თავისი ორგანიზაციის წევრების ხელახალი რეგისტრაციის ჩატარებას დაავალდებულებენ.

მოტყუებული კანონმდებლების შურისძიება, ალბათ, ძალიან მკაცრი იქნება.

ირაკლი ლეჟავა/ფოტო

ნათელია, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში პროფკავშირების ხელმძღვანელობას წარმატების მიზერული შანსიც კი არ გააჩნია. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, მომავალში რა ბედი ელის პროფკავშირების ქონებას: დეპუტატებმა მხოლოდ ის "იციან", რომ ეს ქონება პროფკავშირებს აუცილებლად უნდა ჩამოერთვას, მაგრამ ვერაფერს ამბობენ, თუ ვინ უნდა განკარგოს ის.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე უარყოფით კონტექსტში გაიელვა ცეკავშირის სახელმაც. როგორც ჩანს, პროფკავშირებთან ომის დასრულების შემდეგ, ხელისუფლება ამ საკმაოდ მდიდარ ორგანიზაციას მიუბრუნდება.

ორი სიტყვით

თბილისი. 2006 წლიდან საქართველოს თავდაცვის სექტორი ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად დაფინანსდება. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, მომავალ კვირას დეპუტატები "საქართველოს თავდაცვის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის საკითხს განიხილავენ.

კანონპროექტი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მოამზადა. ცვლილებების თანახმად, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტმა წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ორ პროცენტზე ნაკლები არ უნდა შეადგინოს.

როგორც ბიუროს სხდომაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კირკიტაძემ აღნიშნა, ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, 2005 წლისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6-8 პროცენტს უნდა გადააჭარბოს და დაახლოებით 10,8 მილიარდი ლარი უნდა შეადგინოს.

კირკიტაძის განცხადებით, არსებული პარამეტრების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სფეროს დაფინანსება დაახლოებით 216 მლნ ლარით უნდა განისაზღვროს, რაც თავდაცვის სამინისტროსთვის დღეისთვის გამოყოფილ 138 885 000 ლარს საგრძნობლად აღემატება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტი ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისთვის სასჯელს ამკაცრებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიციატივით პარლამენტს ფრაქცია "მაჟორიტარმა" მიმართა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტი უკვე განიხილა და პარლამენტის ბიუროს წარუდგინა დღის წესრიგში ჩასასმელად.

კანონპროექტის ინიციატორთა აზრით, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, თუ აღნიშნული ქმედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, ან არაერთგზის არის ჩადენილი და მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია, თავისუფლების ხუთ წლამდე აღკვეთით უნდა დაისაჯოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობას არ სურს, ბაზრობებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე თამბაქოს ნაწარმით და ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით მოსახლეობასა და მთავრობას შორის დაპირისპირებაში ჩაერიოს.

ეს საკითხი გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განიხილებოდა.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა ზურაბ ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოცემული ნორმატიული აქტი ძალიან ბუნდოვანი და გაურკვეველია. ტყემალაძე მოითხოვს, რომ "საქსტანდარტმა" ვაჭრობის წესი შეიმუშაოს და მთავრობამ ნებისმიერი შეზღუდვა მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს. "მთავრობის გაურკვეველი ნარმომავლობის ბრძანებულება ხვალ არ უნდა ამოქმედდეს, რადგანაც იგი მთელი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის დაწიოკებას გამოიწვევს. მთავრობის ბრძანება არ არის მოყვანილი შესაბამისობაში საქართველოს "სურსათისა და თამბაქოს შესახებ" კანონთან, რადგანაც აღნიშნული კანონი თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების მანიპულირებისა და დაშვების წესებს ადგენს და არა კრძალავს," - აღნიშნა მან.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მოსახლეობის ინტერესების დაცვას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც ითხოვდა და აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობამ მოსახლეობას აკრძალვების პარალელურად, ალტერნატივა უნდა შესთავაზოს.

თუმცა, როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, საქართველოს მთავრობამ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც კონტრაბანდასთან ბრძოლა პრიორიტეტულია და შეზღუდვები ძალაში უნდა შევიდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ორგანიზებით დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" იხსნება ორდღიანი კონფერენცია თემაზე "საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილება". შეხვედრაზე საქართველოს "საარჩევნო კოდექსში" პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულ ცვლილებებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ხელისუფლება ერაყში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში ქართულ სამხედრო კონტინგენტს ზრდის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ვაზიანის სამხედრო ბაზიდან პირველი ქვეითთა ბრიგადის მე-13, "შავნაბადას" ბატალიონის პირად შემადგენლობას დღეს ერაყში პირადად გააცილებენ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და საქართველოში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი პატრისია მოლერი.

558 სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებული დანაყოფი, რომელსაც კაპიტანი გიორგი შენგელია ხელმძღვანელობს, ქალაქ ბაღდადში განლაგდება, სადაც აშშ-ს სამხედრო ძალებთან ერთად სამხედრო ბაზის ტერიტორიას და კოალიციური ძალების ბაზის გარეთ არსებულ ობიექტებს დაიცავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მაღალი ხელფასების დანიშვნას აპროტესტებს.

"ლეიბორისტები" ყველა იმ ნორმატიული აქტის ბათილად ცნობას მოითხოვენ, რომლითაც მთავრობის პირველ პირებს მაღალი ხელფასები დაენიშნათ. გარდა ამისა, "მშრომელთა პარტია" სახელფასო მინიმუმის 150 ლარით განსაზღვრას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის სასწავლო ცენტრში გუშინ რეკრუტების საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) პროგრამის დაწყებისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში პატრისია მოლერი დაესწრნენ.

როგორც ოფიციალურ ცერემონიაზე გამოსვლისას პატრისია მოლერმა განაცხადა, აღნიშნულ პროგრამას ამერიკის მთავრობა 750 ათასი დოლარით აფინანსებს. მის ფარგლებში რეკრუტებს სამხედრო ფორმები და ტაქტიკური წვრთნებისთვის საჭირო აღჭურვილობა გადაეცემათ. წვრთნების დასრულების შემდეგ ეს აღჭურვილობა კრწანისის სასწავლო ცენტრში დარჩება.

სპეციალური ფიზიკური ტესტირების საფუძველზე შერჩეულ 600 რეკრუტს ამერიკელების მიერ განწვრთნილი 41 ქართველი სამხედრო ინსტრუქტორი ცხრა კვირის განმავლობაში მოამზადებს. ამ პერიოდში წვრთნები ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებაში ჩატარდება. რეკრუტების ამ ჯგუფით ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული 1 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის შემადგენლობა შეივსება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ ბრიუსელში გაემგზავრა.

1 მარტს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვა.

მოგვიანებით გაიმართება შეხვედრები ევროკავშირის საბჭოს მდივანთან ხავიერ სოლანასთან და ნატო-ს გენერალურ მდივანთან იაპ დე ჰოოპ სხეფერთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სოხუმი. მაისიდან აფხაზეთში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შიდა სარგებლობის პასპორტების გაცემა დაიწყება.

ამის შესახებ გუშინ აფხზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აფხაზური პარლამენტის წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა.

ბაგაფშის განცხადებით, დღეისათვის ხელისუფლებას 120 ათასი აფხაზური პასპორტი აქვს და ამჟამად საპასპორო კომისიის შექმნის საკითხი განიხილება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, დსთ-ს და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელებს მოუწოდებს, "წინ აღუდგნენ კრემლის აფხაზეთის ანექსიისკენ მიმართულ პოლიტიკას", არ დაუშვან კონფლიქტის შემდგომი კონსერვაცია და უზრუნველყონ აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების მოლაპარაკებათა პროცესში მონაწილეობა.

ამის შესახებ ნათქვამია გუშინ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

"აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, როგორც აფხაზეთის კანონიერი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნების გამომხატველი ორგანო, მხარს უჭერს რა საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სამშვიდობო ძალისხმევას, ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს კონფლიქტის დაკონსერვების მცდელობას და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი დევნილი მოსახლეობის ინტერესების სრულ იგნორირებას," - ნათქვამია განცხადებაში.

უმაღლესი საბჭოს განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ აფხაზეთის ხელისუფლება "გათავისუფლდა ილუზიებისგან" და გამოთქვამს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებათა პროცესში, რომელიც არ იქნება მიმართული დროის გაჭიანურების ტაქტიკაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სოხუმი. სოხუმი მოსკოვს აფხაზეთში ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას სთავაზობს. ამის შესახებ თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა გუშინ აფხაზურ პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა.

ბაგაფში აფხაზ დეპუტატებს მისი და პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ ესაუბრა.

მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში იგი რუსეთის ხელისუფლებასთან აფხაზეთში ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების პერსპექტივებს განიხილავს. "აფხაზეთის ბიუჯეტი ნულზე კი არა, მინუსშია. ჩვენ მუშაობის დაწყება პრაქტიკულად ცარიელი ბიუჯეტის პირობებში გვიწევს," - განაცხადა ბაგაფშმა.

გარდა ამისა, მისი თქმით, მოსკოვში ვიზიტის დროს იგი შეხვდება რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს და ახალი ათონის ქრისტიან მომლოცველთა ცენტრად გადაქცევაში დახმარებას სთხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

მოსკოვი. ბოლო ორი დღეა, მოსკოვში იმყოფება სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი შამბა. მას შეხვედრა ჰქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისიტრის პირველ მოადგილესთან ვალერი ლოშჩინინთან.

როგორც რუსეთის საგარეო უწყების ინფორმაციის დეპარტამენტში აცხადებენ, შეხვედრისას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხები განიხილეს.

"რუსეთი, როგორც შუამავალი ქვეყანა, მიესალმება აფხაზეთის ახალი ხელისუფლების სწრაფვას მოლაპარაკებათა პროცესის განახლებისა და მხარეთა შორის ნდობის აღდგენისკენ," -აღნიშნავენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტში. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

კომესტას, პრესიდენტე!

ღია წერილი პრეზიდენტ მიშას ამომრჩეველი ირაკლისგან

ღრმად პატივცემულო
ბატონო პრეზიდენტო
ან
ძვირფასო მიშა!

დიდი ხანია, არ გვისაუბრია მე და შენ და მინდა, ერთი-ორი ჩემი აზრი და წუხილი გაგიზიარო. შენი ერთ-ხუთ-თუ-ოთხ-მემილიონედი ამომრჩეველი მაინც გახლავარ და როგორც ვიცი, ამომრჩევლის აზრი გაინტერესებს მუდამ და არა მარტო არჩევნების წინა პერიოდებში. ასე რომ, გადავწყვიტე, ჩემი აზრები მოკლედ ჩამომეყალიბებინა და პირდაპირ შენთვის მომეწერა, რამეთუ უკვე წელიწადზე მეტია, არაფერი მითქვამს ამდაგვარი და მერწმუნე, მეტად მტკივნეული რომ არ იყოს, კიდევ ერთ წელიწადს მოცდა პრობლემა არ იქნებოდა. მოყვარეს პირში უთხარი და მტერს პირს უკანაო. შენთან კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური ფორმა პრესით საუბარია. მე დღესაც გულწრფელად მიხარია, რომ პრესაში ერთხელ ამოკითხულ თუ ტელევიზიით ერთხელ ნანახ ფრაზებს ასე უცებ აქცევ ხოლმე ფრთიანად და პერიოდულად მთელს მსოფლიოს აყვირებ მათ. ეს მხოლოდ და მხოლოდ სიხარულის გრძნობას აჩენს ყველა ჩემნაირი უბრალო ქართველის გულში, რამეთუ კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართველ კაცს შეუძლია ნიჭიერიც იყოს და მეტად ნიჭიერიც, შენ ხარ ჩემი ბატონი!

თუმცა, აქვე მინდა გითხრა, რომ ამ პირველი აბზაცის ბოლო ფრაზაში ცოტა ეჭვი მეპარება. დემოკრატიის პირობებში მთავრობა, პარლამენტი და პრეზიდენტი არის საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მსახური და გამოდის, რომ ჩემნაირი თავისუფალი პროფესიის ადამიანი და ჩვენი კოლეგები, მუშები, ფერმერები, ზეინკლები, მზარეულები, ექიმები, მასწავლებლები, ბარგის მთრეველები, მცირე და საშუალო ბიზნესის (და შეიძლება დიდიც, თუმცა ამაზე მე ჩემი აზრი მაქვს, ცოტა არ იყოს განსხვავებული) წარმომადგენელიც სხვებთან ერთად არიან შენი და შენი რამდენიმე ასეულ ათასი ბიუროკრატიულ-ყაზარმული საჯარო სამსახურის ბატონები. ეს ადამიანები ხომ საკუთარი შემოსავლიდან იხდიან თქვენი ხელფასის ფულსა და ამით გქირაობენ თქვენ ყველას. მე, მაგალითად, ჩემი სტუდენტების, მკითხველების და სხვადასხვა დამქირავებლების მსახური გახლავარ, შენ კი ყველა ჩვენთაგანის ნომერი პირველი მსახური ხარ, რომელსაც გასული წლის იანვარში თითქმის ყველა ჩვენთაგანმა ხმა მოგეცით და ბევრი იმედიც სწორედ შენ დაგიკავშირეთ. მოკლედ, მე ვარ შენი ბატონი (დემოკრატიის წესებიდან გამომდინარე) თუ შენ ხარ ჩემი ბატონი (მონარქიის ძირძველი ტრადიციიდან გამომდინარე), ჯობს პირდაპირ მოგმართავ იმ მამა-პაპური სახელით, რომელიც შენმა დალოცვილმა მშობლებმა დაგარქვეს.

ძვირფასო მიშა, რომ მკითხონ დღეს ჩემმა ესპანურენოვანმა მეგობრებმა ის, რასაც მე გეკითხები ამ ღია წერილის სათაურში, "ბუენოს" თქმა აშკარად გამიჭირდება. ჩემდა სამწუხაროდ, იმერული გამოთქმა "ფინთად" ბევრად უფრო შეეფერება ჩვენს მდგომარეობას, ვიდრე კასტილიის წიაღში დაბადებული "კარგის" მომასწავებელი სიტყვა. დონ კიხოტი ლა მანჩელი იყო და მეც შენში სწორედ ის დონ კიხოტი მომწონს, რომელიც ყველა სტალინს, ჰიტლერს, მაო ძედუნს, აიზენჰაუერს, ანდროპოვსა თუ ნიქსონს სჯობია. პოლიტიკა არ არის უზნეობის დღესასწაული, იმიტომ რომ, არც ცხოვრება არის ამ უზნეობის სრული გამარჯვება. ის, ვინც ამტკიცებს, პოლიტიკაში ბინძური მეთოდებია მარტო გამართლებულიო, მწარედ ტყუის და მხოლოდ საკუთარ უზნეობას ამართლებს. ამის შესახებ შენც კარგად იცი, ჩემო მიშა და შენმა მონა-მორჩილმაც. იმაშიაც გეთანხმები, რომ პატიოსანი გზით სიარული ბევრად უფრო რთულია, ვიდრე სულიერი გარყვნილების გზით. ამაზე ხომ სახარებაშიაც ნათლად სწერია.

ამ ერთი წლის მანძილზე ბევრი რამ კარგიც მოხდა და მათზე მე ამჯერად აღარ ვილაპარაკებ. მე ამ შემთხვევაში არც კირკიტაძის წათაქება მაინტერესებს და არც ნინო ანანიაშვილის არაჩვეულებრივი ცეკვა, რომელიც უთუოდ შენთან ერთად მეც მაბედნიერებს. მე უბრალო ადამიანების ბედი მაინტერესებს, იმ მიუსაფართა ბედი, რომლის ნახვაც შენ შენს მინისტრებს ერთხელ დაავალე, მაგრამ მათ მაგივრად რა ვქნათ, რომ უკრაინელი ახალგაზრდა და ჰორმონებით გამოტენილი ქალები შემოგრჩათ ხელებში. ისე, უკრაინელი ქალების სიყვარულში ვერც შენ გაგამტყუნებ და ვერც გივი ვასილიჩ თარგამაძეს, რამეთუ თქვენს ადგილას მეც აღფრთოვანებული ვიქნებოდი მათი სხეულებრივი მონაცემებითა და რაც მთავარია, მათი წმინდა ზრახვით - საქართველოსთან ერთად გაწევრიანდნენ ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში. ნეტავ მხოლოდ ეს პრობლემა გვქონდეს და დიდი სიამოვნებით დავეყუდები უდაბნოში ჩვენი ცოდვების მონანიებისათვის. მაგრამ ვაი რომ, მარტო ეს არ არის ჩვენი დღევანდელი ტკივილი.

მე მინდა რამოდენიმე ყველაზე მტკივნეული საკითხი ჩამოვთვალო, როგორც შენმა გულშემატკივარმა ამომრჩეველმა. იმედია, შენ არ გეწყინება, ამ საკითხებს თუ დავნომრავ, რომ შენს მათემატიკურ მეხსიერებას ვთხოვო, კარგად დაიმახსოვროს. ეს ერთ-ერთი მოკვდავი ამომრჩევლის აზრია და ამიტომაც მათი იგნორირება პრობლემა არ უნდა იყოს, თუ ისინი არ შეესაბამებიან სიმართლეს.

1. უკვე წელიწადზე მეტი გავიდა ვარდების რევოლუციის შემდეგ და მეტად სამართლიანი იყო, რომ ხალხს ეს ვადა მაინც მოეცა გარკვეული ცვლილებების გასახორციელებლად. ჩვენნაირი უბრალო ხალხის ცხოვრებაში კი ჯერ მხოლოდ უფრო მეტი გაჭირვებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი დაახლოებით სამჯერ გაიზარდა და ამისათვის მთავრობა ნამდვილად ქებას იმსახურებს, რეზერვისტების და მთავრობის წევრების მეტს მგონი არავის უგრძვნია ეს საკუთარ ჯიბეზე. პირიქით, გაჭირვება გააორმაგა ფასების ზრდამ და ხელფასებისა და პენსიების დაახლოებით იგივე დონეზე დარჩენამ. პენსიის 28 ლარამდე აწევა ნამდვილად ვერაფერი შეღავათია, როდესაც ცხოვრების მინიმალური საფასური 140-150 ლარს უდრის ყველაზე მინიმალური შეფასებებით დღეს. ის, რომ პენსია შევარდნაძის პერიოდზე მეტად გაიცემა, ვერაფერი შეღავათია იმ ადამიანთათვის, ვისაც ელემენტარული ცხოვრების პირობები არა აქვთ. არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანი 14 ლარით მოკვდება შიმშილით თუ 28 ლარით. თუ მას საცხოვრებელი მინიმუმი არა აქვს, ის მაინც განწირულია და თუ პენსია ნეკროლოგის თანხაა, მაშინ პირდაპირ ვთქვათ და ამ ნეკროლოგის თანხის შეგროვებას ჩვენც ახლავე დავიწყებთ მომავალი ინფლაციის გათვალისწინებით. ვფიქრობ, რომ ამ წელიწადს აუცილებელია მინიმალური პენსიებისა და ხელფასების იმ დონემდე მაინც გაზრდა, რომ ადამიანები შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე არ იდგნენ. ამის გაკეთება შენ შეგიძლია და ახალ მთავრობასაც. იქ საკმაოდ არის ჭკვიანი ხალხი. უბრალოდ, მონდომებაა საჭირო.

2. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი სამხედროების ყოველი გადაადგილებისა და ამოსუნთქვის პროპაგანდისტული მიზნებით ტელევიზიით ტრიალი უკუ-ეფექტს გამოიწვევს. მილიტარისტული პროპაგანდა არ არის დემოკრატიული სახელმწიფოს დამახასიათებელი და უფრო მეტსაც ვიტყვი: იარაღის წაღმა უკუღმა ტრიალი ღალატია ვარდების რევოლუციის იდეისა, რომელმაც მთელს მსოფლიოს აჩვენა, რომ ძალადობის გარეშე შეიძლება სოციალური ცვლილების მოხდენა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება აუცილებელია აფხაზებისა და ოსების გულის მოგებით, მათთან ეკონომიკური თანამშრომლობით და არა მათი რეზერვისტებითა თუ მორბენალი მინისტრებით დაშინებით. ადამიანი მაშინ ისვრის, როცა ეშინია. ომის პროვოცირებამდე ამ ტერიტორიიდან შორს არ არის და დღეს ახალი ომის დაწყება დანაშაული იქნება. ისიც მინდა გითხრა, რომ ამ ქვეყანაში ძალიან ცოტა მეგულება ეგრეთწოდებული პაციფისტი, რადგანაც რუსული კაგებეს მიერ დანერგილ ძალადობის სისტემაში დღეს ძალიან ცოტაა "არა კაც კლას" პრინციპის ხმამაღლა მიმდევარი. მე ერთ-ერთი მათგანი ვარ და ყოველთვის ასეთად დავრჩები. ამ პრინციპს არც ერთ თანამდებობაზე არ გავცვლი და არც სიმდიდრეზე. მაგრამ ორ არაძალადობრივ აქციაში ვყოფილვარ რიგით მონაწილედ და საოცარია, რომ ორივემ საქართველოს დიდგორზე არანაკლები ბრძოლები მოაგებინა: 1989 წლის 9 აპრილის აქციამ დაიწყო საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესი და შენს ხელში მოთავსებულმა ვარდმა საქართველო მთელს მსოფლიოში საჩვენებელ შუქურად აქცია. ძალადობას, რომელსაც ამ ორ მოვლენას შორის ჰქონდა ადგილი, არაფერი კარგი არ მოუტანია ჩვენი ერისათვის, არც სამაჩაბლოში და არც აფხაზეთში. სწორედ არაძალადობრივი იარაღია ყველაზე ბასრი იარაღი დღევანდელ მსოფლიოში და შენც კარგად იცი ამის შესახებ, მით უმეტეს რომ მედია-სპინ ტექნოლოგიებს მშვენივრად იცნობ. ასე რომ, ეს კუნთების ბერვა არაფრად გვადგია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენი მოხუცების უმრავლესობა ისევ შიმშილით კვდება და ბავშვების უმრავლესობასაც არა აქვს კარგი ცხოვრება, დანარჩენებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეკონომიკის განვითარებაში აუცილებელია "ახალი კურსი" და მილტონ ფრიდმანის კითხვასთან ერთად ცოტა კეინსის და ილია ჭავჭავაძის იდეებიც რომ გამოეყენებინათ, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა.

3. არ შემიძლია არ ვთქვა ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული დაღუპვის შესახებაც. მე, დათო გამყრელიძისგან და კიდევ სხვა პოლიტიკოსთაგან განსხვავებით, ზურაბთან საჯარო კამათი არასდროს მქონია. ჩვენ მეგობრები ვიყავით და მხოლოდ პირისპირ ვკამათობდით, "მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპით. მე, როგორც ამომრჩეველი და ამ ქვეყნის მოქალაქე, შეურაცხყოფილი დავრჩი იმით, რომ ჩვენმა უშიშროების მინისტრმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, ინტელექტშეზღუდულად გამოიყურებოდა (არ ვიცი, ამას სხვა რა დავარქვა), ზურაბის სიკვდილიდან 3-4 საათის შემდეგ უკვე გააკეთა საბრალდებო დასკვნა და განაცხადა, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან გვაქვს. ამის გასამგრებლად მერე FBI-ის ჯგუფი ჩამოიყვანეს და ათქმევინეს, "ჩუმ სიკვდილთან" გვაქვს საქმეო. ჩემო მიშა, შენც გეცოდინება, მე FBI-ის მონათესავე სტრუქტურაში ორ წელიწადს ვმუშაობდი ამერიკაში და ვიცი, ისე როგორც ბევრმა სხვამ, როგორც ხდება ასეთი რაღაცები. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი მთავრობა ამით გარკვეულწილად ტყუილის თქმის თანამონაწილე გახდა. ვანო მერაბიშვილი რომ ასეთი მეთოდებით ვერავის მოკლავდა, ეს თავიდანვე ცხადია, მის ფიზიონომიას რომ შეხედავ (თუმცა, ამ წერილის წაკითხვის შემთხვევაში ჩემი მოკვლის სურვილი შეიძლება ნამდვილად გაუჩნდეს), მაგრამ შენც კარგად იცი იმ ქვეყნების სპეცსამსახურების სია, რომელთაც კარგად ძალუძთ ამის გაკეთება. ამის გაკეთება კი საჭირო იყო სწორედ შენს დასასუსტებლად. როდესაც მეჩიროლდნეს მეხანძრეს უკლავენ, მაშინაა ყველაზე საშიში მომენტი სახელმწიფოსათვის. მინისტრ ვანოს ასეთმა არაპროფესიულმა განცხადებამ კი ბევრ ადამიანში სხვანაირი ეჭვები გააჩინა. ამას რომ ბოლო მოეღოს, აუცილებელია, რომ დამოუკიდებელი კომისია შეიქმნას ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზთა გამოკვლევასთან დაკავშირებით. უკვე საზოგადოებაში მუსირებს ხმები, რომ 2004 წლის ბოლოს ზურაბ ჟვანია დაუპირისპირდა გარკვეულ ბიზნეს-ჯგუფებს (მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს ბენდუქიძეს არ ეხება), რომელთაც საკუთარი უდიდესი კაპიტალის დაბანდება უნდოდათ საქართველოში და რომლებიც პოლიტიკურად იყვნენ დაკავშირებნული ჩვენს ზოგიერთ ისეთ მეზობელთან, რომელსაც ნამდვილად კარგად შეუძლია ასეთი მკვლელობის განხორციელება. ამ დამოუკიდებელ კომისიას სათავეში უნდა ჩაუდგეს კარგად კვალიფიცირებული იურისტი, მაგალითად დათო უსუფაშვილი და არა მიშა მაჭავარიანი, როგორც ამას გამყრელიძე ამბობდა. ამ კომისიამ უნდა გამოიკვლიოს და საჯარო გახადოს ზურაბ ჟვანიასთან ანტაგონისტურად მყოფი ყველა ბიზნეს-ჯგუფი, რომელიც გარკვეული სერიოზული ობიექტის ხელში ჩაგდებას ცდილობდა ბოლო 1 წლის განმავლობაში და ამ მკვლელობის გასაღებსაც მაშინ ვიპოვით. ის მაინც გვეცოდინება, საიდან მოდის საფრთხე. თუკი ეს კომისია არ ჩამოყალიბდა და ხალხმა არ გაიგო სიმართლე, დამოუკიდებელი, პატივცემული წყაროსაგან, მაშინ შენდამი ნდობაც შესაბამისად დაიწევს და მე ეს ნამდვილად არ გამიხარდება. ამის გაკეთება, მე მგონი, არ არის რთული. ამასაც, უბრალოდ, შენი და შენი მთავრობის ნება სჭირდება.

4. აუცილებელია მალე ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული არჩევნები. მე პირადად მომწონს ზურაბ ჭიაბერაშვილი, როგორც თბილისის მერი და არჩევნების შემთხვევაში მას მივცემ ხმას და არა შალვა ნათელაშვილს. ვფიქრობ, ასევე მოიქცევა თბილისელთა უმრავლესობა. ეს ახალგაზრდა ენერგიული კაცია, რომელსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ქალაქისათვის. თუ მას საკრებულო აირჩევს, რომელიც პარტიული პრინციპითაა დაკომპლექტებული, ის ყოველთვის დაქვემდებარებული უნდა იყოს რაღაც კორპორატიულ, პარტიულ მექანიზმს და მას არასდროს მიეცემა შანსი, ნამდვილად ემსახუროს თავის ქალაქს. ქალაქისა და სოფლის სამსახური ერთია და პარტიის სამსახური - მეორე. პარტიული მუშაობა მაშინ მთავრდება, სადაც იწყება ხალხის სამსახური განურჩევლად პოლიტიკური იდეოლოგიისა და მრწამსისა. ამიტომაც მე გირჩევ, რომ ქართველ ხალხს მისცე საშუალება, თვითონ აირჩიოს საკუთარი მომავალი და არა კორპორატიულმა პარტიულმა სტრუქტურებმა. ნაციონალურ მოძრაობას ხომ თავიდან დემოკრატიული ფრონტიც ერქვა და ახლაც ურევია სიტყვა დემოკრატი სახელწოდებაში.

ისევ და ისევ ჩემო ძვირფასო, ნომერ პირველო მსახურო, მიშა. მე დიდი სურვილი მაქვს, რომ შენ ჩემი და კიდევ ოთხი მილიონი ჩემნაირის მსახური იყო კიდევ 9 წელიწადს, სანამ დამსახურებულ პენსიაში გახვალ. მაგრამ, მე ჩემი, როგორც ამომრჩევლის დაკვეთა ყოველთვის მექნება, რომელიც ზოგჯერ მარგინალურია და ზოგჯერაც არც ისე მარგინალური. იმის იმედიც მაქვს, რომ რეიტინგის მიმდევარი ნიჭიერი პოლიტიკოსიდან სიმართლის მიმდევარი სახელმწიფო მოღვაწე დადგება, რომლისთვისაც მთავარი კრიტერიუმი ჯორჯ ბუშისა და ვლადიმირ პუტინის სიტყვები კი არ იქნება, არამედ საკუთარ ქვეყანაში დახლის გამყიდველისა და საერთოდ უბრალო მოქალაქის მდგომარეობა. მინდა ვცდებოდე, მაგრამ ჩვენი ხალხის მდგომარეობა ბევრად უფრო ფინთად მეჩვენება, ვიდრე ბუშისა და თუნდაც პუტინის შეფასებები.

პატივისცემით და უკეთესი მომავლის იმედით
შენი ერთ-ერთი ამომრჩეველი, პროფესიით თავისუფალი მწერალი და მომრიგებელი
ირაკლი კაკაბაძე

ეკა კვესიტაძის სვეტი

იკითხეთ "საქართველოს რესპუბლიკა" და იქნებით "ინფორმირებულნი"

რისთვის არსებობს "საქართველოს რესპუბლიკა"? - შევარდნაძის დროის ამ გადმონაშთის არსებობის შესახებ ბევრს, შესაძლოა, აღარც კი ახსოვს. არაპოპულარულმა ექს-პრეზიდენტმა ეს გაზეთი "კომუნისტის" სამართალმემკვიდრედ გაიხადა, რათა თავისუფალი მედიის კრიტიკა როგორმე დაებალანსებინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობა სრულიად წარუმატებელი იყო, ყოფილი პრეზიდენტი ამ გაზეთს მაინც დიდ ყურადღებას უთმობდა, ისევე როგორც საბჭოთა დროის ათასგვარ გადმონაშთს, სხვადასხვა პროფესიული გაერთიანებების სახით, რადგან გადამწყვეტ მომენტში მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ამიტომ ყოველთვის უარს ამბობდა ამგვარი პარაზიტული ორგანიზაციებისა თუ გაზეთებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტაზე.

რევოლუციის შემდეგ ახალმა მთავრობამ პირობა დადო, რომ ბიუჯეტი პროგრამულ დაფინანსებაზე გადავიდოდა და ბალასტს ჩამოიშორებდა. მიუხედავად ამ დაპირებისა, ბალასტის დაფინანსება მაინც გრძელდება, მათ შორის "საქართველოს რესპუბლიკის" (ქვემოთ მოცემული ხერხებით), რომელიც ისევ ძველი სულისკვეთებით გამოირჩევა. თუ შევარდნაძის დროს ამ გაზეთის არსებობა ხელისუფლებისთვის გამართლებული იყო, დღემდე გაუგებარი რჩება, რაში სჭირდება ახალ მთავრობას გუნდრუკის მკმეველი, საბჭოთა ყაიდის გაზეთის დაფინანსება, მაშინ როდესაც პოპულარული მედიაორგანიზაციების მხრიდან ისედაც იძულებითი თუ ნებაყოფლობითი მხარდაჭერით სარგებლობს.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, შესყიდვების შესახებ კანონიც იყოს, რომლის მიხედვით ყველა ტენდერის პირობა პრესაში უნდა ქვეყნდებოდეს, კანონქვემდებარე აქტით კი ეს ექსკლუზიური უფლება მხოლოდ "საქართველოს რესპუბლიკას" ეკუთვნის. შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ასეა და დღევანდელ ხელისუფლებაში ამ დადგენილების გაუქმება არავის უფიქრია. არ უფიქრია, ალბათ, სავსებით რაციონალური მიზეზის გამო. "საქართველოს რესპუბლიკის" ტირაჟი (გამონერების ხარჯზე) ნამდვილად არ ვიცი, რამდენია, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ მას სულ რამდენიმე ადამიანი შეიძლება კითხულობდეს. მაშინ რატომ აქვეყნებს ხელისუფლება ტენდერების შესახებ ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციებს გაზეთში, რომელსაც თითქმის არავინ კითხულობს? პასუხი აქ მხოლოდ ერთია, ხელისუფლებას უნდა, გამჭვირვალეობის ილუზია შექმნას, მაშინ როდესაც იცი, რომ ამ "გამჭვირვალეობას" მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მოიხმარს, ისიც უმეტესწილად პენსიონერები, რომელთაც "კომუნისტის" კითხვის ჩვევა ინერციით გადმოჰყვათ.

ასე მოხდა ახლაც. როცა მთელი სამოქალაქო საზოგადოება ელოდებოდა, როდის გამოაცხადებდა პრეზიდენტი კონკურსს საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრთა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად, აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტის განკარგულება უკვე დაიბეჭდა "საქართველოს რესპუბლიკის" 23 თებერვლის ნომერში, რომელიც ჩემი ნაცნობის პენსიონერმა მეგობარმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა.

გუშინ მთელი საღამოს განმავლობაში ვურეკავდი ჩემს ნაცნობებსა და მეგობრებს, რომლებიც სამეურვეო საბჭოს წევრთა თანამდებობაზე განცხადების შეტანას აპირებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ პრეზიდენტის განკარგულებით კონკურსის გამოცხადებიდან უკვე ერთი კვირაა გასული.

კიდევ კარგი, რომ "საქართველოს რესპუბლიკას" ერთი-ორი მკითხველი მაინც შემორჩა, თორემ სავსებით შესაძლებელი იყო, რომ კონკურსზე განაცხადის შეტანის ოცდაათ დღეს ისე გაევლო, რომ მსურველებს ვერაფერი გაეგოთ.

ინფორმაცია კონკურსზე არც ერთი სხვა გაზეთით, სააგენტოთი თუ ტელევიზიით არ გამოცხადებულა. ხელისუფლების ასეთი "დაუდევრობა" კი ნიშნავს იმას, რომ მათთვის საზოგადოებრივი ტელევიზია ან საერთოდ არაარსებითია, ან არსებითია იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივი შირმის მიღმა კვლავ სახელისუფლებო არხად უნდათ დატოვონ.

საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნა დღეს ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. ხელისუფლების მხრიდან სატელევიზიო მედიაზე გაზრდილი ზეწოლის ფონზე ნამდვილ საზოგადოებრივ ტელევიზიას აქვს პოტენცია, რომ საზოგადოების და არა ხელისუფლების ინტერესებს ემსახუროს. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭო დამოუკიდებელი და პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტდება.

ასე რომ, კითხვას - გვექნება თუ არა ჭეშმარიტად საზოგადოებრივი ტელევიზია - პასუხი მხოლოდ მაშინ გაეცემა, როდესაც იმ ადამიანთა სია გამოქვეყნდება, რომლებიც სამეურვეო საბჭოს 9 ვაკანტურ პოსტს დაიკავებენ და შემდეგ ტელევიზიის აღმასრულებელ დირექტორს აირჩევენ. ამ ფონზე კი ხელისუფლების მცდელობა, მაქსიმალურად დამალოს კონკურსი, ძალზე საეჭვოდ გამოიყურება.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში მწვავე სოციალური პრობლემებია, წამყვანი საინფორმაციო გადაცემების პირველი სიუჟეტები კი კიევში ქართული დელეგაციის უკრაინელ ქალებთან მოლხენას, ჩოხა ფართიდან პირდაპირ ჩართვებს ან მაღლჩინოსნების რიგით პრესკონფერენციებს ხმარდება, ხელისუფლება, ბუნებრივია, თავს კომფორტულად გძნობს და დამატებითი თავსატკივარი არაფერში სჭირდება. მაგრამ ასეთ ვითარებაში გძნობენ თუ არა თავს კომფორტულად ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოება?

სავალუტო ფონდის მისია ენერგოსექტორის რეგულირების დეტალებით დაინტერესდა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ესტუმრნენ.

კომისიის თავმჯდომარესთან გიორგი თავაძესთან მისიის შეხვედრის მიზანი საქართველოში მიმდინარე ენერგორეფორმები და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების პროცესში მარეგულირებელი კომისიის როლი იყო.

შეხვედრაზე მხარეები შეეხნენ საქართველოში ელექტროენერგიისა და გაზის სეზონური და დიფერენცირებული ტარიფების შემოღების შესაძლო ვარიანტების დამუშავებასაც.

"როგორც ფონდის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მარეგულირებელი კომისიები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პროგესულ სტრუქტურებად ითვლება და გავლენას ახდენს ენერგოსექტორის წარმატებულ საქმიანობაზე, ამის გარანტიას კი მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი იძლევა," - განაცხადა თავაძემ.

მისი თქმით, შეხვედრაზე მხარეებმა სატარიფო მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ მეთოდოლოგია ახლებური ეკონომიკური ხედვისა და პრინციპების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს.

"ვისაუბრეთ საქართველოში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის სეზონური და დიფერენცირებული ტარიფების შემოღების შესაძლო ვარიანტებზე, ენერგეტიკის დარგში წესრიგისა და საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევის მიზნით ნორმატიული დოკუმენტების დახვეწაზე," - განაცხადა თავაძემ.

ფონდის წარმომადგენლებმა აუცილებლად მიიჩნიეს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და ანალოგიურ მარეგულირებელ სტრუქტურებთან სემეკ-ის შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავება და კომისიას თანადგომა აღუთქვეს.

24 საათი

შპს "საქართველოს რკინიგზას" 2005 წლის 3 თებერვლის N24 გაზეთ "24 საათში" ჯართის რეალიზაციის მიზნით გამოცხადებულ აუქციონში შეაქვს ცვლილება. სარეალიზაციო ქონების შესახებ ინფორმაციის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

3. საჯართე რელსი 1021, 214 ტ. მათ შორის:

ა) სალიანდაგო სამანქანო სადგური N1 (ველი) 454, 284 ტ.

რელსის ტიპი: რ-65 158,04ტ. რ-50 236,764ტ. რ-43 45,88ტ. მსუბუქი 13,6ტ.

ბ) ბორჯომის სალიანდაგო დისტანცია (ბორჯომის რ-ნი) 177,76 ტ.

რელსის ტიპი: რ-65 78,8ტ. რ-50 50,4ტ. რ-43 29,56ტ. მსუბუქი 19 ტ.

გ) ლანჩხუთის სალიანდაგო დისტანცია (ლანჩხუთის რ-ნი) 389,17 ტ.

რელსის ტიპი: რ-65 389,17 ტ.

საჯართე რელსის საშუალი სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 153182, 10 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე). "ბე"-ს თანხა 83635 ლარი. ბიჯი 5106,07 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე).

„პროქტერ ენდ გემბელი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახალგაზრდა და დინამიური პირებისათვის

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

აღწერა:
CBD მენეჯერი გაფლენას ახდენს კლიენტის გადაწყვეტილებაზე კრიტიკულ და საქმიან სიტუაციებში გაყიდვის კონტეტუალური მეთოდებისა და ძირითადთა ბაზის გამოყენებით. ეს მეთოდი ეყრდნობა მომხმარებლთა მოთხოვნების შესწავლას და იძლევა რეალურ სურათს, თუ რა ამოძრავებს მყიდველს ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვისას. CBD მენეჯერის კომპეტენციაში შედის ასევე ბიზნეს-გეგმების შედგენა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება საჭირო ნიშნის გაფართოება-განვითარება და დაუჭერება მყიდველს განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც წარმატებული იქნება როგორც მისთვის, ასევე კომპანიისთვის.

კვალიფიკაცია:
წარმატებული კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას. საშუალოს მოთხოვნებში შედის ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით საქმიანობა; საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. აუცილებელია უმაღლესი განათლება და ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა. ასევე კომუნიკაბელურობა და ძლიერი საორგანიზაციო ნიჭი.

რეზიუმეს გამოგზავნა:
ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე: www.pg-ca.com ან www.go2pg.com და განათავსეთ თქვენი პროფილი - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager, ან გადმოაგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
შეკითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე - +994 50 350 5855

როგორ შევამციროთ ხორბლისა და ფქვილის კონტრაბანდა ბაზარზე?

მეწარმეები ხელისუფლებას რამდენიმე რეკომენდაციას სთავაზობენ

მარიამ ჯაჭვაძე

ხორბლისა და პურის მწარმოებელთა ასოციაციის "გლობალ აგროს" შეფასებით, საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული ფქვილის 35 პროცენტზე მეტი კონტრაბანდაა. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი, როგორც ასოციაციის ხელმძღვანელობა აცხადებს, ხორბალსა და მის პროდუქტებზე ფიქსირებული საბაჟო გადასახადის შემოღება შეიძლება გახდეს.

საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული ფქვილის 35 პროცენტზე მეტი კონტრაბანდაა.

იაკობ ლეონტიევის ფოტო

"გლობალ-აგროს" წევრებმა და ხელმძღვანელობამ საქართველოს ხორბლისა და პურ-პროდუქტების ბაზარზე შექმნილ რთულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყვეს. ასოციაციის წევრები ხელისუფლებისგან ადგილობივი წარმოების ხელშეწყობის მიზნით საგადასახადო შეღავათებსა და კონტრაბანდის წინააღმდეგ რამდენიმე ქმედითი ღონისძიების გატარებას ითხოვენ.

"გლობალ-აგროს" ეკონომიკური სამსახურის უფროსიის თემურ კოპალეიშვილის ინფორმაციით, ადგილობრივ ხორბალსა და ფქვილს საქართველოს ბაზრის დაახლოებით 20 პროცენტი უკავია, დანარჩენი თითქმის მთლიანად იმპორტირებულია. თემურ კოპალეიშვილი ირწმუნება, რომ საქართველოში შემოტანილი ფქვილის 35 პროცენტი არალეგალური და აღურიცხავია. **"კონტრაბანდა დღეს ძირითადად შემოდის რუსეთისა და თურქეთის რესპუბლიკებიდან, თუმცა არის შემთხვევები, როცა აღურიცხავი ფქვილის დიდი მარაგი აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან შემოვიდა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კოპალეიშვილმა.

კონტრაბანდის გარდა, როგორც "გლობალ-აგროს" ეკონომიკური სამსახურის უფროსი ამბობს, იმპორტირებული პროდუქციის დიდ ნაწილზე ფასები ხელოვნურად არის შემცირებული, რაც ადგილობრივ წარმოებას არათანაბარ პირობებში აყენებს.

"კონტრაბანდის გარდა, ხორბალი და ფქვილი დღეს დემპინგური ფასით შემოდის. თურქეთმა ექსპორტის სტიმულირების მიზნით ფასები დანია. საქართველოს ბაზრის ათვისების მიზნით, თურქული კომპანიები ფქვილს გაცილებით დაბალ ფასებში ყიდიან, რაც ჯერჯერობით ჩვენთვის გაურკვეველი პირების მხრიდან ლობირების შედეგია," - განაცხადა "გლობალ-აგროს" პრეზიდენტმა არკადი მექერიშვილმა.

თემურ კოპალეიშვილი ამბობს, რომ ხშირად იმპორტიორები საბაჟოზე პროდუქციის რეალურ ფასს მნიშვნელოვნად ამცირებენ, რის გამოც მათ დაბალი საბაჟო გადასახადის გადახდა უწევთ.

"ის ფასი, რაც დღეს შემოტანილი ხორბლისა და ფქვილის ინვოისშია მითითებული, არარეალურია. თუნდაც იმიტომ, რომ იგივე რუსეთისა და თურქეთის ბაზარზე ფასები გაცილებით მაღალია, ვიდრე ის, რაც ჩვენთან არის დაფიქსირებული იმპორტის დროს," - გვითხრა კოპალეიშვილმა.

ვითარებიდან გამოსავალი და რეკომენდაციები, რომელსაც "გლობალ-აგროს" წევრები ხელისუფლებას სთვაზობენ, ასე გამოიყურება: მთავრობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ საქართველოში ფქვილი და ხორბალი რეალურ ფასებში შემოდიოდეს, უნდა გაუქმდეს ხორბალზე დამატებული ღირებულების გადასახადი და დღგ-თი წარმოებული პროდუქცია დაიბეგროს. **"ვინაიდან ეს არის მომხმარებლის გადასახადი,"** - ასეთია "გლობალ-აგროს" წევრების არგუმენტი; ხელისუფლებამ უნდა გააუქმოს ადვალური გადასახადი და დააწესოს ფიქსირებული საბაჟო გადასახადი - ერთ ტონაზე 80 ევროს მოცულობით, რაც ასოციაციის წევრების თქმით, სრულიად ნორმალური და მისაღები ტარიფია. **"20 პროცენტიანი საბაჟო გადასახადი დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, არ მუშაობს. ჩვენ შევიმუშავეთ საბაჟო კანონში შესატანი ცვლილებები, რაც ფიქსირებული გადასახადის შემოღებას გულისხმობს,"** - გვითხრა კოპალეიშვილმა. მისივე თქმით, ყოველივე ამის პარალელურად ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს და გაატაროს ანტიდემპინგური ღონისძიებები. სხვათა შორის დღემდე არ არსებობს ანტიდემპინგური კანონი, რომლის მიღებას საქართველოს ხელისუფლებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაც ავალდებულებს. ეს კანონი თავის დროზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოამზადა, თუმცა პარლამენტის მიერ მისი მიღება დღემდე გაჭიანურდა.

სხვათა შორის ხორბლისა და ფქვილის საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტიც დაინტერესდა. კომიტეტის სხდომა, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება, სადაც ამ სექტორში არსებულ პრობლემებს განიხილავენ.

"პურ-პროდუქტების კორპორაციას" თურქული კრედიტიდან მიღებული სესხი ჩამოაწერეს

ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხების შემსწავლელმა სამთავრობო კომისიამ "პურ-პროდუქტების კორპორაციას" თურქული კრედიტი ჩამოაწერა.

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა 24 თებერვალს ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც, "პურ-პროდუქტების კორპორაციას" 1993 წლის ოქტომბერში თურქული კრედიტიდან მიღებული სესხი - 11 784 625 დოლარი და სარგებელი 1 074 806 დოლარი ჩამოეწერა. ჩამოწერილია აგრეთვე განკარგულების ამოქმედების დღისთვის კორპორაციაზე დარიცხული საურავიც.

როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ განუცხადა, პურ-პროდუქტების კორპორაციის სასესხო დავალიანება უიმედოდ ჩაითვალა, რადგან მისი დაბრუნების თეორიული შანსიც კი არ არსებობს.

"ამჟამად პურ-პროდუქტების კორპორაციის ლიკვიდაცია მიმდინარეობს. მას აქტივები საერთოდ აღარ გააჩნია. კორპორაციის ქონება, ერთადერთი შენობის სახით, ეკონომიკის სამინისტროს გადაეცემა," - განაცხადა გოცირიძემ.

საქართველოს მთავრობამ 1993 წელს თურქეთისგან 50 მლნ. დოლარი სახელმწიფო გარანტიით ისესხა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურაზე გადაანაწილა. აღნიშნული თანხიდან თითქმის არაფერი დაბრუნებულა. საქართველოს მთავრობას თურქეთის ვალი ისევ გააჩნია, თუმცა, ზოგიერთი ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციისგან თანხებს ვერ იღებს.

ინტერ-პრესი

კავკასიონი ისევ პრობლემაა

რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი ხაზი გუშინ სამჯერ ზედიზედ გამოირთო

ნიკა მარიამიძე

უამინდობამ საქართველოში ენერგოპრობლემები გაამწვავა. მაღალ მთაში თოვლის დნობის გამო, 500-კილოვოლტიანმა მაღალი ძაბვის გადამცემმა ხაზმა "კავკასიონმა" საიმედოობა დაკარგა და გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, სამჯერ ზედიზედ გამოირთო და ჩაირთო. შედეგად, გაითიშა "ენგურჰესის" აგრეგატებიც.

როგორც "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილემ შოთა მაისურაძემ ივარაუდა, გადამცემი ხაზის ხშირი გათიშვა ზვავებმა და მეწყერებმა გამოიწვია. "ალბათ, მოკლე ჩართვა ხდება, რაც გადამცემ ხაზს ავტომატურად თიშავს. ეს მდგომარეობა, ადვილი შესაძლებელია, მარტის ბოლომდეც გაგრძელდეს, რადგან ამ პერიოდში მთაში თოვლის ინტენსიური დნობაა მოსალოდნელი," - განაცხადა მაისურაძემ.

არადა, გაზაფხულის პირას, როცა ჰიდრორესურსები თითქმის ამოწურულია, საქართველო რუსეთიდან და სომხეთიდან დენის იმპორტის იმედზეა დარჩენილი. მით უმეტეს, რომ ამჟამად არ მუშაობს არც "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკი და ენგურჰესიც გამორთულია.

ყველაზე დიდი დეფიციტი "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" შეექმნა, რომელიც თავის აბონენტების, ძირითადად, რუსეთიდან იმპორტირებული დენით ამარაგებდა. იმპორტის შეწყვეტის გამო, კომპანიას 220 მეგავატი სიმძლავრე დააკლდა, რის გამოც რეგიონები, ფაქტობრივად, ელექტროენერგიის გარეშე დარჩნენ.

ვითარების გამოსწორებას ენერგეტიკოსები უკვე დღეისთვის ვარაუდობენ. დღეს იგეგმება ხუთი დღის წინ ავარიულად გამორთული მეცხრე ენერგობლოკის ჩართვა, რადგან ბლოკის ქვაბზე მომხდარი დაზიანების აღმოფხვრა უკვე მოხერხდა. ბლოკის მიერ გამომუშავებულ სიმძლავრეს ენერგოსისტემა შუადღის შემდეგ მიიღებს, პიკის საათის დროს კი ბლოკი უკვე მაქსიმალური სიმძლავრის გამომუშავებას შეძლებს. ეს, ენერგეტიკოსების ვარაუდით, დეფიციტს აღმოფხვრის. მანამდე კი მკაცრი შეზღუდვები, სავარაუდოდ, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება.

დეპრივატიზაცია უკრაინულად

პირველი გვერდიდან

უკრაინულ კულუარებში აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ გამორიცხული არ არის, საპრივატიზაციო ბატალიებმა უკრაინის მთავრობა გახლიჩოს. როგორც რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა ვიქტორ პენზენიკმა განაცხადა, პრივატიზაციის სფეროში სრული ქაოსია. **"ქაოსს ველოდი, მაგრამ არა ასეთი მასშტაბების,"** - განაცხადა მან.

პრემიერმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ მთავრობა უკანონო პრივატიზაციასთან დაკავშირებით სამი ათასამდე საწარმოს მასალებს გააგზავნიდა სასამართლოში. მაშინ ტიმოშენკომ აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მთავრობამ მას შემდეგ მიიღო, რაც უკრაინის გენპროკურატურამ ბოლო წლებში უკანონოდ პრივატიზებული ობიექტების შესახებ მასალები განიხილა. ტიმოშენკო საზოგადოებას ჰპირდებოდა, რომ ყველა საპრივატიზაციო საქმეს სასამართლო განიხილავდა, საწარმოების მფლობელებს კი გადაუხდელი თანხების დაფარვას, ან ქონების სრულ დაკარგვას შესთავაზებდნენ.

საინტერესოა, რომ ტიმოშენკოს აღნიშნულ განცხადებამდე ზუსტად ერთი დღის შემდეგ, ამავე თემაზე გააკეთა კომენტარი თავად პრეზიდენტმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ დეპრივატიზაცია, მაქსიმუმ, 30 ობიექტს ემუქრება. **"დეპრივატიზაცია, სავარაუდოდ, უკრაინის რამდენიმე ათეულ მსხვილ ობიექტს შეეხება. ეს წესი არ არის, ეს გამონაკლისი იქნება. უკრაინაში პრივატიზაცის რევიზიას არავინ განახორციელებს. 90-იანი წლების პრივატიზაციის შედეგებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგანაც უკრაინული ბიზნესი იმ პერიოდის კანონების შესაბამისად მოქმედებდა,"** - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. იუშენკომ ხაზი გაუსვა, რომ პრივატიზაციის შედეგების გადახედვა ბიზნესის მხოლოდ იმ ნაწილს ეხება, რომელმაც პრივატიზაციის პროცესი კანონის დარღვევით განახორციელა.

შემთხვევითი არ იყო, როცა ტიმოშენკოს განცხადების შემდეგ, უკრაინის საზოგადოებაში დისკუსია დაიწყო იმაზე, თუ როგორ აპირებს პრემიერი საწარმოების ასეთი რაოდენობის პოვნას. მოსაზრებები ორად გაიყო - უმაღლესი რადას დეპუტატების და ეკონომისტების თქმით, უკრაინაში ფიზიკურად არ არსებობს საწარმოთა ასეთი რიცხვი, სხვები კი ფიქრობენ, რომ ქონების რევიზია ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ობიექტს შეეხება.

თავის მხრივ, იულია ტიმოშენკოს გამოსვლის შემდეგ, არც უკრაინელი პოლიტოლოგების და დეპუტატების განცხადებები იყო გასაკვირი იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი პრემიერის სიტყვების უარყოფას ელიან. ნიშანდობლივია, რომ უარმყოფელი განცხადება არა მთავრობისგან, არამედ თავად იუშენკოსგან წამოვიდა, რამაც საფუძველი გაუმყარა მოსაზრებებს ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირების შესახებ.

"სამი ათასი ობიექტი - არ უარვყოფ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. თუმცა, აუცილებელი არ არის, ყველა მათგანი საწარმო იყოს, შეიძლება საუბარი ეხებოდეს 3 ათას იურიდიულ პირს - პიონერულ ბანაკს, სახლს, დასასვენებელ სახლს, პანსიონატს, კურორტს, ტრანსპორტის ან ენერგეტიკის სექტორს და მომსახურების სფეროს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საქმე საკუთრების მასიურ გარდაქმნასთან გვექნება," - განმარტა პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ ალექსი მაკარკინმა. მისივე აზრით, იუშენკო ამას არ დაუშვებს. **"ასეთი ცვლილება მიგვიყვანს ჯაჭვურ რექციასთან, რომელიც გავლენას მოახდენს არა მარტო უკრაინულ ბიზნეს-ელიტაზე, არამედ მთელს საზოგადოებაზე. ეს კი შეიძლება სამოქალაქო ომით დასრულდეს. უკრაინის ახალი ხელისუფლება საზოგადოების იმ საშუალო ფენას ეყრდნობა, რომელიც სწორედ პრივატიზებულ ობიექტებშია დასაქმებული,"** - დარწმუნებულია მაკარკინი. უკრაინელი პოლიტოლოგის თქმით, უკრაინის ხელისუფლება, რუსულისგან განსხვავებით, ყოველმხრივ აჩვენებს, რომ ინვესტიციებისთვის გახსნილია. **"სამი ათასი ობიექტის დეპრივატიზაციის შემთხვევაში კი, ქვეყანაში აღარავინ შემოვა. მაშინ, როცა რამდენიმე ობიექტის მფლობელის შეცვლაზე მთავრობა თვალებს დახუჭავს: ხომ გადაყლაპეს გუსინსკი და "HTB", გოლდოვსკი და "სიბური". "იუკოსსაც" დაივიწყებდნენ, ეს საქმე ასეთი ხმამაღალი რომ არ ყოფილიყო,"** - აღნიშნა მაკარკინმა.

საინტერესო დეტალი: როგორც უკრაინის ფინანსთა მინისტრმა ვიქტორ პენზენიკმა განაცხადა, სამი ათასი ობიექტი, რომლებზეც მასალები შემოვიდა და საწარმოთა სია, რომელთაც პრივატიზაციის პროცესის უკანონოდ ჩატარებისთვის პრეტენზიები შეიძლება წაუყენონ, სრულიად განსხვავებული საკითხებია.

უკრაინულ დეპრივატიზაციას სხვა ასპექტიც აქვს: უმაღლესი რადას დეპუტატების უმრავლესობა ან მსხვილი მეწარმეა, ან - მათი წარმომადგენელი. არანაკლებ ღარიბი ხალხი იკავებს მინისტრების სავარძლებს და მმართველი პარტიის მნიშვნელოვან თანამდებობებს. მეზობელი ქვეყნების ექსპერტების აზრით, სწორედ ისინი არ დაუშვებენ საკუთრების მასიურ გარდაქმნას. ალექსი მაკარკინის თქმით, **"არ არსებობს გარანტია, რომ პროცესების ასე გაგრძელების შემთხვევაში, ტიმოშენკო მალე იმ ელიტის წარმომადგენლების ოპოზიციაში არ აღმოჩნდება, რომლებიც ახლა რადაში არიან და რომლებმაც ერთხმად მისცეს მას ხმა."**

ერაყის კიდევ ერთი სისხლიანი დღე

დემოკრატია ერაყში მძიმედ მკვიდრდება.

ერაყში დემოკრატიის მშენებლობა უკვე თითქმის წელიწადია, აფეთქებების თანხლებით მიმდინარეობს. გუშინაც, ერაყის ქალაქ ჰილაში, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ ბაღდადიდან 100 კილომეტრში მდებარეობს, მორიგი ტერორისტული აქტი განხორციელდა. თვითმკვლელმა ტერორისტმა ავტომანქანა ხალხმრავალ ადგილას, სავაჭრო მოედნის წინ ააფეთქა. ინციდენტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 125 კაცს გადააჭარბა. თუმცა, ეს საბოლოო მონაცემები არ არის და, შესაძლოა, გარდაცვლილთა რიცხვი თანდათან იზრდება.

30 იანვრის არჩევნების შემდეგ ერაყის პოლიტიკური წრეები ახალი მთავრობის ფორმირებით არიან დაკავებული. ქვეყნის წარსულისგან განსხვავებით, როდესაც ძალაუფლება სუნიტების ხელში იყო, ამჯერად ერაყს დომინანტ მმართველ ძალად შიიტები მოევლინებიან. ამ გარემოებამ ერაყში ძალადობის ისედაც მძლავრ ტალღას ახალი ძალა შესძინა. გარდამავალი ხელისუფლებისა და ერაყის ტერიტორიაზე აშშ-ს ხელმძღვანელობის ქვეშ კოალიციური ძალების მონინააღმდეგენი სულ უფრო ხშირად ახორციელებენ ტერაქტებს, რასაც შედეგად ათეულობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი მოსდევს. თუმცა, სეპარატისტთა მთავარ სამიზნეს სწორედ ის ხალხი წარმოადგენს, რომელიც ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს.

ტერორისტებმა მსოფლიოს თავი გუშინ კიდევ ერთხელ შეახსენეს. ბაღდადიდან ასი კილომეტრის დაშორებით მდებარე ქალაქ ჰილაში ერთდროულად ორი ტერაქტი განხორციელდა. პირველი აფეთქება ერთ-ერთ სამთავრობო დანესებულებასთან, სავაჭრო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაშინ მოხდა, როდესაც სახელწიფო სამსახურში მუშაობის დაწყების მსურველი მოქალაქეები შესაბამისი საბუთების შესავსებად და სამედიცინო შემოწმების გასავლელად იდგნენ რიგში. თვითმკვლელი ტერორისტის მიერ დანაღმული მანქანის აფეთქებას, წინასწარი ინფორმაციით, 125 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ 200 კაცს გადააჭარბა. ტერაქტმა სერიოზულად დააზიანა ახლომდებარე შენობები და ავტომანქანები. სამართალდამცველებმა აღნიშნულ ტერაქტში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი უკვე დააკავეს, მაგრამ გამოძიების დეტალები, ჯერჯერობით, არ ხმაურდება. ექიმთა მოწოდებით ხალხმა სისხლის ჩაბარებაც დაიწყო. "ჩვენ ხალხს სისხლის ჩაბარებისკენ მოვუწოდეთ. ასევე დახმარების თხოვნით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ექიმებს მივმართეთ. მათ ჩამოსვლა უკვე დაიწყეს," - განაცხადა ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმმა აბდულ რიდაჰმა "როიტერთან" საუბარისას. ფაქტობრივად, იმავდროულად მეორე აფეთქების ხმა 30 კილომეტრის დაშორებითაც გაისმა. ტერორისტებმა მანქანაში დამონტაჟებული ნაღმი, ამჯერად პოლიციის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე მოიყვანეს მოქმედებაში. ერაყის სამართალდამცავი ორგანოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტერაქტის შედეგად დაღუპულია ერთი და დაჭრილია ექვსი პოლიციელი.

სირიის ოფიციალური წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუშინდელი ტერაქტები სადამ ჰუსეინის ნახევარძმის საბავი იბრაჰიმ ალ-ჰასან ტიქრიტის დაკავებასა და ამერიკელთათვის მის გადაცემას უკავშირდება. ერაყის ოფიციალური პირების განცხადებით, დიქტატორის ძმა, პარტია "ბაას"-ის წევრი, 29 თანაგუნდელთან ერთად, ერაყის საზღვრიდან 30 კილომეტრის დაშორებით, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იმალებოდა.

რუსეთს და ევროკავშირს ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენა სურთ

ევროკავშირის "ტროიკასა" და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს შორის 28 თებერვალს ლუქსემბურგში შეხვედრა გაიმართა. მოლაპარაკებებისას გაირკვა, რომ ევროკავშირისთვის უსაფრთხოების საკითხია მთავარი, ხოლო რუსეთი ეკონომიკურ თანამშრომლობაზე აკეთებს აქცენტს.

ჟან ასელბორნი და სერგეი ლავროვი.

ევროკავშირის მხრიდან შეხვედრაში ევროკავშირის საბჭოს თავჯდომარე, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან ასელბორნი, ევროკავშირის კოორდინატორი საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში ხავიერ სოლანა და ევროკომისარი საერთაშორისო საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერი იღებდნენ მონაწილეობას. ბენიტა ფერერო-ვალდნერმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ საჭიროა ევროკავშირმა თავისი პოტენციალი რუსეთთან ურთიერთობაში გამოიყენოს და ოთხი საერთო სფეროს (ეკონომიკის, თავისუფლებისა და მართლმსაჯულების, საგარეო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობისა და მეცნიერებისა და კულტურის სფეროები) ფორმირებაში არსებითი წვლილი შეიტანოს. თუმცა, ფერერო-ვალდნერის განცხადებაზე დაყრდნობით, სააგენტო "ასოშეიითიდ პრეს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქმე არა მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავებას, არამედ გაცილებით ამბიციურ პროგრამას ეხება. "ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო ჩვენი საზღვრებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად. ჩვენ ასევე აქტიურად უნდა ვითანამშრომლოთ განათლებისა და მეცნიერების სფეროებში," - განაცხადა ფერერო-ვალდნერმა. თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნეს, რომ ევროკავშირის მხრიდან კომპრომისისთვის მზადყოფნის შემთხვევაში, მათ მაისის თვეში დაგეგმილი სამიტისთვის უკვე მზად ექნებათ საერთო ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისთვის სამოქმედო გეგმის ტექსტი.

მოსკოვი ევროკავშირთან გაცილებით სარფიანი შეთანხმების დადებას გეგმავს, ვიდრე ეს დსთ-ს სხვა ქვეყნებმა მოახერხეს. თუმცა, ნოემბერში ჰააგაში გამართულ სამიტზე პარტნიორებმა უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯი ვერ გადადგეს, რადგანაც მხარეები რუსეთის მხრიდან მის მეზობლებთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ბელორუსთან და კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებმაც კი ვერ მოახდინა გავლენა მხარეთა პოზიციებზე. მოსკოვი ასევე ბრალდებას უყენებს ევროკავშირს ჩეჩნეთში არსებული სიტუაციის მიმართ ორმაგი სტანდარტების მიღებაზე, რადგანაც ეთნიკური რუსების მდგომარეობა ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ესტონეთი და ლიტვა, საერთაშორისო სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. აღნიშნულ საკითხებში ურთიერთობის დარეგულირებას ხელი ორმხრივმა კონსულტაციებმა (ადამიანის უფლებათა, ეთნიკურ უმცირესობათა და ძირეულ ღირებულებათა დაცვის სფეროში) უნდა შეუწყოს, რომლებიც დღეს ლუქსემბურგში ექსპერტთა დონეზე შედგება. 10 მაისის სამიტამდე, რომლის ჩატარებაც მოსკოვშია დაგეგმილი, მხარეებს ორმხრივ ურთიერთობათა დარეგულირებაში გარკვეული წინსვლა სურთ.

ბოსნია-ჰერცეგოვინის არმიის ყოფილი სარდალი ჰააგას ჩაბარდა

კოტე ელიზბარაშვილი

რასიმ დელიჩი, ისევე, როგორც ჰააგის სხვა, წარსულში მაღალჩინოსანი ტუსაღები, ყველა ბრალდებას უარყოფს.

ბოსნიელ მუსლიმთა საჯარისო ნაწილების ყოფილი სამხედრო ხელმძღვანელი, 56 წლის მუსლიმი გადამდგარი გენერალი რასიმ დელიჩი ნებაყოფლობით წარდგა საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე. ჰააგის ტრიბუნალი მას 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ცენტრალურ ბოსნიაში სერბული და ხორვატი მოსახლეობის წინააღმდეგ დამსჯელი ზომების ორგანიზებაში ადანაშაულებს. დამსჯელ ღონისძიებებს ბოსნია-ჰერცეგოვინას არმიის მესამე კორპუსის შემადგენლობაში მყოფი "მოჯაჰედის" სპეციალური ქვედანაყოფი რასიმ დელიჩის უშუალო ბრძანებებით ახორციელებდა. აღნიშნული ქვედანაყოფი უცხოელი დაქირავებული მაჰმადიანი მებრძოლებისგან შედგებოდა.

რასიმ დელიჩს სარაევოს აეროპორტში მაღალი დონის "გაცილებაც" კი მოუწყვეს. ჰოლანდიაში მის გასაცილებლად სარაევოს აეროპორტში ბოსნიის პრემიერ-მინისტრი ადნან ტერზიჩი და ასობით ყოფილი ჯარისკაცი მივიდა. თვითმფრინავში ასვლამდე რასიმ დელიჩმა თავმოყრილ ხალხს მშვიდად განუცხადა: "არ იდარდოთ, სამართალი გაიმარჯვებს". გადამდგარი გენერალი ჰააგის ტრიბუნალის ყველა ბრალდებას უარყოფს.

ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე ჰააგაში შექმნილმა გაეროს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა დელიჩს ბრალი გასულ კვირას წაუყენა. ჰააგის ტრიბუნალი დელიჩს ეთნიკური ხორვატი და სერბი ტყვეების "მკვლელობითა და სასტიკი მოპყრობით" ომის კანონების დარღვევაში ადანაშაულებს. მანამდე აღნიშნულ ბრალდებას საიდუმლოდ ინახავდნენ. ბრალდებაში ნათქვამია, რომ დელიჩმა, რომელიც 1993 წლიდან მოყოლებული ბოსნიის ომის ბოლომდე არმიის მეთაური იყო, "იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ყველა დანაშაულს მის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარისკაცები ჩაიდენდნენ და მან ამის აღმკვეთი საჭირო ზომები არ მიიღო, არც დამნაშავეები დაუსჯია". 1993-1995 წლებში ცენტრალური ბოსნიის ქალაქების - ტრავნიკი და ვოჟუცა - მახლობლად "მოჯაჰედის" არაბმა მებრძოლებმა უამრავი ბოსნიელი ხორვატი და სერბი ტყვე მოკლეს. დელიჩი აცხადებს, რომ მასსა და არაბი დაქირავებული მებრძოლების ქვედანაყოფს შორის სამხედრო იერარქიით სამი ხელმძღვანელი იდგა.

დელიჩი ომის პერიოდის მეორე ბოსნიელი მუსლიმი სამხედრო ხელმძღვანელია, რომელიც ჰააგის ტრიბუნალმა სამხედრო დანაშაულების ჩადენაში დაადანაშაულა (ჰააგის ტრიბუნალი 1990-იან წლებში ბალკანურ კონფლიქტებში გარეულ ხორვატ და სერბ ხელმძღვანელ პირებსაც ასამართლებს, მათ შორის, იუგოსლავიის ყოფილ პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩს). მანამდე ჰააგის ტრიბუნალს ბოსნიელ მუსლიმთა ერთ-ერთი სამხედრო ხელმძღვანელი სეფერ ხალილოვიჩი ჩაბარდა, რომელსაც ბრალი 1993 წელს ორ სოფელში (გრაბოვიცა და უზდოლი) 62 ხორვატი მშვიდობიანი მცხოვრების მკვლელობაში ედება. ხალილოვიჩის სასამართლო პროცესი თებერვლის დასაწყისში დაიწყო.

სპეცდანაყოფი "მოჯაჰედი", აგრეთვე, ფიგურირებს ორი სხვა მაღალჩინოსანი ბოსნიელი მუსლიმის საქმეშიც. ესენი არიან შტაბის უფროსი გენერალი ენვერ ჰაჯიხასანოვიჩი და ბრიგადის უფროსი ამირ კუბურა. მათაც ცენტრალურ ბოსნიაში სერბი და ხორვატი ტყვეების მკვლელობა და წამება ბრალდებათ.

გაეროს სამხედრო ტრიბუნალი ყოფილ იუგოსლავიაზე სამხედრო დანაშაულის ჩადენაში უამრავ ოფიციალურ პირს ადანაშაულებს. ბალკანური კონფლიქტის დროს სულ ორასი ათასი ადამიანი დაიღუპა. ბრალდებულთა უმეტესობა სერბია, მათ შორის რადოვან კარაჯიჩი და რატკო მლადიჩი, რომლებსაც, ბრალდების თანახმად, სხვა დანაშაულთან ერთად გენოციდის მოწყობაც ბრალდებათ. ორივე მათგანი დღემდე ემალება მართლმსაჯულებას და არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ არც ერთს არ დაუტოვებია სერბეთის ტერიტორია. ჰააგის ტრიბუნალი ბოსნიელი სერბების ხელმძღვანელობას ტრიბუნალის მუშაობის ხელის შეშლაში ადანაშაულებს, რადგან მათ კონფლიქტის დასრულების შემდეგ არც ერთი ეჭვმიტანილი არ დაუპატიმრებიათ.

"ხავერდოვანი გადადგომა" ლიბანში

მასობრივი საპროტესტო აქციების ზეწოლით ლიბანის მთავრობა გადადგა

"ჩვენ არ გვინდა სხვა არმია ლიბანში ლიბანურის გარდა".

ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ომარ კარამიმ გუშინ ტელევიზიით გამოსვლისას გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. კარამის თქმით, მას არ სურს, რომ ქვეყნის კეთილისმსურველებისთვის მთავრობა წინააღმდეგობად იქცეს. ამის შესახებ მან ლიბანის პარლამენტის სპეციალურ სხდომაზე განაცხადა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჰარირის მკვლელობასთან დაკავშირებით შეიკრიბა. ოპოზიციური ფრაქციები აღნიშნულ სხდომაზე მთავრობის უნდობლობის ვოტუმის კენჭისყრაზე დაყენებას აპირებდნენ. მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს პროცედურა საჭირო აღარ გახდა.

მთავრობის გადადგომას ბეირუთის ქუჩებში მრავალათასიანი საპროტესტო აქციები უსწრებდა წინ. ქუჩის აქციების გამართვის ოფიციალური აკრძლავის მიუხედავად, ბეირუთის ცენტრალურ მოედანზე ათობით ათასი დემონსტრანტი შეიკრიბა, რომლებიც მთავრობის გადაყენებას და ქვეყნის ტერიტორიიდან სირიის ჯარების გაყვანას მოითხოვდნენ.

საპროტესტო ტალღა გასულ თვეში ტერაქტის შედეგად ჰარირის მკვლელობამ გამოიწვია. ლიბანშიც და მის ფარგლებს გარეთაც ბევრი თვლის, რომ ამ დანაშაულში სირიის ხელი ურევია. რამდენიმე დღის განმავლობაში ლიბანი პარალიზებული იყო საყოველთაო გაფიცვებით - დაიხურა ბანკები, სკოლები და მრავალი კერძო კომპანია.

გუშინ მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა წამებულთა მოედანზე, იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც რაფიკ ჰარირია დაკრძალული. ლიბანელი სამხედროების ინფორმაციით, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 20 ათასამდე დემონსტრანტი იყო შეკრებილი. მაშინ, როცა ოპოზიცია ბევრად უფრო მეტი პროტესტანტის (დაახლოებით 50 ათასი) შესახებ საუბრობდა. ჯარისკაცებმა დაკავებული ჰქონდათ ქალაქის ცენტრალური ნაწილი. დემონსტრანტებსა და სამთავრობო ძალებს შორის შეჯახება თითქმის გარდაუვალი ხდებოდა. ბრბოდან გაისმოდა შეძახილები: "ჩვენ არ გვინდა სხვა არმია ლიბანში, ლიბანურის გარდა".

საპასუხოდ, სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფაროუქ შარაა ირწმუნებოდა, რომ თავად ლიბანელებს არ სურთ სირიის ჯარების გაყვანა.

გასულ კვირას სირიის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თავის ჯარისკაცებს დასავლეთ ლიბანიდან სირიის მოსაზღვრე რაიონებში გადაიყვანდნენ, თუმცა, არ დაუზუსტებიათ, როდის დაიწყებოდა ეს გადაადგილება.

მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა პარალელური მიტინგების გამართვისა და მასობრივი არეულობის დაწყების შესაძლებლობა, ლიბანის ხელისუფლებამ დემონსტრაციები საერთოდ აკრძალა. ბეირუთში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე დევიდ სატერფილდი, რასაც პროსირიული ძალები აშკარა უკმაყოფილებით შეხვდნენ.

ჰარირის მკვლელობის შემდეგ, თეთრი სახლი სულ უფრო აძლიერებს ზეწოლას სირიაზე. ვაშინგტონის წარმომადგენელმა კვლავ განაცხადა სირიელი ჯარისკაცების გაყვანის აუცილებლობის შესახებ, რომლებიც ლიბანში 1976 წლიდან იმყოფებიან. გარდა ამისა, ვაშინგტონი დამასკოსაგან მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტას მოითხოვს. სირიას იგივე მოთხოვნებს გაეროც უყენებს.

"გაეროს 1559-ე რეზოლუციის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ლიბანელმა ხალხმა გარედან ჩარევის გარეშე, ზეწოლისა და მუქარისაგან თავისუფალ ატმოსფეროში მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები," - განაცხადა სატერფილდმა.

აშკარაა, რომ არა აშშ-ს ასეთი თვალსაჩინო მხარდაჭერა, ლიბანელებს, სავარაუდოდ, გაუჭირდებოდათ საკუთარი "ცუდი" მთავრობის უსისხლოდ გადაყენება. საინტერესოა, მოახერხებენ თუ არა ისინი სირიელი ჯარისკაცებისგანაც ასევე მშვიდობიანად გათავისუფლებას.

24 საათი

ვერიკო თევზაძის სვეტი

ლიფტში გაჭედილი მგზავრის წერილი

"ლიფტიორი ლექსოს ტელეფონის ნომერი გამიგეთ, გეხვეწებით"! - მარჯვენა ხელის დახმარებით მობილურ კავშირს ვამყარებ გვერდით სადარბაზოში მცხორებ ნათესავთან, მარცხენა კი ლიფტის შიდა კარებში სპეციალურად "გავჩარე" და ღრიჭოს ვინარჩუნებ: გაჭედილ ლიფტში ყოფნისა არ მეშინია, მაგრამ სიბნელე ნერვულ სისტემაზე უკიდურესად დამთრგუნველად მოქმედებს! - როგორი დღეც, როგორი ორშაბათიც მქონდა, სვეტის პირველი წინადადებაც ზუსტად ისეთივე რთული გამომივიდა.

ნახევარი საათი უკვე გავიდა, ნათესავი ლექსოს ესაუბრა და ახლა ლიფტის წინ ატუზული მგულშემატკივრობს. მე პერიოდულად საათს ვკითხულობ და ვბუტბუტებ, რომ დღის გეგმები ჩამეშალა.

გუშინწინ, კვირას მეზობელმა "თელასის" ქვითარი გადმომცა. "თელასი" მწერდა, უფრო სწორად, მკაცრად მაფრთხილებდა, თუ არაუგვიანეს 8 მარტისა, ფულს არ გადამიხდი, ელენერგიის მიწოდებას შეგიწყვეტო. როგორც კი ორშაბათი გათენდა, მე, როგორც კეთილსინდისიერმა გადამხდელმა, გადავწყვიტე, ორშაბათ დილასვე, სამსახურში წასვლამდე, "თელასის" ვარკეთილის ორგანიზაციას ვსტუმრებოდი. ლიფტში რომ ჩავჯექი, "თელასმა" შუქი გამომირთო. ამჯერად აღარ გავუფრთხილებივარ, ადგა და, უბრალოდ, გამომირთო. ახლა ლიფტში ვარ გაჭედილი და ჩემზე პასუხისმგებლობას "თელასი" კი არა, ჩემი ნათესავ-მეზობლები და ლიფტიორი ლექსო კისრულობენ.

40 წუთის შემდეგ, ლიფტიდან გამოსვლისას ჩემი დანახვით გახარებული გულშემატკივრების ემოციების გადმოცემით თავს არ შეგაწყენთ. არც ის იქნება ძალიან საინტერესო, დაწვრილებით მოგიყვეთ, "ვარკეთილის" მეტროსთან მდგარი მგზავრები, მეტროპოლიტენის პარალიზების შემდეგ, ტაქსებით როგორ გადაადგილდებოდნენ ზემოთ მდებარე მიკრორაიონებში, რათა იქიდან გამომავალ სამარშრუტო ტაქსებში ჩასხდომის საშუალება მისცემოდათ. ვარკეთილიდან "დელისამდე" ზუსტად საათი და 40 წუთი ვმგზავრობდი. საკობებს რა ხანია, შევეჩვიეთ, მაგრამ გუშინ სიტუაცია კატასტროფული იყო. უშუქობის გამო შუქნიშნები არ მუშაობდა და ქუჩებში პატრული იყო გამოფენილი. პოლიციელები, სპორტული მსაჯების დარად, ხელების მოძრაობით ცდილობდნენ სიტუაციის დარეგულირებას...

სარედაქციო დავალებების განაწილების შემდეგ თაბუკაშვილის ქუჩაზე აღმოვჩნდი, პრესკონფერენციაზე. შემთხვევით ვისარგებლე და ღონისძიების დასრულების შემდეგ, როგორც კეთილსინდისიერმა გადამხდელმა, ამავე ქუჩაზე მდებარე "საქართველოს ბანკის" ფილიალს მივაშურე. ჩემი ჯერი რომ დადგა, ბანკში შუქი ჩაქრა (გეფიცებით, არაფერს ვიგონებ), მომსახურე პერსონალმა ქვითრის ამობეჭდვა ვერ მოასწრო. უკან რომ გამოვბრუნებულიყავი, არ შეიძლებოდა, ვინაიდან მომსახურების "რიტუალი" უკვე დაწყებული იყო - ქვითარს, რომელიც თელასმა გამომიგზავნა, ნახევარი უკვე ჩამოახიეს და მე იძულებული ვიყავი, ბოლომდე დავლოდებოდი... როდის ჩამირთავდა "თელასი" შუქს (ამჯერად ბანკში) და როდის მომცემდა საშუალებას, მისთვის ფული გადამეხადა... ასეთი მომსახურებისათვის!

ერთი სიტყვით, მე იმაზე უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ვიდრე ბანკის შენობაში ფეხს შევდგამდი. იქვე სკამზე ჩამოვჯექი და ნერვები რომ არ ამშლოდა, იუმორით დავუწყე თვალიერება მაგიდაზე მოთავსებულ, ჩემთვის, ცოტა არ იყო, უცნაურ საწერკალამს. სპეციალურად მომხმარებელთათვის განკუთვნილი კალამი პლასტმასის "შნურით" პეწიანად არის მიმაგრებული მაგიდაზე, ვინიცობაა ვინმეს რომ არ გაჰყვეს ხელთ... (გამახსენდა, სტუდენტობის წლებში წერეთელზე ვცხოვრობდი და მეტროს უკან მდებარე პატარა ბიბლიოთეკაში ქალბატონ იულიას ზუსტად ასე ჰქონდა მიმაგრებული უბრალო პასტა უბრალო წვრილ თოკზე).

შუქი მალე მოვიდა და რამდენიმე წუთში ბანკის შენობა დავტოვე. განტვირთვის მიზნით, რუსთაველს ჩავუყევი. ზემელზე მდგარ მხატვრებს რომ მივუახლოვდი, სურათებთან და ნაკეთობებთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტის ორი ფოტო შევნიშნე. ორივე საშუალო ზომისა იყო, ოღონდ ერთი გრძივი იყო, მეორე - განივი. ფასი რომ ვიკითხე, გამყიდველმა მითხრა, 25 ლარი ღირს, მაგრამ თუ გულით მყიდველი ხარ, ცოტას დაგიკლებო. ფული არ მქონდა, თორემ ნამდვილად საინტერესო ფინალი იქნებოდა, როგორც ჩემი გუშინდელი დღის, ისე ამ წერილისათვის...

მეტრო "რუსთაველთან" ხალხი შეგროვილიყო, საკმაოდ გაღიზიანებული ადამიანები მეტროპოლიტენის ამუშავებას ელოდნენ. კანტი-კუნტად ლანძღავდნენ "თელასს", ძირითადად, იერიში ხელისუფლების წინააღმდეგ მიჰქონდათ. **"ამ დღეებში ყველაფერი შეგვიწყვიტეს - გაზიც, წყალიც, შუქიც, ბარემ ჰაერიც გადაგვიკეტონ!.." "კარგი ხელისუფლების ხელში "თელასი" ამდენს ვერ გაბედავდა, ხელისუფლება გვიშვრება ყველაფერს!.." "ერთი საათიც რომ გადამიცდეს გადახდა, "თელასი" მაშინვე ჩამიჭრის. მე რისი უფლება მაქვს, როცა უნდა, მაშინ გამომირთავს დენს?.."**

"ტელევიზორში გამოუცხადებიათ, "კავკასიონზე"ისევ ავარია მოხადაო. არ მაინტერესებს, მე რომ "თელასს" ავუხსნა, უმუშევარმა ადამიანმა ამ თვეში ფული ვერ შევაგროვე და გადამივადე-თქო, მომისმენს?"

ერთმა ქალბატონმა თანამოსაუბრეებს ავი პროგნოზის შესახებ აუწყა: მარტის ბოლოს ენგურის რეაბილიტაცია დაიწყება და შუქი თითქმის საერთოდ არ გვექნებაო. **"თუ არ გვექნება, ჩემო ბატონო,** - ნერვები აეშალა და ხმას აუწია შუა ხნის კაცმა, - **თუ ასე ხშირ-ხშირად დაგვაყენებენ ქუჩაში და ხშირ-ხშირად შეგვკრებენ რუსთაველზე, ტრანსფარანტების შოვნას რა უნდა!.. ხომ არ დაავიწყდა ამ ხელისუფლებას ვარდები და ხავერდები..."**

ამ დროს ოთხმა ნომერმა "მარშუტკამ" გამოიარა და სამსახურისკენ გამოვეშურე.

ახლა ვზივარ და ვყოყმანობ, შევთავაზო თუ არა რედაქტორს ეს წერილი...

ქართული კომპიუტერი

ბასკებს, უელსს, აფრიკულ ტომებსაც კი საკუთარენოვანი კომპიუტერი ჰქონიათ და, საერთოდ, სახელმწიფოს პრესტიჟია, გქონდეს სახელმწიფო ენაზე კომპიუტერი. ჩვენ, მომხმარებელს კი არჩევანი გვექნება - ოპერაციული სისტემები, ვინდოუსი, ლინუქსი, მაკინტოში. გვინდა თუ არ გვინდა, უნდა შევეგუოთ იმას, რომ მსოფლიო კომპიუტერის ბაზრისთვის ქართული ენა "აუცილებელი" არ არის, სრული მხარდაჭერა არ ექნება, მაგრამ, თურმე, აქაც შეიძლება ღირსეული გამოსავლის მოძებნა - ლინუქსი, იაფი და იორღაო,- ქართულად რომ იტყვიან. ლინუქსი ღია სტანდარტებზეა და გვაძლევს საშუალებას, რომ სრულიად გაქართულდეს. შესადარებლად - ლეგალურად ვინდოუსის ოპერაციული სისტემის და კომერციული საოფისე პროგრამების პაკეტის დაყენების ლიცენზია ერთ კომპიუტერზე ათას დოლარს აღემატება, ლინუქსი კი უფასოა. ნოშრევან ჩხაიძე - ლოკალიზაციის ექსპერტია. თეატრალური ინსტიტუტრის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნოშრევან ჩხაიძე

დალი კუპრავა

- რა საჭიროა კომპიუტერის გაქართულება?

- კომპიუტერის გარეშე, დღითიდღე წარმოუდგენელი ხდება ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობა: მეცნიერება, ხელოვნება, ბიზნესი, სწავლა-განათლება... კომპიუტერული ენის გადმოქართულება ხელს შეუწყობს კომპიუტერისა და კომპიუტერული პროგრამების ათვისებას, მუშაობას ნებისმიერ სფეროში. გარდა ამისა, თავიდან ავიცილებთ ქართულში უცხო სიტყვების სტიქიურ დამკვიდრებას. ხელს შევუწყობთ ქართული ენის პოპულარიზაციასა და განვითარებას. კომპიუტერი არ არის ქართული გამოგონება, მაგრამ თუ დღეს მისი გამოყენება ჩვენ მრავალ სფეროში გვიწევს, სასურველია, იგი სრულიად ქართული იყოს.

- როდიდან დაიწყო კომპიუტერის "გაქართულება"; ეს ხომ ერთი დღის და თუნდაც ერთი წლის საქმე არ არის?

- ამ მხრივ, დიდი წვლილი მიუძღვის გია შერვაშიძეს. თითქმის, 20 წლის წინ მან შექმნა ქართული შრიფტი იმდროინდელი სისტემისათვის და ხელს უწყობდა საქართველოში IT ტექნოლოგიების დამკვიდრებას. გოგი გომელაურმა ქართული ენის მხარდაჭერა შემოიღო იმ დროისათვის გავრცელებულ სისტემაში; ასევე, შექმნა საქართველოში პირველი ელექტრონული ფოსტის სერვერი, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია საქართველოში ინტერნეტის განვითარებაზე. ქართული ენის კომპიუტერებსა და ინტერნეტში დამკვიდრებაში და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებზე გადასვლაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ბესო გუგუშვილს. მან, ასევე, შექმნა ტექნიკურად გამართული ქართული შრიფტები, რომლებიც დღეს საუკეთესოა ინტერნეტში და კომპიუტერის ეკრანზე გამოსაყენებლად.

- თქვენ როდიდან ჩაერთეთ ამ სფეროში?

- ჩემი პირველი ნამუშევარი ჯერ კიდევ გერმანიაში შევასრულე; სახუმარო პროგრამა იყო. ეს გახლდათ პოპულარული ფაილების მენეჯერის Windows Commander-ის გაქართულება, ოღონდ არა მარტო ლიტერატურული, არამედ ქართული კილოკავების მიხედვითაც (გურულებისათვის გურულ კილო-კავზე; იმერლისთვის - იმერულზე და ა.შ.); ჩვიდმეტი წლის ვიყავი და მეხუმრებოდა. 1998 წლიდან კი სერიოზულად შევუდექი გაქართულებას. ამ დროისათვის საერთოდ არ არსებობდა გაქართულების გარემო. მსოფლიოში კი უკვე ინტერნეტის ბუმი იდგა. პოპულარული ხდებოდა ღია წყაროზე დაფუძნებული პროგრამა "ლინუქსი". მე "ლინუქსის" პროგრამას დავუმატე ქართული მხარდაჭერა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა ამ პროგრამაში ქართული წერა, კითხვა... ასევე, შევქმენი ქართულ ენაზე ლოკალიზების გარემო, რაც ხშირად ბევრი ტექნიკური პრობლემის გადაჭრას მოითხოვდა. პარალელურად, ბ-ნი ბესო გუგუშვილი ეწეოდა უნიკოდის სტანდარტის პოპულარიზაციას და ამან ხელი შეუწყო კომპიუტერში ქართული ენის გამოყენების სტანდარტის დამკვიდრებას. მისი დიდი წვლილია ისიც, რომ დღეს შესაძლებლობა გვაქვს, გავაქართულოთ ესა თუ ის პროგრამა და გამართულად გავაკეთოთ ვებგვერდები ქართულ ენაზე.

გერმანიაში ყოფნისას, ასევე, დავიწყე "ლინუქსის" ინტერფეისის გაქართულება. 2000 წელს ჩამოვედი თბილისში. შევასრულე რამდენიმე ინტერნეტ-რესურსის გაქართულების პროექტი. მათ შორის მნიშვნელოვანია მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული საძიებელი პროგრამა google-ის გაქართულება. ამ პროგრამაში შეტანილ ყველა ქართულ გვერდს, რომელიც უნიკოდის სტანდარტის შესაბამისად არის შექმნილი, google ცნობს როგორც ქართულენოვან გვერდს და იწერს სრულ ტექსტს თავის ბაზაში. შედეგად, შესაძლებელი გახდა ქართულენოვანი ვებგვერდების ბაზაში ქართულენოვანი ტექსტის მოძიება.

ასევე, რამდენიმე წლის წინ ხელშეკრულება გამიფორმა ცნობილმა და ერთ-ერთმა გავრცელებულმა "ინტერნეტ-ბრაუზერმა" Opera-მ, რასაც შედეგად მოჰყვა პირველი ქართულენოვანი ინტერნეტ-ბრაუზერის შექმნა. ეს გახლდათ პირველი საერთაშორისო აღიარების მქონე პროგრამა, რომელიც ქართულ ენაზე ოფიციალურად გამოვიდა.

ასევე, გავაქართულე ცნობილი მულტიმედია ფლეიერი Winamp და მისი კონკურენტი ლინუქსზე - XMMS.

ვაწარმოებდი და ვაწარმოებ "ლინუქსზე" სხვადასხვა პროგრამის ლოკალიზებას.

ვმონაწილეობდი "ვინდოუსის" გასაქართულებლად შექმნილ ჯგუფშიც, რომელიც პროგრამისტის და ლოკალიზატორის გიორგი აღხაზიშვილის თაოსნობით შეიქმნა. ჯგუფი ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შექმნაზე მუშაობდა.

ახლახან დავასრულე და ინტერნეტში გამოვაქვეყნე ყველა ის ლოკალიზაციის (გაქართულების) პროექტი, რომელსაც კოორდინაციას ვუწევ. ჩემი მიზანი გახლდათ, შექმნილიყო ერთიანი ლოკალიზაციის გარემო, სადაც მსურველებს შესაძლებლობა ექნებოდათ, შეემუშავებინათ ტერმინოლოგია, მიეღოთ მონაწილეობა გაქართულების სხვადასხვა პროექტში და გაეზიარებინათ უკვე შემუშავებული ტერმინთა და ფრაზათა ბაზა. გვერდი უკვე ფუნქციონირებს და მისი მისამართია www.gakartuleba.org (პარადოქსია, მაგრამ ამჟამად ინგლისურ ენაზეა შექმნილი, ქართულენოვანი ვერსია მზადდება). პროექტებში შედის ღია პროგრამულ წყაროზე დაფუძნებული "ლინუქსის" ცნობილი დისტრიბუციების, საოფისე პროგრამებისა და გრაფიკული დესკტოპის სისტემების გაქართულება; ასევე სხვა მრავალი პროდუქტის გაქართულების პროექტი.

მალე, "ლინუქსის" სახით, ჩვენ გვექნება ჩემ მიერ სრულიად გაქართულებული ოპერაციული სისტემა; გვექნება სრულიად ქართული საოფისე პროგრამების პაკეტი, გრაფიკული პროგრამები, თამაშები და მრავალი სხვა.

ამჟამად ვმუშაობთ საოფისე პაკეტის ქართული ტერმინოლოგიის გაქართულებაზე, რისთვისაც საგანგებო გარემო შევქმენით. პროექტში მონაწილეობს სხვადასხვა ექსპერტი და ენათმეცნიერი, თუმცა სასურველია მეტი აქტიურობა. ეს ტერმინოლოგია საფუძვლად დაედება ქართული საოფისე პაკეტის შქმნას.

- რას შეგვძენს "ლინუქსისა" და საოფისე პროგრამების გაქართულება?

- ეს პროდუქტები დაფუძნებულია ღია პროგრამულ წყაროზე და ღია არქიტექტურაზე. დღეს windows ყველაზე გავრცელებული ოპერაციული სისტემაა, მაგრამ მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ლინუქსისა და ღია პროგრამულ წყაროზე დაფუძნებული სხვადასხვა პროდუქტის პოპულარობა. გარდა იმისა, რომ ლინუქსი და ამ პლატფორმისთვის შექმნილი პროგრამები ღია წყაროს ეფუძნება და მისი გავრცელება უფასოდ არის ნებადართული, ეს პროდუქტები ფუნქციურად უკვე აღარ ჩამორჩება მაიქროსოფტის გავრცელებულ პროდუქტებს, დაცულია ვირუსებისაგან, ღია პროგრამული წყარო კი სრული გაქართულების გამჭვირვალე გარემოს იძლევა.

windows-ი და microsoft-ის სხვა კომერციული პროგრამები დაკეტილ პროგრამულ წყაროს ეფუძნება, ხოლო მათ გამოყენებას ლიცენზია სჭირდება, რაც ხშირად ერთ კომპიუტერზე ათას დოლარს აღემატება. დღეს ჩვენთან ირღვევა საავტორო უფლებები და კომპიუტერებზე არალიცენზირებული პროგრამებია ჩაწერილი (იქნება ეს კერძო მომხმარებლების კომპიუტერებზე, თუ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში). რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში მალე კანონიერება დამყარდება და ჩვენც იძულებული ვიქნებით, კომპიუტერში მხოლოდ ლიცენზირებული პროდუქტები დავაყენოთ. ასე რომ, პროდუქტები, რომელიც დაფუძნებულია ღია პროგრამულ წყაროზე და ღია არქიტექტურაზე, მათი გავრცელება და კომპიუტერზე დაყენება კი უფასოდ არის ნებადართული, მნიშვნელოვანი გახდება სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო კომპანიებში, სკოლებში და ა.შ.

მით უმეტეს, ამ პროდუქტებს სულ მალე ქართული ენის სრული მხარდაჭერა ექნება (ამჟამად მიმდინარეობს windows-ის მხოლოდ ნაწილობრივი გაქართულება, სადაც კომპანია UGT-სთან მეც ვითანამშრომლებ) და მომხმარებლისთვის კომპიუტერის გამოყენებისას (იქნება ტექსტის რედაქტირება, ელექტრონული ფოსტის შემოწმება თუ ინტერნეტ გვერდების დათვალიერება), უცხო ენის ცოდნა აუცილებელი არ იქნება. მნიშვნელოვანია, რომ საშუალება მოგვეცემა, სკოლებში ინფორმატიკა სრულიად ქართულენოვანი პროგრამებით ვასწავლოთ.

შედეგად, ლინუქსი და ღია პროგრამულ წყაროზე დაფუძნებული პრდუქტები ჩვენს ქვეყანაშიც ისეთივე პოპულარული გახდება, როგორც ეს უკვე მთელ მსოფლიოშია. ამგვარი პროდუქტები დღეს უკვე მრავალი ქვეყნის სამთავრობო, არასამთავრობო და საგანმანათლებლო სისტემებში გამოიყენება და დღითიდღე იზრდება მათი პოპულარობა.

ასევე, მონაწილეობას მივიღებ "მაკინტოშის" გაქართულებაში, რომელიც ძალიან კარგი კომერციული ალტერნატივაა და ეს სისტემა ძალიან პოპულარული და პრესტიჟულია მრავალ ისეთ სფეროში როგორიცაა, მაგალითად - კომპიუტერული გრაფიკა, საგამომცემლო საქმიანობა, არამიმდევრობითი მონტაჟი და სპეცეფექტები; ასევე გავრცელებულია მრავალი ქვეყნის სკოლებში, ვინაიდან იგი განსაკუთრებით სტაბილური და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროდუქტია. მაკინტოშზე ქართული ენის ნაწილობრივ მხარდაჭერას ფინეთში ქართველმა ემიგრანტმა რენო სირაძემ ჩაუყარა საფუძველი; გაქართულების პროექტს კი, სავარაუდოდ, პარიზში მცხოვრები ენათმეცნიერი და ლოკალიზაციის ექტპერტი ვასილ კეკელია უხელმძღვანელებს.

თეთრხალათიანთა აქციები მერიასთან

გასული წლის დეკემბერში თბილისის ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლის მეან-გინეკოლოგები და ნეონატოლოგები გაიფიცნენ. ისინი მთავარი ექიმის დალი გაბიძაშვილის უპირობო გადაყენებასა და დირექტორის არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ. იგივე მოთხოვნებით მათ იანვარში შიმშილობა დაიწყეს. გუშინ და დღეს მეოთხე სამშობიარო სახლის მედპერსონალი მერიის შენობასთან, იგივე მოთხოვნით, აქციებს მართავს.

თამარ დვალი

თბილისის ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლის მეან-გინეკოლოგები და ნეონატოლოგები, უკვე სამი თვეა, რაც მათი მთავარი ექიმის დალი გაბიძაშვილის გადადგომას მოითხოვენ. ექიმებმა ჯერ კაბინეტის კარი აუჭედეს გაბიძაშვილს, შემდეგ გაიფიცნენ და შიმშილობა გამოაცხადეს. თუმცა, პროტესტის უმაღლესი ფორმის მიუხედავად, ქალბატონი დალი გადადგომას მაინც არ აპირებს. გუშინ მედპერსონალმა თბილისის მერიასთან საპროტესტო აქცია გამართა, რომელიც დღესაც გრძელდება.

კოლექტივს თავისი ხელმძღვანელის მიმართ ბევრი პრეტენზია აქვს, თუმცა ოთხ ძირითად ბრალდებას გამოყოფენ, ეს არის: დიქტატორული მართვის პრინციპები, ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვა, შრომის კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების დარღვევა.

"ეს არის რამდენიმე ადამიანის ამბიცია, რომელიც პროვოცირებულია გარედან. აქციის მონაწილეთაგან რამდენიმეს დირექტორის სავარძელი სურს და ამისთვის იბრძვიან. მათი ბრალდებები უსუსური და არარგუმენტირებულია. დირექტორის თანამდებობაზე 2001 წლიდან ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში 72 პროცენტით გაიზრდა მშობიარეების რიცხვი, რაც მხოლოდ წარმატებებზე მიუთითებს. მე დანიშნული ვარ მერიის მიერ და თუ ზემდგომი ორგანოები გადაწყვეტენ, რომ მე არ შევეფერები ამ თანამდებობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავდგები, ამათი მოთხოვნით კი - არა", - ასეთია დალი გაბიძაშვილის კომენტარი მეოთხე სამშობიარო სახლში განვითარებულ მოვლენებზე.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით "საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ" 25 თებერვალს მათ მიერ ჩატარებული მონიტორინგის მონაცემები გამოაქვეყნა. ასოციაციის წარმომადგენლის მაკა ჩახმახაშვილის განცხადებით, თბილისის მეოთხე სამშობიარო სახლის თანამშრომლების ერთი ნაწილის მიერ დირექტორ დალი გაბიძაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა.

"სამშობიარო სახლის ირგვლივ ცოტა ხნის წინათ ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ ჟურნალისტური მოკვლევა ჩატარდა, თუმცა დირექტორთან დაპირისპირებულმა მხარემ ჩვენთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ საავადმყოფოს დირექტორის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დასტურდება", - განაცხადა ჩახმახაშვილმა. მისი ინფორმაციით, სამშობიარო სახლის დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად ფინანსურმა პოლიციამ დაადასტურა, რომ აღნიშნულ დაწესებულებას სახელმწიფოს წინაშე არავითარი ფინანსური დვალიანება არ გააჩნია.

აქციის მონაწილეები "საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის" მიერ ჩატარებულ მოკვლევას არაობიექტურს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ მონიტორინგი დაკვეთით ჩატარდა.

"ჩვენი მოთხოვნები არ შეცვლილა - კვლავ გაბიძაშვილის უპირობო გადადგომას მოვითხოვთ. ახალ სამეთვალყურეო საბჭოს გვინიშნავენ, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, მანანა ჩხეიძე და დარეჯან ზედგინიძე გაბიძაშვილის ახლობლები არიან. აქედან გამომდინარე, ახალ სამეთვალყურეო საბჭოს უნდობლობას ვუცხადებთ", - აღნიშნეს "24 საათთან" საუბრისას აქციის მონაწილეებმა.

მერიასთან მიმდინარე აქციას პარლამენტარი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის წარმომადგენელი ლევან მეტრეველი შეესწრო, რომელიც აქციის მონაწილეებს დახმარებას დაჰპირდა.

"შემთხვევით ჩავიარე მერიასთან და თეთრხალათიანი ხალხი რომ დავინახე, ვითარებაში გარკვევა ვცადე. ეს პრობლემა ჩემთვის ცნობილი იყო, თუმცა დეტალები არ ვიცოდი. დღესვე ქონების მართვის სამსახურს მივმართავ წერილობით, რომ გადმომიგზავნონ შესწავლილი მასალა. დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადდება კონკურსი, რომელიც იქნება გამჭვირვალე; დადგინდება რეგისტრაციისა და დამტკიცების ვადები; კონკურსის პროცესში დამკვირვებლის სტატუსით ჩავერთვებით პარლამენტარები, საკრებულოს წევრები და ჟურნალისტები. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს კონკურსში მონაწილეობის მიღება", - აღნიშნა მეტრეველმა.

აქციის მონაწილეებმა ქალაქის მერთან შეხვედრა გუშინ ვერ მოახერხეს და იმედი აქვთ, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილს დღეს მაინც შეხვდებიან.

Koninkrijk der Nederlanden

მცირე გრანტების კონკურსი

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში აცხადებს კონკურსს მცირე პროექტების დასაფინანსებლად. პროექტების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ქართული საზოგადოების მდგომარეობაში დადებითი ცვლილებების შეტანას. კერძოდ, კონკურსი ცხადდება იმ პროექტებისათვის, რომელთა მიზანია:

■ სიღარიბის დაძლევა მდგრადი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის შექმნა, რაც სარგებლობას მოუტანს ადგილობრივი მოსახლეობის სამიზნე ჯგუფებსა და მათ გარემოს; ყურადღება ექცევა ამ საქმიანობაში თანასწორ გენედერულ მონაწილეობას.

დასაფინანსებლად პროექტების შერჩევისას მდგრადობა (ანუ ღონისძიებების გაგრძელება, ანდა მათი შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ადგილობრივ, სათანადოდ რეგისტრირებულ, არა-სამთავრობო, არა-მომგებიან ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და სათანადო შესაძლებლობები. ნიდერლანდების სამეფოს საელჩო არ გასცემს გრანტებს კერძო პირებზე, მომგებიან ან სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებსა და პოლიტიკურ პარტიებზე.

ინგლისურ ენაზე დაწერილი პროექტი შემოტანილ უნდა იქნეს **2005 წლის 29 აპრილამდე**. კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება ივნისის შუა რიცხვებში. დაფინანსების მაქსიმალური თანხა თითო პროექტზე შეადგენს 18.000 ლარს. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს მხოლოდ კონკრეტული საპროგრამო ღონისძიებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციები განაცხადის ფორმას მიიღებენ შემდეგ მისამართზე (ან ელექტრონულად):

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. N 20, თბილისი 0103
ტელ.: (995 32) 77 45 04
ფაქსი: (995 32) 77 45 24
ელ. ფოსტა: TBI@minbuza.nl

ორი სიტყვით

რუსთავი. რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ "მერაბუკაში" ღამის საათებში ინციდენტი მოხდა, რომლის დროსაც დანით მძიმედ დაჭრეს 30 წლის მიხეილ რაჭველიშვილი და 30 წლის ლელა ლომიძე. ორივე დაზარალებული რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდათ. როგორც რუსთავის პოლიციის უფროსი დავით ცირეკიძე აცხადებს, კაფე-ბარში ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 109-ე - მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა. გამოკვეთილია დანაშაულში ეჭვმიტანილი პირიც, თუმცა მისი ვინაობა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ სახელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სამტრედია. სამტრედიელმა სამართალდამცველებმა შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე არასრულწლოვანები ლევან დოლიძე და მიხეილ ქაროსანიძე დააკავეს. როგორც რაიონულ პოლიციაში აცხადებენ, დაკავებულები რამდენიმე ყაჩაღობაში არიან ეჭვმიტანილები. პირადი ჩხრეკისას დოლიძეს - გადაჭრილი ერთლულიანი თოფი, ვაზნები და ნიღბები, ხოლო ქაროსანიძეს "რგდ" ტიპის ხელმყუბარა და საოჯახო დანა აღმოუჩინეს. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მიმდინარეობს საგამძიებო მოქმედებები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ღონისძიება "ხაფანგი 2005"-ის ფარგლებში ადამიანის გატაცების, ყაჩაღობისა და გაუპატიურების მცდელობისთვის ძებნილი, 23 წლის ლევან ონიანი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ონიანი ეჭვმიტანილია 2003 წლის 18 აპრილს მოქალაქე გიორგი ცატუროვის და მასთან ერთად მყოფი ქალის გატაცებაში. ონიანმა აღნიშნულ პირებს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, გაიტაცა მათი ავტომანქანა და ცდილობდა ქალის გაუპატიურებას. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროს თანამშრომლებმა დედაქალაქში მოძრავი სამარშრუტო ტაქსების მძღოლებსა და მგზავრებზე ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ორგანიზებული ჯგუფის წევრები დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, გარდაბნის რაიონში მცხოვრები, 22 წლის ბესარიონ ზურაბიანი, თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრები, 20 წლის გიორგი პირველი, ამავე რაიონში მცხოვრები მამია ბაბლუანი და ზესტაფონის რაიონში მცხოვრები, 26 წლის კახა ცაგუაშვილი ღამის საათებში ყაჩაღურად თავს ესხმოდნენ სამგზავრო მიკროავტობუსებს და მის მძღოლებსა და მგზავრებს იარაღის მუქარით ფულს, სამკაულებსა და მობილურ ტელეფონებს სტაცებდნენ. დაკავებულებისგან ამოღებულია საფანტის პისტოლეტები, დანები და გატაცებული მობილური ტელეფონები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თელავი. სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის ჯგუფები თელავის რაიონშიც ამუშავდება. სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია გუშინ თელავში ჩავიდა, სადაც რეგიონული მონიტორინგის ჯგუფებთან შეხვედრა გამართა და ერთობლივი სამუშაო გეგმა ჩამოაყალიბა. მონიტორინგის ჯგუფებში სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები და კერძო პირები შედიან. გუშინდელ შეხვედრას სამხარეო პროკურატურისა და პოლიციის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. შეგახსენებთ, რომ სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის ჯგუფების ძირითადი საქმიანობა სამართალდამცველი ორგანოების კონტროლს მოიცავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ღონისძიება ხაფანგი-2005"-ის პირველი ეტაპის გატარებისას იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ძარცვისთვის ძებნილები, 27 წლის დავით ჩიხლაძე და 23 წლის ალექსანდრე მაისურაძე. **მედიანიუსი**

"შსს-ს რესტრუქტურიზაცია საერთაშორისო მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს"

როგორი უნდა იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული ქართული პოლიცია - ამის შესახებ გუშინ "შერატონ მეტეხი-პალასში" საქართველოში ეუთო-ს მისიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე მსჯელობდნენ. "შერატონ მეტეხი-პალასში" გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების მიმართულებებთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გაიმართა.

საქართველოში ეუთო-ს მისიის ექსპერტებმა გუშინ წარმოადგინეს კონცეფცია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბების, საქართველოში პოლიციის რეფორმირებისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მენეჯმენტისა და საქართველოში პოლიციელთა საბაზისო განათლების შესახებ.

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, მისიის ძირითად მიზანს პოლიციის მიმართ ქართული საზოგადოების ნდობის ამაღლება წარმოადგენს. ეუთო პროექტების განხორციელებისთვის, სავარაუდოდ, რამდენიმე მილიონ ევროს გაიღებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ბიძინა ბრეგაძის განმარტებით, საქართველო მეოთხე ქვეყანაა, სადაც ეუთო მსგავს პროგრამას ახორციელებს. მისივე თქმით, ეუთო-ს მისია მაისის თვისთვის დაასრულებს ქართველი პოლიციელებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების გაწერას, რის შემდეგაც ქართული მხარე გადაწყვეტს, რას გაითვალისწინებს წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან და რას - არა.

მრგვალ მაგიდაში მონაწილეები - შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ბიძინა ბრეგაძე, პოლიციის აკადემიის რექტორი ლევან იზორია, ეუთოს ელჩი როი რივი, ევროკავშირის კანონის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი სილვია პანიცი, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები და ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები - გუშინ პოლიციის რეფორმირების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებზე მსჯელობდნენ და შეთანხმდნენ, რომ ქართველი პოლიციელი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს.

"დღევანდელი შეხვედრა იმ გრძელვადიანი პროგრამის დასაწყისია, რომელსაც ეუთო საქართველოს განვითარების მიზნით განახორციელებს. მსგავსი პროგრამები გარდამავალი ქვეყნებისთვის ხორციელდება. ეუთო მჭიდროდ თანამშრომლობს შს სამინისტროსთან პოლიციის რეფორმირების საკითხებში. პროგრამის მთავარი მიზანია, შსს-ის რესტრუქტურიზაცია განხორციელდეს და ყველა სტანდარტი საერთაშორისო მოთხოვნებს შეესაბამებოდეს," - აცხადებს ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი როი რივი.

ერთი სიტყვით, ორ თვეში ეუთო-ს მისიას უკვე დასრულებული ექნება იმ კონკრეტულ რეკომენდაციებზე მუშაობა, რომლებიც ქართველი პოლიციელებისთვის მომზადდება, თუმცა, ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ და მიიღებენ თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და ოდესმე მართლაც დააკმაყოფილებენ თუ არა ქართველი სამართალდამცველები საერთაშორისო მოთხოვნების ყველა სტანდარტს, წინასწარ ძნელი სათქმელია.

24 საათი

გიორგი ღონღაძის მკვლელობის გამოძიებაში სიახლეებია

უკრაინელი სამართალდამცველები მკვლელობის შემკვეთის ვინაობის დასადგენად უკან არაფერზე დაიხევენ

უკრაინაში ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად გააქტიურდა იმ საქმეების გამოძიება, რომელსაც ოპოზიციურად განწყობილი ძალები უშუალოდ პრეზიდენტ კუჩმას უკავშირებდნენ. მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმის გამოძიებაშიც.

გიორგი ღონღაძე ოჯახთან ერთად.

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ ევროპარლამენტის დეპუტატებს აღუთქვა, რომ "ღონღაძის საქმე" უახლოეს მომავალში გაიხსნება და უკრაინის სამართალდამცველმა ორგანოებმა უკვე შეძლეს დაედგინათ იმ პირების ვინაობა, რომლებმაც ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე მანქანაში ჩასვეს. მას შემდეგ იგი ცოცხალი არავის უნახავს. ნაპოვნია აგრეთვე ავტომანქანაც, რომელშიც, სავარაუდოდ, უკანასკნელად იჯდა ჟურნალისტი. ამის თაობაზე საინფორმაციო საშუალებებს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ აცნობა.

"ჩვენ ზუსტად ვიცით, ვინ ჩასვა გიორგი მანქანაში. ეს მანქანაც ჩვენს ხელთაა," - განაცხადა მინისტრმა.

უკრაინის შინაგან საქმეთა ორგანოების პირველ პირს იმედი აქვს, რომ მილიცია **"შეძლებს მიაგნოს არა მარტო მათ, ვინც ღონღაძე დააკავა, არამედ მისი მკვლელობის შემკვეთებსაც, თუმცა ეს გაცილებით რთულია."**

ლუცენკოს თქმით, დამნაშავე არ არის ყველა ის მილიციელი, ვინც **"თვალყურს ადევნებდა, ჩუმად უსმენდა და მანქანაში სვამდა ღონღაძეს, რადგანაც ისინი ზემოდან მიღებულ ბრძანებას ასრულებდნენ და არ უწყოდნენ, რომ ეს ბრძანება დანაშაულებრივი იყო"**.

"ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ანონიმურობა და, თუ საჭირო გახდება, მატერიალურ სტიმულაციაზეც კი დავთანხმდეთ, ოღონდ კი ეს საქმე გაიხსნას," - ხაზგასმით აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მინისტრის მიერ ინფორმაციის გავრცელების პარალელურად, კიევში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიჭრა ღონღაძის რეზონანსული საქმის ერთ-ერთი მოწმე. წინასწარი მონაცემებით, აფეთქება ორშაბათს გამთენიისას, კიევის დნეპროვსკის რაიონში, ათსართულიანი სახლის მესამე სართულზე მოხდა. სამართალდამცველთა განცხადებით, აფეთქდა დაუდგენელი პირის მიერ ნასროლი ხელყუმბარა.

აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაშავდა. სხვადასხვა ხარისხის დაზიანებების მქონე დაჭრილები ქალაქის მეორე საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმები მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ.

ჟურნალისტების ცნობით, ერთ-ერთი დაჭრილი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელი, იური ნესტოროვია, რომელიც "ღონღაძის საქმეში" მოწმის სტატუსით სარგებლობს. კიევის დნეპროვსკის რაიონის პროკურატურაში აფეთქების გამო უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით. ყველა მათგანი მძიმეა, კერძოდ, საუბარია თავდასხმასა და შეკვეთით განზრახ მკვლელობის მცდელობაზე. პროკურატურა დეტალებზე არ საუბრობს. ჯერჯერობით, უცნობია იმ ჩვენებების მნიშვნელობაც, რომლებსაც პროკურატურა დაჭრილი მოწმისგან ელის, თუმცა, ფაქტია, ორი მნიშვნელოვანი ფაქტის დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, კუჩმას ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ინტერნეტ-გამოცემის "უკრაინსკაია პრავდას" მთავარი რედაქტორი 2000 წლის 16 სექტემბერს დაიკარგა. მისი დაკარგვის გამო სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით აღიძრა. გამოძიება დღემდე არ დასრულებულა. გიორგი ღონღაძე რამდენიმე თვის მანძილზე დაკარგულად ითვლებოდა, თუმცა არსებობდა საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი მისი მკვლელობის შესახებ - იგი ხომ ძალზე ბევრს უშლიდა ხელს. 2000 წლის ნოემბერში კიევის მახლობლად იპოვნეს თავმოკვეთილი გვამი. სხვადასხვა კვლევისა და ექსპერტიზის ჩასატარებლად მიწვეული იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტები, რომელთა აზრით, თითქმის 99 პროცენტით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნაპოვნი გვამი გიორგი ღონღაძისაა.

უკრაინის ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ჟურნალისტის გაუჩინარებამდე რამდენიმე ხნით ადრე მასზე მეთვალყურეობა იყო დაწესებული და რომ იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფის თანამშრომლებმა მოკლეს. ამ ვერსიაზე მუშაობისას უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ 2003 წლის ოქტომბერში დააპატიმრა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთვალყურეობის სამსახურის ყოფილი შეფი ალექსეი პუკაჩი. მას სამსახურებრივი დოკუმენტების განადგურება ბრალდებოდა, კერძოდ კი იმ ოპერატიული ჯგუფების ანგარიშებისა, რომლებიც გიორგი ღონღაძეს ადევნებდნენ თვალს. დაპატიმრებული პუკაჩი სასამართლომ მალევე გაათავისუფლა გაუსვლელობის ხელწერილით. იგი ამჯამად იძებნება.

24 საათი

გასულ კვირას გახსნილი და გამოვლენილია 72 დანაშაული

19-დან 26 თებერვლამდე თბილისის შს ორგანოების მიერ გახსნილი და გამოვლენილია 72 დანაშაული, მათ შორის ოთხ-ოთხი მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, ხულიგნობის, სამ-სამი ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების განზრახ განადგურების, 19 ქურდობის, 15 ძარცვის, 10 ყაჩაღობის, თითო გაუპატიურების მცდელობის, პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევის, თაღლითობის და სხვა სამართალდარღვევის ფაქტები.

ამასთანავე, გახსნილია წინა პერიოდებში ჩადენილი რვა დანაშაული, მათგან ორ-ორი ძარცვის, ყაჩაღობის, სამი ქურდობის, ერთი თაღლითობის ფაქტი. დაკავებულია ბოროტმოქმედთა 11 ჯგუფი 26 პირის შემადგენლობით, რომლებიც მხილებული არიან 13 დანაშაულის ჩადენაში.

გამოვლენილია ნარკომანიის 32 ფაქტი, ექვსზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, 26 დაჯარიმდა. ამოღებულია 2.952 გრამი ჰეროინი, 0.357 გრამი სუბოტექსი, 0.07 გრამი ბუპრენორფინი, 2 მილიგრამი მორფინი.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაზე აღძრულია სისხლის სამართლის ერთი საქმე, ამოღებულია ორი პისტოლეტი, ექვსი ვაზნა. ღონისძიება "ხაფანგი-2005"-ის პირველი ეტაპის გატარებისას დაკავებულია 21 ძებნილი-დამნაშავე, თითო მათგანი იძებნებოდა მკვლელობის, ნარკომანიის, ქონების განზრახ განადგურების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების, სამი - მკვლელობის მცდელობის, ორ-ორი - ყაჩაღობის, ძარცვის, ქურდობის, ხულიგნობის, გაფლანგვის, ოთხი - თაღლითობისთვის.

მედია-ნიუსი

ყაჩაღების ჯგუფი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ყაჩაღთა ორგანიზებული ჯგუფის წევრები დააკავეს. სამინისტროს ცნობით, დაკავებულია დავით სიორიძე (მეტსახელად "შუსტრი", წარსულში ნასამართლევი), ალექსანდრე და ვაჟა რაზმაძეები. აღნიშნული პირები ავტომანქანების გატაცებაში არიან ეჭვმიტანილნი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 23 თებერვალს ჯგუფის წევრები მოქალაქე დავით ჯიღაურს მის კუთვნილ ავტომანქანა "ოპელ-ვექტრაში" ჩაუსხდნენ. ამის შემდეგ მათ მძღოლს ხელები შეუკრეს, საბარგულში ჩაკეტეს, მოგვიანებით - ავტომანქანიდან გადმოაგდეს. გატაცებული ავტომანქანა კი სამრეწველო დასახლების N5 ავტოფარეხში გადამალეს.

დაკავებულთაგან ამოღებულია პისტოლეტი "მაკროვი" 2 მჭიდითა და 16 ვაზნით. გარდა ამისა, ამოღებულია 0,54 გრამი ჰეროინი და გატაცებული ავტომანქანის ტექპასპორტი.

დაკავების დროს დავით სიორიძე და ალექსანდრე და ვაჟა რაზმაძეები ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

ინტერ-პრესი

სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტთან დაკავშირებით ბუდაპეშტში ფორუმი გაიმართა

სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მორიგი, სამდღიანი ფორუმი გაიმართა, რომელშიც პირველად მიიღო მონაწილეობა საქართველოს დელეგაციამ.

ფორუმზე საქართველოს წარმოადგენდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკატერინე ტყეშელაშვილი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი რუსუდან ტაბატაძე და არასამთავრობო ორგანიზაცია - "აირის-საქართველოს" წარმომადგენელი დავით მაღრაძე.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ეკატერინე ტყეშელაშვილის ინფორმაციით, ფორუმი სოროსის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ევროპის ქვეყნების, ასევე აშშ-ს, ჩილეს და ლათინური ამერიკის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროექტზე იუსტიციის სამინისტრომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად 2004 წელს დაიწყო მუშაობა.

ფორუმში მონაწილეობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც საქართველოში სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტი ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, აუცილებელია იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც ეს ინსტიტუტი ძლიერია.

მედიანიუსი

ნამდვილი მკვლელის დაკავებას ითხოვენ

წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში სამი თვის წინათ მოკლული ჯუმბერ აფრასიძე ნათესავებმა საფლავიდან ამოთხარეს. სასახლე მათ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე დაასვენეს და აცხადებენ, ვიდრე პოლიცია მის მკვლელს არ დააპატიმრებს, მიცვალებულს არ დამარხავენ. მათივე თქმით, სამართალდამცავებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვინმე ხასაია, რომელიც აფრასიძის მკვლელობისას მარტო არ მოქმედებდა და მთავარი დამნაშავე კვლავ დაუსჯელია.

მედიანიუსი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ

ᲥᲔᲗᲘᲜᲝ ᲯᲐᲙᲝᲑᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲜ

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲛᲔᲠᲛᲐ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲔᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ 16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲮᲣᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲨᲔᲓᲚᲝ. ᲗᲣ ᲬᲔᲚᲔᲜᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ, ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲘᲡᲮᲓᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲑᲘᲭᲔᲗᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, 45 ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ, ᲣᲙᲕᲔ ᲔᲥᲡᲗᲐᲛᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲒᲐᲣᲨᲘᲤᲠᲐᲕᲘ ᲛᲣᲨᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲢᲘᲢᲣᲚᲝ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲣᲚ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲡᲑᲐᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ, ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲮᲒᲐᲓᲐᲡᲮᲒᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲒᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲓᲐ, ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲐᲠᲤᲘᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲮᲛᲐᲣᲠᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲗᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲕᲘᲡ ᲚᲝᲑᲡ ᲥᲔᲓᲘᲗᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲔ ᲙᲘ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ "ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ".

"ᲩᲕᲔᲜ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲘᲕᲐᲜᲘᲭᲔᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲝᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲘᲛ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲘᲡᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ. ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲠ ᲐᲠᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲘᲡᲮᲓᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲑᲘᲭᲔᲗᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, 45 ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ, ᲣᲙᲕᲔ ᲔᲥᲡᲗᲐᲛᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲒᲐᲣᲨᲘᲤᲠᲐᲕᲘ ᲛᲣᲨᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲢᲘᲢᲣᲚᲝ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲣᲚ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲡᲑᲐᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ, ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ, ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲠᲪᲘᲤᲠᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲐᲠᲤᲘᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲮᲛᲐᲣᲠᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ 16 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ

ᲤᲝᲗᲘᲡ 2005 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ, ᲐᲜᲣ 1 ᲛᲐᲠᲢᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲘᲛ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲐ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲔ, ᲝᲠᲘ ᲛᲝᲜᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ-ᲡᲐᲑᲘᲭᲔᲗᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲔᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲮᲒᲐᲓᲐᲡᲮᲒᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲒᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲓᲐ, ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐᲡ.

ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ 2005 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ

ᲤᲝᲗᲘᲡ 2005 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ, ᲐᲜᲣ 1 ᲛᲐᲠᲢᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲘᲛ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲐ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝᲗᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ.

"ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ. ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲝᲠᲐᲠᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝ. ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲠᲛᲔᲕᲡ, ᲐᲜ ᲯᲔᲠᲝᲕᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲪ ᲜᲐᲠᲬᲣᲓᲒᲔᲑᲐ, ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ," - ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲘᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲪ. ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ, ᲚᲢᲠᲐᲕᲘᲚᲘᲡᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲐ - ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ. ᲫᲕᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲠᲯᲕᲐ. ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲠᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲑᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲛ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲬᲛᲝᲜᲠᲘᲕ ᲐᲠᲐᲠᲘᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲠᲪᲘᲤᲠᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲐᲠᲤᲘᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲮᲛᲐᲣᲠᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ

ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲒᲐᲜᲣᲙᲘᲗᲮᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲧᲐᲚᲐᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ შესახებ (მუხლი I), ითვალისწინებს: **"საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელწიფო საზღვრისგან, რომელიც განსაზღვრავდა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო საზღვარს საქართველოს ნაწილში."**

ასეთი სახით დარჩა საქართველოს საზღვრები პოსტსაბჭოური სივრცის მეზობელ ქვეყნებთან. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხარეს, სასაზღვრო ზოლი, რომელიც დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონებს მოიცავს, ძირითადად, მდინარე ალაზნის ნაპირს მიუყვება.

ხსენებული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, **"სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული მის მოვლასთან და სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, სასაზღვრო ზოლში დაუშვას გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა"**.

კანონის ამ პუნქტში მითითებული სასაზღვრო ზოლის განსაზღვრა, უნდა ითქვას, რომ მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას, რადგან საზღვარი დედოფლისწყარო-აზერბაიჯანის მონაკვეთზე, ეგრეთ წოდებულ "სამუხის" ტერიტორიაზე, ფიზიკურად არ არსებობს და, ბუნებრივია, არანაირი ნიშნებით არ არის გამოყოფილი. აქედან გამომდინარე, მისი შემოწმებაც შეუძლებელია. რაც შეეხება სასაზღვრო ნიშანს, ეს არის მცირე სიმაღლის არხი და ზოგ ადგილას - ჩარჭობილი ჯოხი, რომელიც, თუ მესაზღვრეებს დავუჯერებთ, **"მკვეთრად განასხვავებს საქართველოს მხარეს აზერბაიჯანისგან"**. სამწუხაროდ, ჩვენი ჯგუფის სტუმრობის დროს, საზღვარზე ასეთი ჯოხიც კი არ აღმოჩნდა.

1998 წლის 17 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ მიღებული კანონის მიხედვით, საკმაოდ აქტუალური გახდა სასაზღვრო ზონის - არაუმეტეს 500 მეტრის სიგანის ზოლის - შექმნის საკითხი და, აქედან გამომდინარე, გაჩნდა პრობლემა, რომ საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხებს ამ ზოლში აეკრძალებათ სამეურნეო საქმიანობა. რა თქმა უნდა, ქვეყანაში, სადაც ასეთი ტემპით მიმდინარეობს უმუშევართა რიგების ზრდა, ბევრისთვის კანონის ამ პუნქტის ამოქმედება, საარსებო საშუალების მოსპობის ტოლფასიც კი იქნება, თუმცა ძირითადი პრობლემა ამ შემთხვევაში, საზღვრის ფიზიკური არარსებობა უფროა, ვიდრე სასაზღრო ზოლის შექმნა.

ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲫᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘᲐ

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ. ᲔᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲒᲐᲐᲡᲮᲜᲘᲡ. ᲘᲡᲘᲜᲝ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲠᲐᲕᲚᲐᲓᲐᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲚᲘ. ᲘᲡᲘᲜᲝ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲠ

ოსკარის გმირები

B3

ყოველ სამშაბათს

B3

კანკავა „დინამოს" უბრუნდება

B4

კანონით, პირველ რიგში, ხელისუფლებაა შეზღუდული და არა ხალხი

პირველი გვერდიდან

- მზად ხართ ქვეყანაში უზენაესი სამართლის აღსასრულებლად?

- შემიძლია გიპასუხოთ, რომ მზად ვარ იმისთვის, რომ ამ სასამართლოდან გამოვიდეს სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებები.

- ყველა თავმჯდომარე ასე ამბობდა, მაგრამ სასამართლოს რეფორმა აქამდე ვერ დავინახეთ. სისტემაში თუ ჩაიხედეთ, გეცოდინებათ, რა უშლის ამას ხელს...

- წინა წლებში ამის ხელისშემშლელი გარემო იყო და ამას ვერსად წაუვალთ, რაც უნდა გადაბრალება გამოვიდეს - ერთი კაცის აქტიურობა არაფერს ცვლიდა. ახალ ხელისუფლებას რაიმე კონკრეტულის განსახორციელებლად მცირე დრო ჰქონდა, მაგრამ როგორც ვიცი, პარლამენტში განსახილველად შეტანილია სასამართლოს რეფორმასთან დაკავშირებული პროექტები. ალბათ, ეს პროექტები დაიხვეწება და ისე მიიღებს პარლამენტი. მეც მაქვს მოსაზრებები და ამას პარლამენტთან შეთანხმებით განვახორციელებ. სწორედ ეს იქნება პირველი ნაბიჯი იმისკენ, რომ ახალმა სასამართლო სისტემამ მუშაობა დაიწყოს.

- ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურებისთვის ერთ-ერთი მთავარი თვისება მიუკერძოებლობა და ხელისუფლების სხვა შტოებისგან დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო. თქვენი მაღალი კვალიფიკაციისა და პატიოსნების მიუხედავად, როგორ აპირებთ შეინარჩუნოთ დამოუკიდებლობა იმისგან, ვინც ამ თანამდებობაზე წარგადგინათ და დაგნიშნათ? რა აკრძალვები დაუწესეთ თავს?

- მთავარია პრინციპულად განვახორციელო ის, რისთვისაც ამ თანამდებობაზე მოვედი. კონკრეტულ აკრძალვებზე არ ვისაუბრებ. ვფიქრობ, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ ჩაერევა სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

- რაიმე გარანტიები მიიღეთ?

- ვიცი, რომ ნამდვილად ასე იქნება...

- და ფიქრობთ, რომ დანარჩენებს მოერევით?

- ყველა გრძნობს, რომ სიტუაცია არ არის ისეთი, როგორც ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ჩემი უპირველესი უფლებამოსილება და მოვალეობაა, რომ ამ სისტემაზე ვიფიქრო, მაგრამ ეს სისტემა ცალკე არ დგას. მისი შემადგენელი ნაწილია თუნდაც ადვოკატურა და სახელმწიფო პროკურატურისა და სხვა უწყებების სახით. ამიტომ მათთანაც სერიოზული და პრინციპული დამოკიდებულება გვექნება. ჩემი აზრით, მათგან არის ნება, რომ არსებული ნაკლოვანებები თანდათანობით აღმოიფხვრას.

- სასამართლო რეფორმის შეჩერების მიზეზად დღევანდელი ხელისუფალნი, ანუ მაშინდელი რეფორმატორები პროკურატურის, ადვოკატურის, შსს-ს და სხვა სტრუქტურების რეფორმათა შეჩერებას ასახელებენ. ჩვენ ვერც დღეს ვხედავთ ამ სტრუქტურების რეფორმებს, თუ არ ჩავთვლით ხშირ საკადრო ცვლილებებს...

- იმან, რასაც მე ვაპირებ, არ უნდა შეაფერხოს ამ უწყებებში მიმდინარე რეფორმები. გვინდა თუ არა, სახელმწიფო მაინც დარჩება ამ პროცესის ძირითად მონაწილედ. მთავარია, ადამიანის დაკავების წუთიდან დაწყებული, ბოლო ინსტანციით დამთავრებული - დეტალურად შემოწმებული და სამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანა შევძლოთ. ეს პროკურატურის მონაწილეობით უნდა მოხდეს, მათ დეტალურად უნდა დაასაბუთონ, რატომ ითხოვენ ამა თუ იმ აღმკვეთ ღონისძიებას.

- წესიერი და კვალიფიციური კადრები ჭირს და მით უფრო, კორუფციის ისეთი მაღალი რისკის ზონაში, როგორიც სასამართლოა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღეს კანონის აღსრულება და დარღვევაც დიდწილად არის დამოკიდებული პიროვნებაზე და არა კანონზე. ამისგან დამცავი რა ახალი მექანიზმის შემოღებას აპირებთ?

- 1998-1999 წელს, რეფორმების დაწყებასთან ერთად, სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობა, თითქოს, გაიზარდა. მოვიდნენ ახალი მოსამართლეები და კონკრეტული დაინტერესების გარეშე მიღებული გადაწყვეტილებებიც მომრავლდა. მერე ეს ყველაფერი გაჩერდა და ისევ ჭაობში აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, მოსამართლე არ უნდა იდგეს კანონზე მაღლა და ერთსა და იმავე შემადგენლობის საქმეზე ორი რადიკალური გადაწყვეტილება არ უნდა გამოიტანოს. კანონი ადგენს ყველაფერს და უპირველესად, თავად მოსამართლისთვის გარემოს შექმნაა საჭირო. მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ ძალიან ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანისას მას აქვს ყველანაირი გარანტია, რომ იგი იქნება ხელშეუხებელი, კონსტიტუციურად და სოციალურად დაცული.

- კანონში ეს ყოველთვის იდო...

- მაგრამ, ეს გარანტიები პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა.

- კონკრეტულად როგორ აპირებთ ამ გარემოს შექმნას?

- ეს საკმაოდ რთული იქნება, რადგან მიდგომის შეცვლაა საჭირო. მიდგომისა, რომელიც აქვს როგორც დაცვას, ასევე - სახელმწიფოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით ვიღაც აუცილებლად რჩება უკმაყოფილო, მაგრამ მთავარია, გადაწყვეტილება აშკარად მიკერძოებული არ იყოს. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს გარანტიების შეგრძნება. ეს კი უმტკივნეულოდ არ გამოვა. ხშირად, გადაწყვეტილება ობიექტურია, მაგრამ კანონზე დაყრდნობილი არასამართლიანი გადაწყვეტილებებიც მიიღება და ასეთი კანონები უნდა შეიცვალოს.

- უსამართლო კანონის ერთი მაგალითი მოიყვანეთ, თუ შეიძლება...

- ჩვენში ხშირად ხდება სხვის საკუთრებაში უკანონოდ მცხოვრები ადამიანების გამოსახლება. ამ შემთხვევაში დაცულია მესაკუთრის უფლებები და საფრთხე ექმნება მეორე, ყოველმხრივ დაუცველი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს ამ ადამიანის დაცვა. და უნდა შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელშიც ასეთი უსამართლობა კანონის საფუძველზე აღარ მოხდება.

- ხშირად ამბობენ, კარგი კანონები გვაქვს, მაგრამ არ მუშაობსო... ამ პროცესს რა ჰქვია?

- ეს ნიშნავს, რომ პირი, რომელმაც კანონი უნდა აამუშაოს, მას უგულებელყოფს. არის შემთხვევებიც, როდესაც კანონი ამოქმედებულია, სასამართლო გადაწყვეტლებაც მიღებულია, მაგრამ არ აღსრულდება.

- გარდა ამისა, მრავლადაა კანონით მანიპულირების საშუალებებიც.

- დიახ და შეიძლება ეს ყველგან ხდებოდეს და სწორედ უზენაესმა სასამართლომ, როგორც საბოლოო ინსტანციამ, ძალზე დასაბუთებულად უნდა დასვას წერტილი. კასაციის წესი მკაცრად და თანმიმდევრულად უნდა იყოს დაცული ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ. პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას სავალდებულო კანონის ძალა ენიჭება და გადაწყვეტილების მიღებისას ქვედა ინსტანციის მოსამართლე ვალდებულია, ეს გაითვალისწინოს. ჩვენთან, შეიძლება, ასე პრეცედენტულად ვერ წავიდეთ. ჩვენი ამოცანაა, ერთი და იმავე შემადგენლობის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თანმიმდევრული იყოს და არა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული. ეს ხელს შეუწყობს კანონში ლავირების აღკვეთის პროცესს.

კოტე კუბლაშვილი: დაიბადა ტყიბულში, ექიმისა და პედაგოგის ოჯახში. მამას ქალაქის ხელმძღვანელობაში მაღალი თანამდებობა ეჭირა. 1990 წელს ჩააბარა თსუ საერთაშორისო ურთიერობების ფაკულტეტზე; 1995 წელს სტუდენტური მერხიდან იურისტად პირდაპირ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოხვდა. იქვე მუშაობდნენ ლადო სანიკიძე, კობა დავითაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და როგორც ბატონი კოტე ამბობს, ამ ახალგაზრდებმა ბევრი სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს და ხელისუფლებასაც გაუუქმეს რამდენიმე უბნის მოგებული შედეგები; 1996-1999 წელს პარლამენტის აპარატში, იურიდიულ დეპარტამენტში მუშაობდა. ეს იყო ახალი კონსტიტუციის მიღების და ყველა ახალი იურიდიული ნორმის დამკვიდრების წლები; 1998 წელს სადოქტორო დისერტაციის დასაცავად სამი წლით წავიდა გერმანიაში, ქალაქ ჰანოვერში. ჩამოსვლის შემდეგ იუსტიციის საბჭოს წევრად და შემდეგ იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა; ერთი წელი მძიმე ავადმყოფობის გადატანა და რეაბილიტაცია მოუწია. შემდეგ, კერძო იურიდიულ ფირმაში მუშაობდა. იყო განვითარებისა და რეფორმების ფონდის დირექტორი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობამდე ორ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან დატვირთვას ასრულებდა - იყო საქმელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებით კომისიაში და უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი.

კასაციის თანმიმდევრული პრინციპი მართლმსაჯულებაში ერთგვაროვნების პრინციპის დაცვას შეუწყობს ხელს... ამას წლები სჭირდება და საუკეთესო შემთხვევაში, 10 წლის შემდეგ თუ მექნება საამაყოდ.

საზოგადოებისგან იზოლირებულმა ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ იგი სამართლიანად არის დასჯილი, მაგრამ ისიც უნდა იცოდეს, რომ იქ, სადაც არის, მისი ღირსება შელახული არ იქნება.

ჩემი მოწოდებაა - ყველამ ბოლომდე გამოიყენოს სამართლებრივი საშუალებები, რომელშიც სტრასბურგის სასამართლოსაც ვგულისხმობ.

ჩინოვნიკებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოში თავშესაფარს ვერ იპოვიან.

- საკმაოდ რთული იქნება საქართველოში 21 უმწიკვლო და კომპეტენტური ადამიანის ნახვა.

- დიახ, რთული იქნება. მაგრამ, ჩვენ მხოლოდ დასაწყის სტადიაში ვართ, ახლა ვიწყებთ სერიოზულ მუშაობას.

- დიდი ხანია, საუბრობენ სასამართლოების გამსხვილებასა და მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტზე.

- ჩემი აზრით, ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადაიდგას. სასამართლოები ადგილზე უნდა გაერთიანდნენ და კონკრეტულ სფეროში სპეციალიზებული მოსამართლეები უნდა მივიღოთ - ეს არის არსი. დღეს ერთი და იგივე მოსამართლე იხილავს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებს. გამსხვილებული სასამართლოების არსებობა არ ნიშნავს სადმე რაიმე ვაკუუმის გაჩენას. შეიძლება, რომელიმე რაიონში ადამიანს აქვს მცირე კატეგორიის სადავო საქმე. ამისთვის ის არ უნდა დარბოდეს 50 კილომეტრზე, არ უნდა დავუმძიმოთ პირობები. ადგილზე უნდა არსებობდეს მოსამართლე, რომელსაც სახელად "მომრიგებელი" ერქმევა თუ სხვა რამ, მისი ფუნქცია ნაკლები სიმძიმის საქმეების ადგილზე განხილვა და გადაწყვეტილების მიღება იქნება. ეს შეეხება სისხლის სამართლის საქმეებსაც, რომელიც 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს...

- როგორ მიიღეს ეს ცვლილება მოსამართლეებმა?

- როგორც ვიცი, განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ არის. ეს მათთვისაც ხელსაყრელია და კონკრეტულ სფეროში ჩასაღრმავებლად კარგი საშუალება იქნება.

- როგორ მიგიღეს თქვენ მოსამართლეებმა? ცნობილია, რომ პროფესიულ კორპორაციებში არ უყვართ, როცა ამ საქმეში გამოცდილების არმქონე ადამიანი მოდის ხელმძღვანელად...

- ჯერჯერობით, არ მიგვრძნია, რომ ცუდად მიმიღეს. ჩვენი კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარმოადგენს ამ ხელისუფლებას, არის პირველი პირი და არ არის ჩვეულებრივი მოსამართლე. იხილავს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელიც დიდ პალატაში შედის და იშვიათი სპეციფიკურობით გამოირჩევა.

- ლადო ჭანტურია პროფესიონალი, კომპეტენტური იურისტი იყო და სასამართლო სისტემაში ნამდვილად დატოვა კვალი. რა იქნება "ნოუ ჰაუ" თქვენი თავმჯდომარეობისას?

- პირველი და მთავარი - ერთგვაროვანი და მონესრიგებული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება იქნება. საკასაციო გადაწყვეტილებები უზენაეს საამართლოში უნდა განიხილებოდეს. კასაციის თანმიმდევრული პრინციპი კი მართლმსაჯულებაში ერთგვაროვნების პრინციპის დაცვას შეუწყობს ხელს და ერთსა და იმავე შემადგენლობის საქმეებზე რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილებები არ იქნება. ამას წლები სჭირდება და საუკეთესო შემთხვევაში, 10 წლის შემდეგ თუ მექნება საამაყოდ.

- რა გსმენიათ კორუმპირებულ მოსამართლეებზე?

- ამ სისტემას ძალიან კარგად ვიცნობ, რადგან ჩემი პროფესიული საქმიანობა მთლიანად სამართლის სფეროს უკავშირდება. განსაკუთრებით კი, სწორედ სასამართლო სისტემას. ვიყავი იუსტიციის საბჭოში, ერთხანს იურიდიული ფირმის იურისტიც გახლდით და გარედან, ადვოკატის თვალით ვუყურებდი ამ სისტემას. იუსტიციის მინისტრის მოადგილეც ვიყავი და ამგვარ მოსამართლეთა სახელები და გვარები ჩემთვის ნამდვილად ცნობილია.

- მაგრამ, მოსამართლეთა დაკავებისა და დასჯის შესახებ საზოგადოებას გაცილებით ნაკლები ესმის, ვიდრე 10 კილოგრამი სპილენძის ქურდების შესახებ. ეს მათი ხელშეუხებლობის წყალობაა?

- მართლაც ნაკლებად ისმის და გარკვეულწილად ისიც არის მიზეზი, რომ მოსამართლეს იმუნიტეტი იცავს. იმ სამსახურების საქმიანობის ხარისხიც მაღალი უნდა იყოს, ვისაც კორუმპირებული მოსამართლეების გამოვლენა ევალება.

- როგორც ვიცი, საკუთარი ძმა უკვე მეორედ დატოვეთ უმუშევარი...

- დიახ, როდესაც იუსტიციის საბჭოს წევრად დავიწყე მუშაობა, მაშინ ის აპარატის თანამშრომელი იყო და პირველად მაშინ დატოვა სამსახური, თუმცა ინტერესთა კონფლიქტთან საქმე არ გვქონდა. ამას შევეჩვიეთ და მეორე შემთხვევაც უმტკივნეულოდ, ჩვეულებრივად მოხდა. შეიძლება, ახლა სხვა პროფესია აირჩიოს.

- ასე დაჩაგრეთ უმცროსი ძმა, რომ პროფესიიდანაც განდევნეთ?

- არა. პალიკო სერიოზულ ფუნქციებს ასრულებდა ანტიკორუფციულ საბჭოში, შემდეგ უშიშროების საბჭოსა და მცირე ხანს უშიშროების სამინისტროშიც. მას აქვს ის თვისებები, რომელიც აუცილებელია პროფესიონალი საჯარო მოხელისათვის. ჩვენთან კი საჯარო სამსახური დიდია.

- რას იტყვის უზენაესი სასამართლოს პირველი პირი, რა არის სასჯელი?

- პირველ რიგში, სასჯელის იმ მხარეს გამოვყოფდი, რომელსაც რესოციალიზაციის ფუნქცია აქვს. შეიძლება, ადამიანი რაღაც ვადით, დაისაჯოს და საზოგადოებიდან მოიკვეთოს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ამ სასჯელიდან გამომდინარე, საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნების უფლება უნდა ჰქონდეს. სასჯელის შეფარდებისას, პირველ რიგში, ეს უნდა იყოს გათვალისწინებული. ამას კი უპირველესად ხელი უნდა შეუწყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილმა პირობებმა. მან უნდა იგრძნოს, რომ იგი სამართლიანად არის დასჯილი, მაგრამ ისიც უნდა იცოდეს, რომ იქ, სადაც არის, მისი ღირსება შელახული არ იქნება.

- ეს დამოკიდებულია განათლებაზე, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სახელმწიფოს დემოკრატიულობაზე და სხვა უამრავ ფაქტორზე. ყველაფერი თავიდან არის დასაწყები... სამართლის საძებრად რკინის ჯოხი და ქალამნები ისევ საჭირო იქნება?

- ვფიქრობ, რომ სასამართლოს არც ერთი ინსტანციის კარი დახშული არ არის, არ გვაქვს ასეთი სამართლებრივი მდგომარეობა. მეორე საკითხია - რა გადაწყვეტილებებს აწყდება ეს ადამიანი. თუკი პირველივე გადაწყვეტილება აშკარად უკანონოა, მას ხდება ეკარგება. თუმცა, ჩემი მოწოდებაა - ყველამ ბოლომდე გამოიყენოს სამართლებრივი საშუალებები, რომელშიც სტრასბურგის სასამართლოსაც ვგულისხმობ.

- რა დისკომფორტებს შეუქმნის უზენაესი სასამართლო სახელმწიფო ინსტიტუციებს?

- მათ თავიდანვე უნდა იცოდნენ, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოში თავშესაფარს ვერ იპოვნიან. მათ უნდა იცოდნენ, რომ პროკურორი, ან სახელმწიფო ორგანოს რომელიმე წარმომადგენელი სასამართლოზე ფეხი ფეხზეგადადებული არ უნდა იჯდეს და ძალზე კვალიფიციურად უნდა დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები და ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე ობიექტურ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს.

- ეჰ, ამას ბევრი დრო სჭირდება.

- დიახ, ახლა ეს უკვე განვლილი უნდა გვქონდეს, შორს უნდა ვიყოთ... ადამიანი, რომელიც გულგრილად ეკიდება სახელმწიფო ინტერესებს, სახელმწიფო სამსახურში არ უნდა მუშაობდეს.

- წელს პირველად ჩატარდა უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაცია და ამ კომისიას თქვენ ხელმძღვანელობდით. ერთი-ორმა საეჭვო რეპუტაციის უმაღლესმა სასწავლებელმა მაინც მიიღო საგანმანათლებლო უფლებები, რატომ?

- 1997 წელს მიღებული კანონით, 2000 წლისთვის არ უნდა არსებულიყო უმაღლესი სასწავლებელი აკრედიტაციის გარეშე. ეს კი პირველად წელს მოხდა. დროის დეფიციტის გამო, იმისთვის, რომ თებერვალშივე გარკვეულიყო, ვინ იყო აკრედიტებული და ვინ - არა, 6-7 თვის სამუშაო 3-4 თვეში შევასრულეთ. გაითვალისწინეთ, რომ ამ საქმეში სრულიად გამოუცდელი იყო სახელმწიფოც, სასწავლებლებიც და საბჭოც. არ გამოვრიცხავ, რომ ხარვეზები იყო და მათი გამოსწორების მიზნით, ყველას მივეცით საჩივრების შემოტანის საშუალება, რითიც რამდენიმე შეცდომა გამოვასწორეთ, თუმცა, ზოგი მაინც გაიპარა.

- უზენაეს სასამართლოში დაშვებული შეცდომები გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ...

- ნამდვილად. ამ ხარვეზებისა და შეცდომების გამო ჩნდება ის უნდობლობა, რომელიც ძირს უთხრის ყველაფერს. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, ამიტომაც ასეთი შემთხვევებს უმკაცრესი ზომები მოჰყვება.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
მარიო სანტანელი
"დედა-დედოფალი"
დას: 18:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
ამირან შალიკაშვილი
"კრიმანჭული"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

რუსთაველი
"წყევლა"
დას: 17:30; 19:30; 21:30 სთ.

ამირანი
"33 უიღბლობა"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

გამოფენები

ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა
(ორგანიზატორი: აშშ-ს საელჩო)

ძველი გალერეა
ლადო თევდორაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

ეროვნული გალერეა
ვასილ (კუკური) ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, კერამიკა)

თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

ორნამენტი
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

ჰობი
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

მათი არჩევანია ევოლუცია

რა სიახლეებით ხვდება ახალ სასწავლო სემესტრს სამხატვრო აკადემია

ვერა ნეფარიძე

"გვაინტერესებს გუშინდელი და ვფიქრობთ ხვალინდელზე", - ასეთია კრედო; "ტრადიციისა და ნოვაციის თანხვედრა გვსურს შედეგიანად და უმტკივნეულოდ", - ეს არის მიზანი, რომლის მისაღწევად სამხატვრო აკადემიაში რადიკალურ ცვლილებებს სასწავლებლის განახლებული ხელმძღვანელობა ახორციელებს. დღეს ამ უმაღლეს სასწავლებელს აქვს საფუძველი დაიკვეხოს, რომ რადიკალური ცვლილებების გატარება უხმაუროდ შესაძლებელია მაშინაც, როდესაც ირგვლივ მცირე სიახლეებს დიდი აჟიოტაჟი სდევს.

დღეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში სასწავლო სემესტრი დაიწყო.

ანჯელა ბესელია

დღეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში სასწავლო სემესტრი დაიწყო. ერთი შეხედვით, ბევრი რამ ძველებურად იქნება აკადემიის სტუდენტებისთვის; სასწავლებლის კარს მიღმა, ჩვეულებისამებრ, სტუდენტის საშვით შეაღწევენ. ახალი რექტორის დანიშვნასთან ერთად აკადემიაში შემოღებულ დაცვის სისტემაზე შემთხვევით არ შემიჩერებია ყურადღება; თავის დროზე ბევრს შევხვდი (ყოფილ თუ ახლანდელ აკადემიელს), რომელთაც გია ბუღაძის ეს ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება არ მოეწონათ, უფრო სწორად, მის მნიშვნელობას ვერ ხვდებოდნენ. შიში - რომ ათწლეულების განმავლობაში სამხატვრო აკადემია ჩაკეტილი სასწავლებლის ტიპს მიეკუთვნებოდა და კიდევ უფრო არ ჩაკეტილიყო, - ალბათ ბუნებრივიც იყო. მაგრამ პირიქით ხდება: დღეს აკადემიის კარი შემთხვევითი გამვლელისთვის არ არის ღია, თორემ პირველი, რის შეცვლასაც აკადემიის ხელმძღვანელობა აპირებს - ეს არის სასწავლებლის ღია სტრუქტურად გარდაქმნა, რისი პირველი ნიშნებიც, როგორც ამბობენ, უკვე გამოჩნდა.

ყველამ იცის, რომ სამხატვრო აკადემიასთან ურთიერთობას (უკანასკნელი ათლწეულების განმავლობაში მაინც) მხატვრები ამ სასწავლებლის ბოლო კურსის დახურვასთან ერთად ამთავრებდნენ. ერთეულების გარდა (ვინც აკადემიაში არ აგრძელებდა მუშაობას), მათ სტუდენტობის შემდეგ ერთხელაც არ შეუღიათ სასწავლებლის კარი, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა გამოფენას, რომელიც გარდაცვლილი პედაგოგის ან ღვაწლმოსილი მხატვრის დასაფასებლად იმართებოდა. სამხატვრო ცხოვრება სამხატვრო აკადემიისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც თანამედროვე მხატვრობაში დრომ სხვადასხვა სიახლე დაამკვიდრა, სამხატვრო აკადემია ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად ვერ აცნობდა მომავალ მხატვრებს იმ "უცნობ რეალობას", რომლის შესახებ ინფორმაცია აკადემიის გვერდის ავლით, სხვადასხვა უცხოური ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებებით შემოდიოდა. ინფორმაციულმა ვაკუუმმა თუ მხატვრობის ახალ ფორმებთან გაუცხოებამ, ფაქტობრივად, შექმნა თაობის დაკარგვის საშიშროება, როდესაც "დიპლომირებული" მხატვარი არარეალიზებული გახდა არსებულ გარემოში. ჩაკეტილობიდან გამჭვირვალობაზე, ღია სტრუქტურულ გარდაქმნაზე საუბრობენ აკადემიაში. "აკადემიას ჩაკეტილი სასწავლებლის სახე ჰქონდა. ამავე დროს სასწავლებლის გარეთ იყო და ახლაც ბევრი პროფესიონალია. აკადემია უნდა გახდეს ღია სტრუქტურა; უნდა გაიზარდოს მის შიგნით საზოგადოებრივი წარმომადგენლობა, რაც დაწყებულია. ინფრასტრუქტურა, რომელიც აკადემიის გარეთაა, შიგნით უნდა შემოვიტანოთ. მაქსიმალურად ბევრი პროფესიონალი უნდა დაინტერესდეს, ჩაერთოს აკადემიის შიგნით მიმდინარე პროცესებში", - ამბობს დიზაინის ფაკულტეტის დეკანი გიორგი იაშვილი. აკადემიის ღია სტრუქტურად გარდაქმნის პროცესი რომ დაწყებულია, ამას ადასტურებს სამხატვრო აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღანელი ქეთევან იგნატოვა: "წარმოუდგენლად არის გაზრდილი ინტერესი აკადემიის მიმართ როგორც უცხოელების, ისე იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც არასდროს ყოფილან ჩართულნი აკადემიის ცხოვრებაში; დაინტერესებული არიან ის ადამიანები, რომლებიც აკადემიის დამთავრების შემდეგ არასდროს დაინტერესებულან სასწავლებელში მიმდინარე პროცესებით. ყოველდღიურად ახალ შეთავაზებებს ვიღებთ უცხოეთიდან. ასევე ბევრი ადგილობრივი მხატვარი გამოთქვამს თანამშრომლობის სურვილს".

ცვლილებებია სასწავლებლის სტრუქტურაშიც. გამჭვირვალობაზე საუბარი ზედმეტია, თუკი საზოგადოებას არ ექნება ზუსტი ინფორმაცია სასწავლებლის შიდა პროცესებზე. ამ მისიით შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. კიდევ ერთი სტრუქტურული დანამატი - საერთაშორისო ინტეგრაციისა და განვითარების დეპარტამენტი (ხელმძღვანელი - ნინო გედევანიშვილი), აკადემიაში საერთაშორისო გამოცდილების შესასწავლად ჩამოყალიბდა. "საერთაშორისო ინტეგრაციისა და განვითარების დეპარტამენტი გულისხმობს ყველა იმ სიახლის შემოტანას აკადემიაში, რომელიც თავსებადი იქნება კანონთან და "ბოლონიის პროცესთან". ვამუშავებთ იმ ინფორმაციას, რაც არსებობს სახელოვნებო სასწავლებლებში საერთაშორისო მასშტაბით; რა არის ამ პროცესში გავლილ გზაზე პოზიტიური, რა იყო შეცდომები, - ასეთივე პროცესი ხომ ევროპის ძალიან ბევრმა ქვეყანამ სულ ცოტა ხნის წინათ გაიარა", - ამბობს ნინო გედევანიშვილი.

ამ მოკლე დროში, რაც აკადემიას ახალი რექტორი ჰყავს, სასწავლებელში რამდენიმე დეკანი გამოიცვალა. მაგრამ ეს მოხდა ისე, როგორც უნდა ხდებოდეს საერთოდ, როდესაც ძველებს არ ენანებათ თანამდებობა, რადგან დეკანობა თუ კათედრის გამგეობა არ ასოცირდება ფაბრიკა-ქარხნების დირექტორობასთან. იმით, რომ ამ პროცესმა უხმაუროდ ჩაიარა, კმაყოფილი არიან აკადემიაშიც. "ის, რომ ჩვენთან თაობათა ცვლა მოხდა სრულიად უმტკივნეულოდ, რექტორის პიროვნული თვისებების, მისი სიფრთხილის, ტაქტის, ზოგადი მოთხოვნებისა და განწყობის დამსახურებაა. იმდენად სწორად წარიმართა მოსამზადებელი პერიოდი, იმდენად აქტიურად დავიწყეთ მუშაობა, ისეთი მოთხოვნები გაჩნდა და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების იმდენად რეალური მცდელობებია ჩვენთან, ბუნებრივად მოხდა ის, რომ უფროსმა თაობამ რეალურად დაინახა თავისივე აღზრდილების მნიშვნელობა. გია იაშვილი, ყარამან ქუთათელაძე, ნოდარ ამაშუკელი და ნანა იაშვილი, - ისინი აღზარდეს იმ პროფესორებმა, ვინც მათ შეცვალეს. ამაში შეურაცყოფელი არაფერია", - ამბობს ქეთევან იგნატოვა.

სამხატვრო აკადემიაში ახალი რექტორის დროს, დღემდე, ოცამდე მასტერკლასი გაიმართა; გამოცდილ და აღიარებულ მხატვრებს კიდევ უფრო ხშირად მოიწვევენ. დაწყებულია მოლაპარაკებები პროფესორ-მასწავლებლებთან; ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკების საფუძველზე, შესაძლებელია თბილისის აკადემიაში მომავალი წლიდან ლექციები წაიკითხოს ცნობილმა მხატვარმა გია ეძგვერაძემ (როგორც გია ბუღაძემ თქვა, მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს). აკადემიაში დაწყებულია მუშაობა სტუდენტების გაცვლით პროგრამებზე. ამჟამად თბილისში დიუსელდორფის აკადემიიდან ელოდებიან პროფესორთა ნაკადს - ისინი ქართველ სტუდენტებს წაუკითხავენ ლექციებს, დაგეგმილია მასტერკლასებიც. სტუდენტებისა და პედაგოგების სასურველი თანამშრომლობისა და ურთიერთობისთვის აკადემიის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს "არტ-ვილა გარიყულას". "გარიყულა" ყოველთვის ჩართული იყო აკადემიის ცხოვრებაში, მაგრამ ახლა უფრო აქტიურია ეს თანამშრომლობა. "გარიყულაში" შერწყმულია საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროცესი. აქ სტუდენტები უფროს კოლეგებთან, პედაგოგებთან ერთად ქმნიან ერთობლივ პროექტებს, ისმენენ მასტერკლასებს, საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით მართავენ ვორქშოპებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მენტალურ გახსნას. ამ პროცესში ჩადებულია თანაცხოვრების იდეა, როდესაც სტუდენტები და პედაგოგები ერთად სადილობენ, კამათობენ, გამოფენებს აწყობენ. მაისში იქ მასტერკლასებს გამართავენ ჰოლანდიელი და ლატვიელი მხატვრები", - მეუბნება "გარიყულას" სულისჩამდგმელი, სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი ყარამან ქუთათელაძე.

თავად რექტორი აკადემიაში მიმდინარე ცვლილებებს ამგვარად აფასებს: "ყველა ის პროცესი, რაც ჩვენთან მიმდინარეობს, აჩქარებული ტემპით მიდის. მაგრამ მგონი ხარისხი შევინარჩუნეთ". გია ბუღაძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ახალ კანონს, რომელიც, მისი თქმით, აკადემიის ხელმძღვანელობას მრავალი ინოვაციის განხორციელებაში დაეხმარება. ერთ-ერთი ასეთი ინოვაცია იქნება აკადემიაში ალტერნატიული მედიისა და ექსპერიმენტული ლაბორატორიის გახსნა. "შეუძლებელია იგივე ფორმატში და იგივე წესით ვასწავლოთ, რაც ათწლეულების განმავლობაში იყო დანერგილი. რეალურად ახალი გარემოა, სხვა ინფორმაციაა, რაც აუცილებლად ასათვისებელია. სწავლისა და შემოქმედების პროცესი უნდა იყოს იდენტური, ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გვაქვს გადასადგმელი", - ამბობს აკადემიის რექტორი.

დაბოლოს, აკადემიის თერთმეტსართულიან შენობაში დაწყებულია რემონტი (ბიზნეს-ჯგუფ "ქართუს" დახმარებით), რამაც საბოლოოდ წერტილი უნდა დაუსვას აკადემიაში, სულ მცირე, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემებს - სიცივეს, სველი წერტილების არარსებობას, რაც სწავლასა და მუშაობაში ყველაზე მეტად უშლიდა ხელს ყველას. "ჩვენი სტუდენტები აღარ იქნებიან სამარცხვინო მდგომარეობაში, იმ პირობებში, როცა ხელოვნებასა და სწავლებაზე საუბარი ზედმეტი იყო", - გვპირდება აკადემიის რექტორი.

ხმოვანი შეტყობინება კავკასიას

თანამედროვე მუსიკის ფესტივალი მშვიდობის სამსახურში

ვერა ნეფარიძე

"ორი ათეული წლის წინ, როგორც კი შიდსის პირველი კლინიკური ნიშნები გამოვლინდა, აივ-შიდსი მსოფლიოს ყველა კუთხეს მისწვდა. აივ-შიდსი დღეისათვის იქცა მსოფლიო მასშტაბის ეპიდემიად, რომლისთვისაც არ არსებობს გეოგრაფიული, რასობრივი, ასაკობრივი თუ სექსუალური ორიენტაციის საზღვრები", - ასეთია "საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასიას" შეტყობინება, რომელსაც "მუსიკის ენით" ხუთშაბათს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტზე გაახმოვანებენ პოპულარული შემსრულებლები.

თეთრი ბაფთის ქართველი ელჩები.

კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალი ახალი ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და სამხრეთ კავკასიის გლობალურ განვითარებას, ასევე რეგიონში მშვიდობის დამყარებას ეძღვნება. ფესტივალს თბილისში "საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასია" (WAI-C) ორგანიზატორობს. WAI-C "საერთაშორისო ქალთა დახმარების" ადგილობრივი ორგანიზაციაა. საერთაშორისო ქალთა დახმარებას დაწყებული აქვს ორი კამპანია: "გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი აქტივიზმი" და "თეთრი ბაფთის კამპანია". სწორედ ამ უკანასკნელის ეგიდით გაიმართება ფესტივალი "ხმოვანი თბილისი 2005"-ის გალა-კონცერტი 3 მარტს, ქალთა საერთაშორისო კვირეულის დროს, საქართველოში ქალთა ეროვნულ დღესასწაულზე.

თეთრი ბაფთის კამპანია, ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანადელ მამაკაცთა უნიკალური და უდიდესი ინიციატივაა. "საერთაშორისო ქალთა დახმარებამ" ხუთი წლის წინათ დააარსა "თეთრი ბაფთის კამპანია" კავკასიაში. დღეისათვის თეთრი ბაფთის ქართველი ელჩები არიან: გია ბუღაძე, რეზო გაბრიაძე, კახი კავსაძე, დათო ევგენიძე, დუტა სხირტლაძე, კოტე ყუბანეიშვილი, ბაკურ ბურდული, რაგბის ეროვნული გუნდი "ლელო", ბიძინა გეგიძე და გიორგი კანდელაკი. წელს მათ რიგებს შეემატნენ: აჩიკო გულედანი, ზაზა კორინთელი, ნიაზ დიასამიძე და ვახო ბაბუნაშვილი.

კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალი "თეთრი ბაფთის კამპანიის" ფარგლებში ყოველწლიურად, მარტში სამ ქალაქში - თბილისში, ბაქოსა და ერევანში გაიმართება. "ფიდა რიფლის (საერთაშორისო ქალთა დახმარების დირექტორი და დამფუძნებელი) მიერ დაარსებული კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალი არა მხოლოდ თანამედროვე მუსიკას გაუწევს პოპულარიზაციას, არამედ მუსიკოსებს კრიტიკული სოციალური პრობლემების შესახებ სასაუბროდ პლატფორმით უზრუნველყოფს", - მიაჩნიათ "ხმოვანი თბილისი 2005"-ის ორგანიზატორებს. ფესტივალში, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ცნობილი ქართველი მუსიკოსები და ჯგუფები მონაწილეობენ. წლევანდელ ღონისძიებაზე აივ-ინფექციის საშიშროებაზე მუსიკის ენით ისაუბრებენ: "33ა", "მწვანე ოთახი", Lemonjuice (ყოფილი Young Georgian Lolitaz), ნინო ქათამაძე, Paparazzi, Soft Eject, "ზუმბა" და ბაკურ ბურდული.

"შემაშფოთებლად იზრდება აივ-შიდსით ინფიცირების მაჩვენებელი გოგონებსა და ქალებს შორის; აივ-ით ინფიცირებულთა 60 პროცენტს 15-დან 24 წლამდე ახალგაზრდა ქალები შეადგენენ... ამის გამო დააარსა ფიდა რიფლიმ კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალი, რომელიც მუსიკოსთათვის იქნება პლატფორმა, საიდანაც თავიანთ ფანებს ხმას მიაწვდენენ ჯანდაცვის ესოდენ პრობლემურ საკითხზე. უვიცობა აივ-შიდსის ეპიდემიის უკონტროლობის მთავარი მიზეზია", - წერია "საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასიის" საინფორმაციო ბიულეტენში. აქვე მოცემულია დეტალები ჩვენს რეგიონში ეპიდემიის შესახებ. "საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასიის" ცნობით, შუა აზიისა და კავკასიის ზოგიერთ რესპუბლიკაში ეპიდემია ადრეულ სტადიაშია. ამ რეგიონებში მცხოვრებ აივ-ინფიცირებულთა უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენს და 80 პროცენტზე მეტი, ვისი ინფიცირებაც გამჟღავნებულია, 30 წლამდე ასაკისაა.

ოსკარის გმირები

ქლინთ ისთვუდი

ირაკლი მახარაძე

რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ამერიკული კინოს ქომაგი ვიყავი, განსაკუთრებით, კი ვესთერნის. მიმაჩნია, რომ ამერიკული კინო საუკეთესოა მსოფლიოში, მიუხედავად ბოლო ორ ათწლეულში შექმნილი უამრავი კონვეირული და მდარე ნაწარმოებისა. ჯერ კიდევ ამ 15-20 წლის წინათ ვამბობდი, რომ ქლინთ ისთვუდი ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემოქმედია მსოფლიო კინემატოგრაფში, თუმცა თავის დროზე საბჭოთა კინოკრიტიკამ იგი მიწასთან გაასწორა. მახსოვს მოდას აყოლილი ბევრი ქართველი კინომცოდნე და ჩემი კოლეგა-კინემატოგრაფისტი ცხვირს მაღლა სწევდა ვესთერნისა და ისთვუდის სახელის გაგონებაზე; მათ მხოლოდ ანტონიონი, ფელინი, ტარკოვსკი და სხვა მაღალი სახელები "აინტერესებდათ". თუმცა, დარწმუნებით ვიცოდი, რომ ბევრ მათგანს წესიერად არც ერთის შემოქმედება არ ჰქონდა გადახარშული, მაგრამ მოდა მსხვერპლს მოითხოვს.

ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ 27 თებერვალს ოსკარის რიგით 77-ე ცერემონიალზე კიდევ ერთხელ ვიხილეთ "ვინ ვინაა". ქლინთ ისთვუდმა, რომელსაც 31 მაისს 75 წელი შეუსრულდება, შვიდ ნომინაციაში წარდგენილი ფილმისთვის "მილიონ დოლარიანი გოგონა" მიიღო აკადემიის უმაღლესი ჯილდოს ოთხი ქანდაკება რეჟისურისთვის, ფილმისთვის (ასევე ქალის მთავარი როლის შემსრულებელმა ჰილარი სუონქმა და მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელმა მორგან ფრიმენმა). "ბინძური ჰარისა" და "უსახელო მამაკაცის" სახის შემქმნელმა დაამტკიცა, რომ მას კინოხელოვნების ნებისმიერ ჟანრში შეუძლია შედევრების შექმნა. წლევანდელ ცერემონიალზე საპატიო ოსკარი გადასცეს რეჟისორ სიდნი ლუმეთს, ამის შემხედვარე ისთვუდმა განაცხადა: "მე ვუყურებდი სიდნი ლუმეთს, რომელიც 80 წლისაა და ვფიქრობდი, მე ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვარ და წინ უამრავი საქმე მელის".

ოსკარი არასოდეს გამოირჩეოდა დემოკრატიულობით, აკადემიის გადაწყვეტილებებში კონიუქტურა და პოლიტკორექტულობა ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა. წლევანდელი დაჯილდოება ბევრისთვის ასეთივე უსამართლო შედეგით დასრულდა, რადგან მსოფლიო კინოს დიდოსტატი მართინ სქორსეზე (ისთვუდის მთავარი მეტოქე) ისევ ოსკარის გარეშე დარჩა (აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ისთვუდმა გადაიღო დოკუნეტური ფილმი Piano Blues, რომლის პროდიუსერი სქორსეზე გახლდათ). ეს ჯილდო სქორსეზესთვის დიდი ხნის წინ უნდა მიეცათ ისეთი შედევრებისთვის, როგორიც "ბოროტი ქუჩები", "ტაქსის მძღოლი" და "მძვინვარე ხარია". მაგრამ მსგავსი შედეგით არა ერთი ოსკარის ცერემონიალი დასრულებულა და ბევრი დიდი ხელოვანი ისე წასულა ამ ქვეყნიდან, ეს ჯილდო არც კი ღირსებია - თუნდაც რიჩარდ ბერთონი, ალფრედ ჰიჩქოქი ან კიდევ სემ პექინპა გაიხსენეთ.

ქლინთ ისთვუდი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. იგი ნაღდი ეროვნული გმირია და ამერიკული კულტურის ისეთივე განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, როგორც მიკი მაუსი, კოვბოი ან ელვის პრესლი. საკუთარ კულტურას კი გაფრთხილება უნდა, რასაც ამერიკელები, ჩვენგან განსხვავებით "ხუთიანზე" აკეთებენ (და აქ მხოლოდ ფულში არ არის საქმე).

ორმოცი წლის წინათ ჰოლივუდში მყოფმა სოფი ლორენმა მოითხოვა შეხვედრა ყველაზე ცნობილ ამერიკელ მსახიობთან. როდესაც სტუდიის მესვეურებმა შეიტყვეს, რომ ეს ქლინთ ისთვუდია, ყურებს არ დაუჯერეს, რადგან ვერ წარმოედგინათ სატელევიზიო სერიალის მსახიობი იმ კინოვარსკვლავად, რომელთან შეხვედრა თვით სოფი ლორენს სურდა. თუ იმდროინდელი ამერიკული აუდიტორია ისთვუდს თითქმის არ იცნობდა, მთელი იტალია და ევროპა სერჯიო ლეონეს სპაგეტი-ვესთერნის წყალობით გადარეული იყო მასზე, ილ სიგარილო - ასე ეძახდნენ მსახიობს, რადგან მის გმირს პირში მუდმივად სიგარა ჰქონდა გარჭობილი. კრიტიკოსებმა ისთვუდის გმირს "უსახელო მამაკაცი" შეარქვეს, თუმცა დოლარის ტრილოგიის სამივე ფილმში მას სახელი ჰქონდა - ჯო, მანქო და ბლონდი. უსახელო მამაკაცი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული პერსონაჟია მსახიობის კარიერაში. მსახიობის მენეჯერი წინააღმდეგი იყო სერჯიო ლეონეს ფილმში მისი მონაწილეობისა - ეს იქნება მალპასო, რაც ესპანურად არასწორ ნაბიჯს ნიშნავს, შენი კარიერისათვისო, მაგრამ იგი შეცდა. შემდგომში ისთვუდმა საკუთარ კინოკომპანიას სწორედ "მალპასო" დაარქვა. ფილმის ბიუჯეტი სულ 200 ათასს დოლარს შეადგენდა და როგორც ისთვუდი იხსენებდა, მას დუბლებისათვის გამოსაცვლელი ტანსაცმელიც კი არ ჰქონდა, ამიტომ რეკვიზიტს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ტრილოგიის პირველი ფილმისათვის "ერთი მუჭა დოლარები" ისთვუდს სულ 15 ათასი დოლარი და თვითმფრინავის ბილეთი ერგო, მეორე სურათისათვის "რამოდენიმე დოლარით მეტი" უკვე 50 ათასი დოლარი და "ფერარი" მიიღო, ხოლო მესამისათვის "კარგი, ცუდი, ბოროტი" 250 ათასი. ლეონეს ვესთერნებს გამოსვლისთანავე უზარმაზარი წარმატება ხვდათ წილად, განთქმულმა რეჟისორმა ვიტორიო დე სიკამ ისთვუდს ახალი გერი ქუპერი უწოდა. და მართლაც, ისთვუდი თამაშის მანერით წააგავს ცნობილ მსახიობს, მაგრამ მისგან განსხვავებით ისთვუდმა რადიკალურად განსხვავებული, ახალი გმირი შემოგვთავაზა. მისი გმირი კი სჯის ბოროტებას, ანადგურებს ბანდიტებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ოქროს ან ფულს დაეპატრონოს, რაც ტრადიციული ვესთერნის გმირისთვის წარმოუდგენელი რამ იყო.

ევროპის შემდეგ საჭირო იყო ამერიკის დაპყრობაც, ისთვუდი დაბრუნდა სამშობლოში და რამდენიმე საინტერესო პროექტში მიიღო მონაწილეობა, 1970 წლიდან კი იწყება მისი თანამშრომლობა ცნობილ რეჟისორთან დონ სიგელთან. მათ ერთად გადაიღეს ხუთი ფილმი, რომელთაგან ყველაზე ცნობილია "ბინძური ჰარი". ისთვუდი სუპერვარსკვლავად იქცა, ფილმი კი მსოფლიოს მასშტაბით იმდენად პოპულარული გახდა, რომ საქმე კურიოზებამდეც მიდიოდა. ფილიპინების პოლიციის დეპარტამენტში "ბინძურ ჰარის" სასწავლო ფილმად იყენებდნენ, ამერიკაში ისთვუდს ხშირად იწვევდნენ პოლიციაში ლექციების წასაკითხად, მაგრამ იგი უარს ამბობდა და აცხადებდა, რომ იურისპრუდენციაში არაფერი გაეგება. "ბინძურ ჰარის"კიდევ ოთხი გაგრძელება მოჰყვა. ფილმის გმირის, ინსპექტორ ჰარი ქელეჰენის სიტყვებს კი მრავალი ცნობილი ადამიანი იყენებდა. ერთხელ პრეზიდენტმა რეიგანმა მორიგი კანონის გატანისას სენატორებს ბინძური ჰარის სიტყვებით მიმართა - "მიდით რა, გამისწორეთ"! მართლაც, სენატორებმა გაუსწორეს და კანონი მიღებულ იქნა. სხვათა შორის, როდესაც 1986 წელს ისთვუდი მშობლიური ქალაქის, ქარმელის მერი გახდა, პირველმა მას რონალდ რეიგანმა მიულოცა ტელეფონით და შეეკითხა: "რა უბიძგებს მსახიობს, რომელიც მაიმუნებთან ერთად თამაშობდა, პოლიტიკურ თამაშებში ჩაბმას?" საქმე იმაში გახლავთ, რომ რეიგანმა და ისთვუდმა სხვადასხვა დროს ითამაშეს კომედიაში, სადაც ერთ-ერთი მთავარი გმირი შიმპანზე გახლავთ. თუმცა ისთვუდი პოლიტიკას არ გაჰყვა, რადგან მისი თქმით, არ სურდა მუდმივად პრესის ყურადღების ქვეშ ყოფნა.

ისთვუდმა თვითონაც მიჰყო ხელი რეჟისორობას - დადგა სხვადასხვა ჟანრის 27 ფილმი, მაგრამ მის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ვესთერნს უჭირავს: "ჩამოჰკიდეთ ისინი მაღლა", "მაწანწალა მთებიდან", "ბანდიტი ჯოზი უელსი". თვითონ ისთვუდი ამბობდა, "ამერიკულმა კულტურამ მოგვცა ორი ჟანრი -ვესთერნი და ჯაზი" (სხვათა შორის, ისთვუდი ნიჭიერი პიანისტი, კომპოზიტორი და მომღერალიცაა). იგი ხუთი ფილმის მუსიკის ავტორია. მან დადგა ცნობილი ჯაზმენის ჩარლი პარკერისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ფილმი "ჩიტი", რომელმაც 1985 წელს კანის ფესტივალზე ფურორი მოახდინა.

90-იან წლებში აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ ისთვუდის დღეები, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი მსახიობის და მასთან ერთად ვესთერნის ჟანრის, რომელსაც მან უდიდესი ღვაწლი დასდო, დათვლილია. "უკვე კარგა ხანია, რაც ზოგიერთი ექსპერტი ვესთერნის სიკვდილზე სპეკულაციას ეწევა. ვესთერნისადმი მიძღვნილ ამ რეკვიემს მე უკვე 35 წელია, რაც ვუსმენ, მაგრამ ის რატომღაც ყოველთვის მკვდრეთით დგება" - ამბობდა ისთვუდი და ამ სიტყვების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად 1992 წელს შექმნა ბოლო დროის საუკეთესო ვესთერნი "მიუტეველები". ეს სურათი იმ წლის ყველაზე შემოსავლიან ფილმად იქცა და ამასთან ერთად ოთხი ოსკარი მიიღო, მათ შორის საუკეთესო ფილმისა და რეჟისურისათვის. მადლიერმა მოსწავლემ ქლინთ ისთვუდმა ფილმი მიუძღვნა თავის მასწავლებლებს - სერჯიო ლეონესა და დონ სიგელს.

ისთვუდი მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიან მსახიობთა სიაში რამოდენიმე ათეული წელიწადია იმყოფებოდა, მისი ჰონორარები მილიონობით განისაზღვრებოდა, ნიუ იორკის ხელოვნების მუზეუმი მისი ფილმების რეტროსპექტივას აწყობს, 1985 წელს კი საფრანგეთის მთავრობამ ისთვუდს ხელოვნების კავალერის წოდება მიანიჭა. მიუხედავად მისი დამსახურებისა და ღვაწლისა, კრიტიკოსები მაინცდამაინც არასოდეს სწყალობდნენ, და მათი დამოკიდებულების შეცვლას საკმაო ხანი დასჭირდა. შეიძლება მის ფილმებს ისეთი დიდი შემოსავალი არ მოაქვს, როგორც "ჰარი პოტერს" ან "ბეჭდების მბრძანებელს", მაგრამ ერთი რამ უდავოა: არც "ჰარი პოტერი" და არც "მბრძანებელი" რამოდენიმე წლის შემდეგ არავის გაახსენდება, ისთვუდის სახელი კი უკვე ოქროს ასოებით არის შეტანილი მსოფლიო კინომატიანეში.

ისპრავეთ & ლაბ-ლაბ 01

იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს უკვე მკითხველს

2 შეადგინეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაბ-ლაბის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეადგინეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნომერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯოსლის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაბ-ლაბის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაბ-ლაბის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების გაანალიზება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ფასდაჯილდო

ქალაქი	მისამართი
თბილისი	რუსთაველის გამზ. №38
	კოსტავას №37
	ბაქრის №2
	შეშელიძის №3
	ჯავახეთის №44
	ქ. წამებულის გამზ. №75
	კინოთეატრი "რუსთაველი"
	გამსახურდიას გამზ. №24
	რუსთაველის გამზ. №31
	მარჯანიშვილის №19
	წერეთლის გამზ. №141ა
	ყაზბეგის გამზ. №41
	მ.კოსტავას №22
	მ.კოსტავას №7
ზესტაფონი	ჭანტურიას № 2
ქუთაისი	თამარ მეფის №25
სამტრედია	რუსთაველის № 27
სენაკი	რუსთაველის № 211
ზუგდიდი	კოსტავას №5ა
ხობი	დადიანის № 238
ფოთი	26 მაისის № 2
ბათუმი	ერას №54/62
ქობულეთი	აღმაშენებელის №135
ოზურგეთი	ჭავჭავაძის № 6
ჩოხატაური	დუმბაძის №7
ლანჩხუთი	თავისუფლების №2
რუსთავი	ხალხთა მეგობრობის №10
მარნეული	რუსთაველის №37
ბოლნისი	ს.-ს. ორბელიანის № 44
თელავი	კოსტავას № 3
ყვარელი	ილია ჭავჭავაძის №64
ლაგოდეხი	26 მაისის №14
წნორი	სტალინის №11
დედოფლისწყარო	რუსთაველის № 4
მცხეთა	სამხედროს №11
კასპი	სტალინის №98
გორი	სტალინის №15
ცხინვალი	ცელნიკოვის №211/39
ხაშური	რუსთაველის №16
ბორჯომი	რუსთაველის № 121
ახალციხე	ნათენაძის № 76
ახალქალაქი	კლარა ცეტკინის №77

ყოველ სამშაბათს

SMS
რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება

ჩვენ სხვადასხვა სკოლებში ვსწავლობდით და ამ განსხვავებას ძალიან ვგრძნობთ. მაგალითად, ჩვენს სკოლებში უკვე მესამე კლასში ვიცოდით, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. როგორც ჩანს, ამ მარტივ არითმეტიკულ ჭეშმარიტებას ყველგან არ ასწავლიდნენ. ზემოთქმულის დადასტურებაა ჩვენი მინისტრების გადანაცვლება სკამიდან სკამზე, ჩვენთვის უცნობი მიზეზითა და მიზნით. ყველაზე უცნაურია აღმოჩენა, რომელიც ამასობაში გავაკეთეთ - თურმე შეიძლება მართავდე რომელიმე სტრუქტურას ისე, რომ იმ რომელიმე სამინისტროსთან არც პროფესია გაკავშირებდეს და არც განათლება. ამ დანიშვნებისა და გადაადგილების უცნაური პრინციპებით ჩვენი საზოგადოება არც დაინტერესდებოდა, უკვე რომ იგრძნობოდეს პოზიტიური შედეგები, თუმცა მშვენივრად გვესმის, რომ თითქმის ყველა სფეროში წარმატებებს დრო სჭირდება, მაგრამ დრო არ სჭირდება ტენდენციებს. უკეთეს ტენდენციებზე საუბარი კი ჯერჯერობით ძნელია. პირადად მე საკმაოდ მიჭირს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა, მალე ყველაფერი შეიცვალოს.

ის, რაც დანამდვილებით ვიცი, რომ არ შეცვლილა, ჩვენი სახელმწიფოებრივი უშიშროებაა - პირადად მე ახლაც ის სამსახური მითვალთვალებს, ვინც წინა ხელისუფლების დროს აწვალებდა ჩემს ტელეფონს, მანამდე - იმის წინა, კიდევ უფრო ადრე - წინის წინა. სამწუხარო ის კი არ არის, რომ ის, რაც ოდესღაც, ახალგაზრდობაში რომანტიკულად გვეჩვენებოდა, ახლა საკმაოდ დამღლელია, არამედ ჯერჯერობით უშედეგოდ დაკარგული დრო და ენერგია ჩვენი ცნობიერების გაჯანსაღებისთვის. ამიტომაც არ მოაქვს შედეგი საკადრო გადაადგილებებს მენტალური ცვლილებების გარეშე. რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სტრუქტურებში ახალი ადამიანების მისვლას, თუ განსხვავება მხოლოდ ასაკშია და არა ცნობიერებაში, მით უმეტეს, იქ, სადაც სახელმწიფოს უშიშროებაზე უნდა ზრუნავდნენ და არა წილებზე. დღევანდელ საქართველოში, სადაც ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს უამრავი აგენტი მოღვაწეობს (და ჯერ შემთხვევაც კი არ ყოფილა - თუნდაც, საჩვენებელი, - რომელიმე მათგანი გაემჟღავნებინათ), მართლა სამწუხაროა, რომ ჩვენი განსხვავებული აზრები უფრო აწუხებთ, ვიდრე უცხო, დამპყრობელი ქვეყნის ჯარები და მათი აგენტურა.

ერთხანს ნოდარ დუმბაძეს ხშირად უფუჭდებოდა ტელეფონი - ხაზი იყო დაზიანებული და უვარგისი. ძალიან რომ შეწუხდა, ერთ-ერთ შესაბამის მაღალჩინოსანს შესჩივლა. იმ მაღალჩინოსანმა მეორე დღესვე სიხარულით ამცნო: ბატონო ნოდარ, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თქვენი რაიონის "ატეესის" უფროსი გამოვცვალეთო. ნოდარ დუმბაძეს უთქვამს: "კაბელი" გამოცვალეთ, თორემ "ატეესის" უფროსი უკვე მესამედ გამოცვალეთ და ჩვენი ტელეფონი მაინც არ მუშაობსო...

შეიძლება, საქართველოს უსაფრთხოებასა და უშიშროებაზე ისეთი ადამიანებიც მუშაობენ, ვისაც საქართველოს მოქალაქეებისგან მადლობის გარდა არაფერი ეკუთვნით, მაგრამ ისინი, ვინც რამდენიმე დღის წინ შეგვხვდა, ნამდვილად არ იმსახურებენ მადლობას. მეტიც - მათ ისიც კი არ იციან, რას უნდა ემსახურებოდნენ. არ იციან, რა ფუნქციები აქვთ და, საერთოდ, რას ნიშნავს ქართული სახელმწიფოებრიობა, რამაც არანაკლებ აღმაშფოთა, ვიდრე ერთი მათგანის აბსოლუტურმა უწიგნურობამ და გაუნათლებლობამ. რასაკვირველია, ზედმეტი ყურადღება (მით უმეტეს, ასეთი ხალხისგან) ძალიან დამღლელია, მაგრამ ადამიანი მაინც ყველაფერს უძლებს. არც მე დავიჩივლებდი ამ "უმნიშვნელო" შემთხვევის გამო, რომ არა იმ ქვეყნის ინტერესები, რომელიც ძალიან ძვირფასია. ეს ქვეყანაა საქართველო, სადაც, უკვე მერამდენე საუკუნეა, ადამიანებს საკუთარ სახელმწიფოში აღარ უცხოვრიათ და სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტსაც ობიექტური საფუძველი აქვს. ეს ყველას გვეხება, ხელისუფლებას კი - ყველაზე მეტად (განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკაში), რადგან "კაბელი" თუ არ გამოვცვალეთ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ერთმანეთის წვალება და, რაც მთავარია, როგორც ხდება ხოლმე, აუცილებლად გამოჩნდება სხვა სახელმწიფო, რომელიც თავისი აგენტებიანად ღიღინით შეგვიერთებს და ჩვენი თავისუფლებაც ისე გაქრება, როგორც არაერთხელ გამქრალა...

არის იდეა! ფანჩატურები დავდგათ, ფანჩატურები!

ჩემს ბავშვობაში პოპულარული იყო ლეგენდა: ამერიკელმა კალათბურთელებმა (მაშინ "პროფესიონალებს" ვეძახდით) დარბაზში შუქი ჩააქრეს, ხელებზე და ფეხებზე ფოსფორი წაისვეს, ბურთსაც წაუსვეს და ისე შეუბერესო.

და აი, ეს ლეგენდა, ოღონდ პატარა განსხვავებით, საქართველოში იქცა სინამდვილედ. დაახლოებით ათი დღის წინ, ეროვნული პირველობის ერთ-ერთი მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე, დარბაზში ელექტროენერგია გაითიშა. რაკი ერთი გუნდი ანგარიშში საგრძნობლად იყო დაწინაურებული, კალათბურთელებმა სპონტანურად მოილაპარაკეს და მატჩი სიბნელეში ჩაამთავრეს! 180 წამი უკუნეთში! გაგიგონიათ მსგავსი რამ?

ჯერ სადა ხართ - მთელი თამაშის განმავლობაში მოედნის ცენტრში ეგდო მოზრდილი ჩვარი. თავიდან მაყურებლებს ეგონათ, რომ დამლაგებელს დარჩა, მაგრამ როცა მის გატანას საშველი არ დაადგა და კალათბურთელებიც ოსტატურად უვლიდნენ გვერდს, წარმოიშვა სხვადასხვა ვერსია, თან საკმაოდ ორიგინალური. საბოლოოდ გაირკვა, რომ სახურავიდან წყალი წვეთავდა და ჩვარს მისი შესრუტვის მისია ჰქონდა დაკისრებული. თავიდან თურმე ვედროს დადგმას აპირებდნენ, მაგრამ ორგანიზატორებს დროულად გაახსენდათ, რომ ჩვენს კალათბურთელებს ნახტომი არ უვარგათ. მერე მოწყურებულ მოხალისეს დაეძებდნენ, იქნებ პირდაღებული ცენტრში დამდგარიყო, თუმცა, ძალიან ციოდა და, სამწუხაროდ, ჭერიდან ნალექი მოედინებოდა და არა არაყი. ბოლოს, ხმათა უმრავლესობით, გაიმარჯვა ჩვარმა.

არა რა, წითელ წიგნში თუ არა, გინესში ნაღდად ვართ შესაყვანი...

■ ■ ■

ამ ჟოზე მოურინიოს თავში აუვარდა, ხო იცი. ჯერ იყო და, "ბარსელონასა" და ფრენკ რაიკაარდს მიადგა - ბოლო სამ წელიწადში იმდენი რამ მოვიგე, კატალონიელებს ასი წელია არ მოუგიათ და ბევრად მაგარი მწვრთნელი ვარ, ვიდრე ეგ კიკინებიანი სურინამელი იყო ფეხბურთელობისასო. მერე სოკერის მშობელ ერს მიაყენა შეურაცხყოფა და თქვა: "ინგლისელები იმიტომ ვერ აღწევენ სერიოზულ წარმატებებს, რომ თამაშობენ გულით და არა გონებით"(?)

ქაჯია? აბა რა ვიცი, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ რაღაც ეგეთი პირი უჭანს. პორტუგალიაში მოღვაწეობისას თავი ყოჩაღად ეჭირა, ლონდონში ჩასული კი, ეტყობა, თავის ჩუკოტკელ სპონსორს, ამხანაგ რომან აბრამოვიჩს დაემსგავსა.

"ჩელსი" იყო ერთადერთი კლუბი, რომლის დელეგაციაც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე არ მივიდა. მიზეზად დასახელდა ის, რომ შესვენებისას გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში რაიკაარდსა და თმაქოჩორა კეკლუც მსაჯ ფრისკს ზედმეტად ძმაკაცური მასლაათი გაუბამთ. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ეს არ იყო ნაღდი მიზეზი. უბრალოდ, მოურინიო და მისი ამფსონები მიხვდნენ, რომ თამაშამდე გადაამლაშეს და შეხვედრის მსვლელობისასაც ოხრად მოუვიდათ შეცდომები.

რა უნდა ეთქვა მწვრთნელს, რომლის გუნდმაც, პლანეტის ყველაზე შეძლებულმა და ამბიციურმა კლუბმა, 90 წუთის განმავლობაში მეტოქის კარში ვერც ერთხელ(!) ზუსტად ვერ დაარტყა (გოლიც ხომ ბელეტიმ შეაგდო საკუთარ კარში). ეს არის "გონებით თამაში"? საერთოდ, რა თამაშია ეს? ლონდონელებმა ზედმიწევნით შეასრულეს ბოსის დავალება კატალონიელთათვის სივრცის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ანუ "ჩელსიმ" "ბარსელონას" ჩვეული ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მისცა. ეს სწორი ნაბიჯი იყო, მოურინიო ამის დიდოსტატია, მაგრამ როცა დიდიე დროგბა გააძევეს, პორტუგალიელმა სულ დაივიწყა მოწინააღმდეგის არსებობა, მოედანზე მეხუთე მცველი (გლენ ჯონსონი) შეუშვა, მთელი გუნდი კარში ჩააყენა და დაისაჯა კიდეც. "ბარსელონამ" მიიღო სასურველი სივრცე (შესაბამისად სრული ინიციატივაც), გათავისუფლდა ფლანგები, ვინაიდან ინგლისელები შუაში დაჯგუფდნენ ბუჩქივით და რაიკაარდმაც, ამ კიკინებიანმა სურინამელმა, დროულად გამოიყენა უცნობი ჯოკერი, არგენტინელი ჯიგიტი მაქსი ლოპესი, გოლისა და საგოლე პასის ავტორი.

კი, მოურინიო ჩინებული სტრატეგია, იდეალურად ესმის საფეხბურთო მათემატიკა, მაგრამ ფაქტია, რომ ოთხშაბათს მას რაიკაარდმა, 80-90-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, ნახაზები თავზე გადაახია. უფრო სწორად, ზედმეტად ფრთხილმა ჟოზემ მისცა ამის საშუალება.

და საერთოდ, როცა "პორტუს" აღმაშენებელი "ნოუ კამპის" (ჩვენთან ბევრი კამათობს, რომელი ფორმაა სწორი - "ნოუ კამპი" თუ "კამპ ნოუ". საქმე ისაა, რომ პირველ ვარიანტს კატალონიაში იყენებენ, ხოლო მეორეს - დანარჩენ ესპანეთში. არჩევანი თქვენზეა.) საკონფერენციო დარბაზში ინგლისური ფეხბურთის ნაკლოვანებებზე მსჯელობს, უნდა ახსოვდეს, თუ რა მოხდა სწორედ ამ ზღაპრულ სტადიონზე 1999 წლის 26 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში და რითი აჯობა "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ბაიერნს" - გულით თუ გონებით.

■ ■ ■

ლიგის მერვედფინალების პირველმა ეტაპმა ისე ჩაიარა, რომ ვერ იტყვი, ვინ გავა მომდევნო წრეში. თბილის-ქალაქში ამბობენ, რომ "მილანი" და "ლიონი" ასპროცენტიანი მეოთხედფინალში "ზიან". თუმცა, იმასაც ამბობდნენ, რომ "მანჩესტერი" და "ვერდერი" უეჭველი ერთიანები იყო. შინ ორივემ წააგო და რატომ უნდა გაგვიკვირდეს მათი გასვლითი წარმატება? წინა აბზაცში ხომ გავიხსენეთ რაინდი ალექსის მონაფეთა ექვსი წლის წინანდელი საგმირო საქმე. რაც შეეხება "ვერდერს", ეს ის გუნდია, მოსკოვის "სპარტაკს" 1:4 რომ შემოუტრიალა და ბრემენში 6:2 მიართვა (მომდევნო სეზონში "ვერდერმა" თბილისის "დინამოსაც" აჯობა დიდი გაჭირვებით). ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გერმანელებთან ხუმრობა არ შეიძლება და ნურც ის, როგორ უჭირთ მათთან ბრძოლა ფრანგებს.

ინგლისურ-გერმანულ შეხლებში ორივე მასპინძელი სამი ბურთით იგებდა და კიდევ კარგი, "არსენალმა" და "ლევერკუზენმა" ბოლო წუთებზე მოახერხეს ინტრიგის დამთესავი თითო გოლის შეგდება. თუმცა, ეს მაინც ფორმალური ინტრიგაა, განსაკუთრებით ლონდონელთა შემთხვევაში, რადგან მათი აგონიური მდგომარეობა უკვე აშკარად თვალშისაცემია. "არსენალი" გადაინვა.

მეტად საინტერესო ამბებს უნდა ველოდოთ ტურინიდან, სადაც კლიმაქსის პირას მყოფი "ბებერი ქალბატონი" ტრავმებისგან განახევრებულ "რეალს" დახვდება. ასეთი მძიმე აწმყოს მიუხედავად, ამ კლუბებს ნარსული აიძულებთ მაღალი დონის სპექტაკლის დადგმას. ჩემი აზრით, მაინც "რეალი" გაძვრება. კიდევ "ბარსელონა", "ბაიერნი", "მილანი", "მონაკო", "ინტერი", "ლივერპული" და... რა ვიცი, მაინც "ვერდერს" ვაწვები.

P.S. საქმიანი წინადადება მაქვს: ნუ ვიჩქარებთ სახურავის შეკეთებს, მალე დაცხება, შეიძლება ჰიდროკრიზისი დაიწყოს, ამიტომ დავდგათ პატარა უსახურავო ფანჩატური მოედნის ცენტრში და კალათბურთელებიც პირდაპირ მატჩის მსვლელობისას მიიღებენ სახელდახელო შხაპს.

მომავალ სამშაბათამდე.

ფეხბურთი

კანკავა „დინამოს" უბრუნდება

მიხეილ აბაიშვილი


ჯაბა კანკავა კვლავ "დინამოს" შეტევებს გაუძღვება.

გოგიტა ბუსაიძის ფოტო

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ნიჭიერი საყრდენი ნახევარმცველის ჯაბა კანკავას ვლადიკავკაზის "ალანიაში" გადასვლის ამბავი უკვე არაერთმა საინფორმაციო საშუალებამ შემდგარ ფაქტად მიიჩნია და გაახმოვანა კიდეც. რუსეთის ყველაზე ავტორიტეტულმა სპორტულმა გამოცემამ "სპორტ-ექსპრესმა" 26 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა ინფორმაცია, თითქოს კანკავამ "ალანიასთან" 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. თუმცა, როგორც გაირკვა, კონტრაქტი აღარ დაიდო, რისი მიზეზიც ქართველი ფეხბურთელის უარი გამხდარა.

კონტრაქტი გუშინ სოჭში უნდა გაფორმებულიყო, სადაც საწვრთნელ შეკრებას აწყობს ოსების მთავარი გუნდი. განუხორციელებელ მოლაპარაკებაზე ინფორმაციის მისაღებად გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით თავად ფეხბურთელს.

"კონტრაქტზე 27 თებერვალს უნდა მოგვეწერა ხელი. წინასწარი შეთანხმებით, კონტრაქტი 3-წლიანი უნდა ყოფილიყო. როდესაც ხელმოწერაზე მიდგა საქმე, გაირკვა, რომ სწორედ ეს პირობა იყო შეცვლილი - ვლადიკავკაზელები მთავაზობდნენ, კონტრაქტი 4+1 წლის ვადით გამეფორმებინა. პირადად მე "ალანიასთან" 2-წლიანი კონტრაქტი მინდოდა, თუმცა, მოლაპარაკების პროცესში დავთანხმდი, ეს დრო კიდევ ერთი წლით გაზრდილიყო. ახალი პირობა, კონტრაქტი 4+1 წლის ვადით გაგვეფორმებინა, კატეგორიულად არ მინდოდა. ამიტომ საერთოდ უარი ვუთხარი და ამ დღეებში თბილისში დავბრუნდები", - თქვა ჯაბა კანკავამ.

"დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი, რომელიც სოჭში საგანგებოდ ამ მისიით ჩავიდა, უკვე გამოემგზავრა თბილისში.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად (მას რამდენიმე დღის წინ შეუსრულდა 19 წელი) ჯაბა კანკავას უკვე უთამაშია ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, თან, ოფიციალურ შესარჩევ მატჩში - ალბანეთის ნაკრების წინააღმდეგ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, მის მიმართ დიდ დაინტერესებას იჩენს გაცილებით ტიტულოვანი კლუბი მოსკოვის "ლოკომოტივი", თუმცა, კანკავა მასთან კონტრაქტის გაფორმებას ველარ მოასწრებს, რადგან რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა მარტის დასაწყისში იხურება.

მიგელ ჰალენსია: "ბრავესენმა გამაოცა"

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მიგელ პალენსია მადრიდის "რეალის" ერთ-ერთ ვეტერან ფეხბურთელად მიიჩნევა. უკვე 11 წელია, რაც ის "სამეფო კლუბის" შემადგენლობაში ირიცხება და შაბათს, პირველად თავის ცხოვრებაში, პირველი გუნდიდან მოწვევა მიიღო. მისი ცხოვრების ოცნება ახდა და ახლა ფეხბურთელს სურს, ეს აქცია არ იყოს ერთჯერადი და მომავალშიც საშუალება მიეცეს, ითამაშოს იკერ კასილასის, ფიგუს, რობერტო კარლოსისა და კომპანიის გვერდით. ოთხშაბათს პალენსიას თამაშის საშუალება მიეცემა, რადგან, როგორც ჩანს, რაულ ბრავო ვერ მოასწრებს "ბეტისთან" თამაშამდე აღდგენას.

- შენი სადებიუტო მატჩი მარცხით დასრულდა. როგორი შეგრძნება დაგრჩა ამ თამაშიდან?

- დიახ. დებიუტი, ცოტა არ იყოს, სევდიანი გამოდგა. მე ამ მომენტს დიდხანს ველოდი. ჩვენ კი ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩი წავაგეთ. პირადად მე მშვიდად ვიყავი. მინდორზე არ მინერვიულია. ხოლო როცა ლა კორუნიადან ვბრუნდებოდით, ყველა თავზარდაცემული იყო.

- როგორ ფიქრობ, დებიუტი ძალიან დაგიგვიანდა? მაგალითად, ალვარო არბელოა დუბლში ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს, მაგრამ პირველ გუნდში მისი დებიუტი გაცილებით უფრო ადრე შედგა. თანაც, მან მარჯვენა მცველის პოზიციაზე ითამაშა.

- არა. მადრიდის "რეალში" დებიუტი გვიან არასდროს არ არის. მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ რომელი ფეხბურთელი უფრო უხდება მის ტაქტიკურ მოსაზრებას. ჩვენ კი სწორედ იმიტომ ვმუშაობთ, რომ როცა საჭირო გახდება, ჩვენზე დაყრდნობა შეიძლებოდეს.

- რა გითხრა რაულ ბრავომ, როცა ის შეცვალე?

- გამამხნევა და მითხრა, რომ კარგად ვითამაშო. და არა მარტო ის. მთელი გუნდი კარგად მეპყრობოდა.

- ლუშემბურგო?

- მან მითხრა, რომ ჩემი თამაში ვითამაშო. და კიდევ მთხოვა, როცა ბექჰემი შეტევაში ჩაერთვება, შენ უკან დარჩიო.

- შეტევაში კი სწორედ შენ გაბედე წასვლა...

- დიახ. იყო ეპიზოდი, როცა შეტევაში ჩავერთვე. წინ წასვლა ძალიან მომწონს.

- შენი საყვარელი ფეხბურთელი კაფუა, ხომ? ჰგავხარ მას?

- დიახ. კაფუ ჩემთვის ერთ-ერთი მისაბაძი მაგალითია. მე უაღრესად შემტევ სტილს ვქადაგებ. ისიც. მე ბრაზილიური ფეხბურთი მიყვარს. ჩემი კიდევ ერთი ორიენტირი, რა თქმა უნდა, მიჩელ სალგადოა.

- რა მოგწონს სალგადოში ყველაზე მეტად?

- მისი ხასიათი მხიბლავს. დაცვაში უაღრესად აგრესიული, ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. ყოველთვის ბურთისთვის იბრძვის და პარტნიორებს მუდმივად რაღაცას კარნახობს.

- ყველაზე მეტად პირველი გუნდის რომელმა ფეხბურთელმა გაგაოცა?

- ყველა შესანიშნავად მომექცა. როცა მათ გვერდით თვითმფრინავით მგზავრობას შეჩვეული არ ხარ, ყველაფერს ყურადღებას აქცევ. ისინი ჩვენ - დუბლის ფეხბურთელებს, ძალიან გვამხნევებდნენ. მაგრამ ვინც გამაოცა, ეს გრავესენი იყო.

- გრავესენი? რით გაგაოცათ?

- ესპანურად ძლივს ლაპარაკობს და, ამის მიუხედავად, ძალიან კარგად შეეწყო გუნდს. მთელი მგზავრობის მანძილზე ის სულ რჩევებს მაძლევდა, ჩემზე, ხუანფრანზე და ხურადოზე ზრუნავდა და ძალიან თბილად გვეპყრობოდა.

- თუ რაულ ბრავო ვერ მომჯობინდა, შენ გექნება შანსი, ოთხშაბათს "სანტიაგო ბერნაბეუზე" "ბეტისის" წინააღმდეგ ითამაშო...

- ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუმცა, მე ძალიან მინდა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება.

- "რეალის" დუბლმა დერბიში "ატლეტიკოს" დუბლთან წააგო. რა მოსდის დუბლშემადგენლობას?

- ეს შემთხვევითობაა. გუნდში ბევრი მაღალი კლასის ოსტატია და სეზონის ბოლოს ცხრილის ზედა ნაწილში აღმოვჩნდებით.

პისაროს დუბლი


პისარო მსოფლიო დონის ფორვარდია - ამბობს ფელიქს მაგათი.

ლონდონის "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის 68-ე წუთზე მიუნხენის "ბაიერნის" პერუელმა ფორვარდმა კლაუდიო პისარომ გვერდითი არბიტრის ტაბლოზე თავისი ნომერი ამოიკითხა. ფორვარდი მინდორს ტოვებდა, მაგრამ დუბლი, რომელიც მან ლემანის კარში შეასრულა, აშკარად გულს უთბობდა ამბიციურ პერუელს. თუმცა, არ არსებობს სითბო, რომელიც მიუნხენის "ოლიმპიაშტადიონზე" გამეფებულ ყინვას ოდნავ მაინც გააღღობდა.

პისარომ მატჩის მეოთხე წუთზე გახსნა ანგარიში, ერთი საათის შემდეგ კი თავისი გუნდის უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა. ამას სამ წუთში ჰასან სალიჰამიჯიჩის მესამე გოლი მოყვა. როცა "ბაიერნის" გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, პისარო შეცვალეს.

მიუნხენელთა გამარჯვებაში შეტანილი წვლილი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ 26 წლის პისარო შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. როდესაც დორტმუნდის "ბორუსიას" კარში ხუთიდან ერთი გოლი გაიტანა, პისარომ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ "ბაიერნს" როი მაკაის გარეშეც უაღრესად შთამბეჭდავი შეტევის ხაზი აქვს.

მიუნხენის "ბაიერნის" მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კლაუდიო პისაროს მოქმედებები შეაფასა, როგორც "გენიალური" და აღნიშნა, რომ ფეხბურთელს ყველა შანსი აქვს, მსოფლიო კლასის ფორვარდად იქცეს. მაგათისა და პისაროს ნაცნობობა ჯერ კიდევ "ვერდერში" დაიწყო. "ბაიერნში" კი მწვრთნელმა პერუელი აიძულა, კვლავ ერწმუნა საკუთარი ძალების.

პისარო უზომო ტემპერამენტით გამოირჩევა. მაგათმა ეს კარგად იცის. "კლაუდიოს უყვარს ყველაფრის იოლად მიღწევა, - ამბობს მაგათი, - ის ყოველ წამს მზად არის, იმხიარულოს, იხუმროს. თუ საკუთარ თავზე უფრო მიზანმიმართულად იმუშავებს, კიდევ უფრო მეტს მიაღწევს".

არადა, სწორედ ეს არასერიოზულობა აქცევს პისაროს მაკაისთვის შესანიშნავ პარტნიორად. ჰოლანდიელი მობილიზების განსახიერებაა და მუდმივად დაგეშილია მეტოქის კარზე. პისაროს წინაშე კი ამ დროს უამრავი თავისუფალი ზონა იხსნება. თუ მაკაი ვერ გაიტანს, ამას, როგორც წესი, პისარო აკეთებს.

ამას გარდა, როგორც ჩანს, პისარომ თავისი თამაში იპოვა. "დარწმუნებული ვარ, სპორტული ფორმის პიკზე გავედი, - განაცხადა პისარომ, - ახლა შევეცდები, ყველა მატჩში თავი გამოვიჩინო. ეს იმას ნიშნავს, რომ გოლის გატანას "ჰაიბერიზეც" ვაპირებ".

ასეთი მაღალი თვითშეფასება პისაროს სულაც არ აშინებს. ბოლო წლებში ხომ მიუნხენელი გულშემატკივარი პერუელის საუკეთესო სპორტულ ფორმას დანატრებული იყო. ახალგაზრდა როკე სანტა კრუსი ჯერ ისევ პერსპექტიულთა კოჰორტას განეკუთვნება. ასეთ პირობებში ძირითად შემადგენლობაში პისაროს დამკვიდრება ეჭვს არ იწვევდა, რაც საბოლოოდ ახდა კიდეც.

თუმცა, პისაროს მოდუნებისთვის მაინც არ სცალია. ბოლო დროს მიუნხენელთაგან მის თანამემამულე პაოლო გერეროსაც გააქვს გოლები. " შესანიშნავია, როცა მაღალი კლასის ორ ფორვარდს შორის არჩევანის საშუალება გაქვს, - განმარტავს მაგათი, - ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის შიშით პისარო იძულებული გახდა, თამაშის ხარისხი გაეუმჯობესებინა. ამით კი გუნდმა მხოლოდ მოიგო".

ამის მიუხედავად, პისარო თავის მწვრთნელს ძველებურად გულს უტეხს. მაგალითად, მან გადაწყვიტა, რომ უქმეები ოუენ ჰარგრივზთან ერთად ლონდონში გაეტარებინა. დაესწრო კიდეც მატჩს ლონდონის "არსენალის" მონაწილეობით. შემდეგ ინგლისური ბუტიკებიც შეათვალიერა და გერმანიაში გაციებული დაბრუნდა.

თუმცა, თუ პისარო მაკაისთან ერთად ჯანზე იქნება, მაშინ მაგათი არ დაფიქრდება, პერუელი ფეხბურთელი ლონდონში წაიყვანოს. არსენ ვენგერს კი უნდა ესმოდეს, რომ ამბიციურ პერუელს ვერავითარი ყინვა ვერ შეაკავებს. ის გოლებს მაინც გაიტანს.

ინფორმაცია

"ჩელსი" მოურინიოს მუშაობით კმაყოფილია

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა: დიდი იმედი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის "ბარსელონასთან" საპასუხო მატჩის არბიტრი იტალიელი პიერლუიჯი კოლინა იქნება.

"რაღაც მკარნახობს, რომ ჩვენს ამ შეხვედრას მსოფლიოში საუკეთესო მსაჯი კოლინა განსჯის. ეს ადამიანი ყოველგვარი ზეგავლენისგან თავისუფალია, ამიტომაც ყველა მატჩს მიუკერძოებლად და ობიექტურად სჯის," - განაცხადა მოურინიომ, რომელთანაც "ჩელსის" ხელმძღვანელობა კონტრაქტის ვადის კიდევ 10 წლით გაგრძელებას აპირებს. ამის შესახებ განაცხადა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა.

"მოურინიოს არაერთხელ უთქვამს, რომ აქ კიდევ დიდხანს უნდა დარჩენა. ჩვენც ეს გვინდა. მწვრთნელს უკვე ვესაუბრეთ ამის შესახებ და გადავწყვიტეთ, ვადა 10 ათი წლით გაგვეზარდა. ინგლისის პრემიერ-ლიგა კვლავაც უძლიერესია ევროპაში. არა მგონია, მოურინიომ სადმე ამაზე უკეთესი ადგილი იპოვოს," - განაცხადა კანიონმა.

"რეინჯერსის" მცველი ნახევარი წელი ვერ ითამაშებს

შესაძლებელია, შოტლანდიური კლუბის "რეინჯერსის" მცველი ალან ჰატონი ტრავმის გამო ექვსი თვე მოედანზე ვერ გამოვიდეს. გასულ შაბათს ქვეყნის ჩემპიონატის "კილმარნოკის" წინააღმდეგ თამაშის დროს მან ფეხი მოიტეხა. გუშინწინ კლუბმა დაადასტურა, რომ 20 წლის ფეხბურთელს ოპერაცია გაუკეთეს. თუმცა, ექიმებს კიდევ გარკვეული დრო სჭირდებათ მისი გამოჯანმრთელების ზუსტი ვადის დასადგენად.

ფერანდოს "ატლეტიკოსთან" უნდა

ესპანური კლუბის "ატლეტიკოს" მთავარმა მწვრთნელმა სეზარ ფერანდომ განაცხადა, რომ გუნდში დარჩენას კიდევ 20 წელი ისურვებდა. ამით მწვრთნელმა უარყო ვარაუდი მიმდინარე სეზონზე თანამდებობიდან მისი წასვლის შესახებ.

"ეს ინფორმაცია ჩემს მიერ ახლახან გაკეთებული განცხადების გამო გავრცელდა. მე ვთქვი, რომ სეზონის ბოლოს საკუთარი შედეგების შეჯამებას ვაპირებ. იმედი მაქვს, რეზულტატით ყველა კმაყოფილი დარჩება. "ატლეტიკოსთან" მუშაობას ერთი კი არა, კიდევ 20 წელი ვისურვებდი. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას," - განაცხადა ფერანდომ.

პელე რობინიოს ურჩევს...

ფეხბურთის მეფემ პელემ ღია წერილი გაუგზავნა "სანტოსის" ახალგაზრდა ბრაზილიელ ფორვარდს რობინიოს. პელე ფეხბურთელს ურჩევს, უარყოს ყველა ევროპული გუნდის, მათ შორის, მადრიდის "რეალის" წინადადება და კარიერა ბრაზილიაში გააგრძელოს.

პელეს სიტყვები ბრაზილიურ პრესაში გამოქვეყნდა.

"ვფიქრობ, რობინიომ საკუთარ მომავალზე და ოჯახზეც უნდა იფიქროს. ახლა სხვა დროში ვცხოვრობთ. როგორც ბრაზილიელს, გამიხარდება, რობინიოს "სანტოსის" მიერ შეთავაზებული ფინანსური პირობები რომ აკმაყოფილებდეს, გუნდისა, რომელშიც მთელი ჩემი კარიერა გავატარე. რობინიო ძალიან ნიჭიერია. კარგი იქნება, თუ თავის ნიჭიერებას ბრაზილიასა და "სანტოსს" მოახმარს", - განაცხადა პელემ.

პარეირამ რონალდო გააკრიტიკა

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ ინტერვიუში რონალდო გააკრიტიკა, აღნიშნა, რომ იგი ფეხბურთზე კონცენტრირებული აღარ არის.

ამ განცხადების მიზეზი გახდა ახლახან მომხდარი ინციდენტი. საკუთარ ჯვრისწერაზე მსუბუქად დაშავებულმა რონალდომ ვარჯიშზე დაადგიანა, რისთვისაც ჯარიმა დაიმსახურა.

"ვფიქრობ, ფეხბურთს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს," - განაცხადა პარეირამ.

კრიტიკის მიუხედავად, მწვრთნელს რონალდო მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნია, თუმცა, მისთვის "ფორმაში ყოფნა ყოველთვის აუცილებელია".

სხვათა შორის, ამბობენ, რომ შესაძლებელია სეზონის დასასრულს რონალდო ლონდონის "ჩელსიში" გადავიდეს. ბრაზილიელმა ჯერაც ვერ გამონახა საერთო ენა "რეალის" მთავარ მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოსთან.

ოლიმპიზმი

აბსოლუტური მზადყოფნა ოლიმპიურად

საქართველო 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება

გიგა გურასაშვილი

"სამწუხაროდ, არ ვიცი ძველი თამაშის წესები, ამიტომაც ახლებურად ვიმოქმედებ... ქართულ სპორტში რევოლუცია არ იქნება. იქნება ევოლუცია!" - ეს სიტყვები ბადრი პატარკაციშვილმა მას შემდეგ წარმოთქვა, რაც ქართულმა სპორტულმა სამყარომ, 17 დეკემბერს, ოლიმპიური მოძრაობის სადავეები ჩააბარა. ის, რაც გუშინ პატარკაციშვილის სამფლობელოში გამართულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე ითქვა, ქართული სპორტისთვის, ალბათ, მართლაც ევოლუციური იქნება. ყოველ შემთხვევაში, ასე გადაჭრით ჯერ არავის უთქვამს, რომ 2014 წელს საქართველომ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უნდა უმასპინძლოს!

საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის მზადება დაიწყეს.

გოგიჩა გუნაიძის ფოტო

ოლიმპიური სამზარეულო

ვიდრე სეოკ-ის პრეზიდენტი ბადრი პატარაკაციშვილი ქართული ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს ამბიციას კიდევ ერთხელ გაახმაურებდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი იქნა განხილული. კერძოდ, საკითხი სეოკ-ის აღმასკომის წევრობის შესახებ. გუშინდლამდე აღმასკომი 28 წევრს ითვლიდა, დღეიდან კი მათი რაოდენობა 37-მდე გაიზარდა. ძველ წევრებს დაემატნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი უდესიანი, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი, მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი ლეილა აფციაური, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე. დანარჩენი ორი მას შემდეგ დაინიშნება, როდესაც მათი ვინაობაც გაირკვევა. პატარკაციშვილის თქმით, აღმასკომში აუცილებლად უნდა იყოს იმ სახეობის წარმომადგენელი, რომელიც ქართულ სპორტში ერთ-ერთი გამწევი ძალაა. საუბარია ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაზე, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო უპრეზიდენტოდაა. პრეზიდენტის არჩევნები კი 4 მაისსაა დანიშნული. ის, ვისაც ჭიდაობის სამყარო პრეზიდენტად აირჩევს, ავტომატურად აღმასკომის წევრიც გახდება. რაც შეეხება მეორე წევრს, ამ ადგილს ავტომატურად დაიკავებს ის, ვინც სათავეში ჩაუდგება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საინიციატივო ჯგუფს და საორგანიზაციო კომიტეტს.

მეორე საკითხი საქართველოში ოლიმპიური პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმვის საბჭოს შეეხებოდა. თუ პატარკაციშვილის განმარტებას მოვიშველიებთ, საბჭო იქნება ერთგვარი გონებრივი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად ერთხმად აირჩიეს მამუკა ხაზარაძე, რომლის მოვალეობა იქნება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ერთგვარი პოლიტიკის განსაზღვრა. საბჭოს პოლიტიკას ცხრა წევრი განაგებს.

მესამე საკითხი სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის არჩევას ეხებოდა.

ის, რომ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ლერი ხაბელოვი სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი იქნებოდა, წინასწარ ვიცოდით, მაგრამ რა ფუნქცია დაეკისრებოდა, ეს არ იყო გარკვეული. შევიტყვეთ, რომ ლერი ხაბელოვის ძირითადი ფუნქცია სპორტულ ფედერაციებთან მუშაობა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების კოორდინირება იქნება. აღმასკომის გადაწყვეტილებით, ასევე ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე. მის მოვალეობაში ზამთრის ოლიმპიური თამაშების კოორდინირება იქნება.

ვიცე-პრეზიდენტების საკითხი ამით არ ამოწურულა. სეოკ-ს კიდევ ორი ვიცე-პრეზიდენტი ეყოლება, ასევე კონკრეტულად და მკაცრად განსაზღვრული საქმიანობით. მათი ვინაობა მომდევნო სხდომაზე გაცხადდება.

რაც შეეხება გენერალურ მდივანს, ეს იქნება ემზარ ზენაიშვილი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა მსოფლიო ასოციაციამ ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

დანარჩენი საკითხები (ასეთი ხუთი იყო) სეოკ-ის აღმასკომის ბიუროს და მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში (2005-2008 წწ.) საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობასა და ამოცანებს ეხებოდა.

გუდაური-ბაკურიანი-2014

დავუბრუნდეთ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, რომლის მასპინძლობის ამბიცია ქართულ ოლიმპიურ სამყაროში დღითიდღე იკვეთება. საუბარია ბაკურიანი-გუდაურზე.

"ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის სერიოზული რესურსები გვაქვს. ამიტომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მალე უნდა შევიტანოთ განაცხადი, - ამბობს ბადრი პატარკაციშვილი. - ჩვენი მხრივ, ძალღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ ბაკურიანი და გუდაური იყოს მასპინძელი.

ვიცით, რომ პრეტენზიული განაცხადია, მაგრამ იმედია, ჩვენი მიზნის განხორციელებაში საქართველოსადმი პოზიტიური დამოკიდებულებაც დაგვეხმარება. თუმცა, აუცილებელია ლობირებაც. გვინდა, რომ მსოფლიო ოლიმპიურ სამყაროში ლობირება გაგვიწიოს ისეთმა პიროვნებამ, როგორიცაა ხუან ანტონიო სამარანჩი! გარდა ამისა, გვეყოლება ცნობილ სპორტსმენთა ლობი და ებრაული ლობი, რომელიც კაპიტალის მოზიდვაში დაგვეხმარება.

იმ შემთხვევაში, თუ არაფერი გამოგვივიდა, ამით ცხოვრება არ დამთავრდება. გადავერთვებით 2018 წლისთვის. მაგრამ ხომ შეგვიძლია ვცადოთ?!"

უკეთ, ვიდრე ათენში!

გუდაურსა და ბაკურიანში ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პერსპექტივებზე საუბრის შემდეგ სეოკ-ის პრეზიდენტი პეკინის 2008 წლის თამაშებსაც შეეხო. მისი თქმით, ქართული სპორტული სამყარო ვალდებულიც კია, პეკინიდან უკეთესი შედეგებით დაბრუნდეს, მაგრამ... ყველაფერი დამოკიდებულია ფინანსებზე, სახსრების მოძიებაზე და სულისკვეთებაზე, რაც არ გვაკლიაო.

თუ გამარჯვება გვინდა, საამისო სახსრებსაც მოვიძიებთ!

თუმცა, მანამდე არ უნდა დავუშვათ ქართველ სპორტსმენთა მიგრაცია.

ტურინი-2006

ერთ წელიწადში საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრება. მართალია, ამთავითვე ვიცით, რომ იტალიიდან უმედლოდ დავბრუნდებით, რაც ზამთრის სახეობათა პრეზიდენტმა და უკვე სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი თოფაძემაც აღნიშნა, მაგრამ არც მონაწილეობაზე უარის თქმა იქნება სწორი. მედლებზე ფიქრისთვის, ალბათ, კიდევ ერთი ოლიმპიური ციკლია საჭიროო. თოფაძე ზამთრის ტურიზმის განვითარებასაც შეეხო, რაც საქართველოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს: "ზამთრის ტურიზმს მსოფლიოში 80-90 მილიონი მომხმარებელი ჰყავს. ევროპას კი მხოლოდ 25-30 მილიონი მოყვარულის მიღება შეუძლია ალპებსა თუ პირენეებში. აქედან გამომდინარე, ძალზე რეალურია, რომ დეფიციტი გარკვეულწილად საქართველოს ხარჯზე აღმოიფხვრას. მომგებიანი სფერო - ზამთრის ტურიზმი, რისი ბუნებრივი რესურსებიც საქართველოს არავისზე ნაკლები არა აქვს, შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის სამსახურში ჩავაყენოთ".

ინფორმაცია

"რეალის" ლაზარეთი გაიზარდა

"რეალს" "დეპორტივოსთან" მარცხი (0:2) არა მარტო ქულების დაკარგვის, არამედ ზინედინ ზიდანისა და რაულ ბრავოს ტრავმის ფასადაც დაუჯდა. ამჟამად "სამეფო გუნდის" ექიმები ცდილობენ გაარკვიონ, რამდენად სერიოზულია მათი ტრავმა და რა დრო დასჭირდება მათ გამოჯანმრთელებას.

კლინსმანს ფოგტსთან მუშაობა სურს

გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას სთხოვა, რაც შეიძლება მალე დანიშნონ ეროვნული გუნდის ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე ბერტი ფოგტსი.

როიტერსის ცნობით, კლინსმანმა განაცხადა, რომ ფოგსტი, რომელიც გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყო 1990-1998 წლებში, უბრალოდ, იდეალურია ამ სამუშაოსთვის.

ვენგერს ლემანი ყელში ამოუვიდა

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა აღნიშნა, რომ მზადაა, სეზონის დასასრულს გამოემშვიდობოს მეკარეს იენს ლემანს. ინგლისური პრესის ინფორმაციით, ვენგერს ყელში ამოუვიდა გერმანელი მეკარის მიერ წამდაუწუმ დაშვებული შეცდომები.

ვენგერმა განაცხადა, რომ გუნდში პირველ ნომრად "ჩელსის" მეკარის კარლო კუდიჩინის ხილვა უნდა. მისივე თქმით, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის დროს კუდიჩინის შეძენა კლუბის ძირითადი პრიორიტეტი იქნება.

სავარაუდოდ, პრობლემა შეიძლება შეიქმნას ჟოზე მოურინიოს მხრიდან. "ჩელსის" მწვრთნელმა ერთხელ უკვე აღნიშნა, რომ არ აპირებს თავისი ფეხბურთელები მოწინააღმდეგეებს დაუთმოს.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV-სპორტი

სამშაბათი. 1 მარტი

НТВ+ФУТБОЛ

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "ბენფიკა"
14:55 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. "მოსკოვი" - ცსკა. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 "FUTBOL MUNDIAL"
17:30 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
17:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:55 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. "ტორპედო" - "მეტალურგი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (19:45) - თავისუფალი დარტყმა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:00 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. "მოსკოვი" - ცსკა. პირველი მატჩი
00:45 უკრაინის ჩემპიონატი. "ილიჩევიცი" - "შახტარი"
02:30 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა

НТВ+ПЛЮС

10:00, 13:00, 16:30, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:20 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
11:15 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
11:45 ბილიარდი. "US Open". ფინალი
13:35 ამერიკული ფეხბურთი - Super Bowl. "PHILADELPHIA EAGLES" - "NEW ENGLAND PATRIOTS"
16:45 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2000 წელი. ნახევარფინალი. "DALLAS STARS" - "COLORADO AVALANCHE"
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 ჩოგბურთი. "დევისის თასი ახალი სეზონის წინ". 2002 წლის ფინალი. საფრანგეთი - რუსეთი. სანტორორ/ესკუდო - კაფელნიკოვი/საფინი. შესვენებებისას (21:30) - პრესცენტრი, (00:15) - ახალი ამბები

EUROSPORT

10:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
12:00 ფეხბურთი - ევროგოლები
13:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
17:00 ფეხბურთი - ევროგოლები
18:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
22:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ტრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა რუსეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის თამაშები აშშ-ში
03:15 მულტისპორტი - იტალია-2006

ქადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი შემოდგომაზე გაიმართება

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ჭადრაკში ამიერიდან ორწრიან ტურნირში გამოვლინდება, რომელშიც მსოფლიოს რვა უძლიერესი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. ფიდეს ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც არ მოხერხდა პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკის მსოფლიოს ბლიც-ჩემპიონატისა და ურთიერთშეხვედრების საშუალებით. საბოლოო ჯამში ფიდემ ერთი ფინალისტის გამოვლენა კი მოახერხა (ვლადიმირ კრამნიკმა ფინალური საგზურისთვის ბრძოლაში სძლია უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს და კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა), მაგრამ შეიქმნა პრობლემები გარი კასპაროვისა და რუსტამ კასიმჯანოვის მატჩის ორგანიზებაში (ამ წყვილს შორის გამარჯვებული ვლადიმირ კრამნიკს გადამწყვეტ ბრძოლაში უნდა შეხვედროდა). ამიტომ ფიდემ გადაწყვიტა, მსოფლიო პირველობის გამართვის სისტემა რამდენადმე შეეცვალა.

ორწრიანი ტურნირის მოწყობის ადგილს აპრილში დაასახელებენ, მაგრამ ამჟამად ცნობილია, რომ შეჯიბრება აუცილებლად 2005 წლის ოქტომბერში გაიმართება. ეს ამბავი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში 25-27 თებერვალს გაიმართა. სწორედ ამ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება გამაერთიანებელი ტურნირის ოქტომბერში გამართვის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილება ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა მიიღო. მისი თქმით, "ისტორიულ მოვლენასთან" გვაქვს საქმე, რადგან ტურნირის გამარჯვებული მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს.

კირსან ილიუმჟინოვის ახალ ჩემპიონატში მსოფლიოს რვა უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობა იგეგმება.

შეჯიბრებაში, რომელშიც 7-საათიანი რეგლამენტი დაწესდება, მონაწილეობას მიიღებენ: უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი, ინგლისელი მაიკლ ადამსი, რუსები გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი და ალექსანდრ მოროზევიჩი, უნგრელი პეტერ ლეკო, ინდოელი ვიშვანათან ანანდი და ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი. ტურნირის საპრიზო ფონდი, სულ ცოტა, 500 ათასი დოლარი იქნება. "მინიმალური საპრიზო ფონდი 500 000 დოლარით არის განსაზღვრული, მაგრამ ის ალბათ უფრო მეტი იქნება," - განაცხადა კირსან ილიუმჟინოვმა და ამით საბოლოოდ ხაზი გადაუსვა გარი კასპაროვისა და რუსტამ კასიმჯანოვის გამაერთიანებელ მატჩს.

ტურნირის გამართვაზე ფიდემ ტენდერი დააწესა, რომელიც 15 აპრილამდე გაგრძელდება. თავის მხრივ, კირსან ილიუმჟინოვმა უკვე გამოთქვა სურვილი შეჯიბრების ყალმუხეთის დედაქალაქში გამართვის შესახებ. ტურნირის ყველა მონაწილე 15 მარტამდე ხელმოსაწერად მიიღებს კონტრაქტს, რითაც ტურნირში თავის მონაწილეობას დაადასტურებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დიდოსტატი შეჯიბრებაზე უარს იტყვის, მაშინ მის ნაცვლად მონაწილეობის უფლებას ავტომატურად მიიღებს რეიტინგით მომდევნო ადგილზე მყოფი მოჭადრაკე.

ესეც უაღრესად საინტერესო განცხადებაა. თუ ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ანანდმა და კასპაროვმა, მაშინ მათ ადგილს უფრო დაბალი რანგის მოჭადრაკეები დაიკავებენ და, შესაბამისად, ტურნირსაც ხიბლი დაეკარგება. უფრო სწორად, გამარჯვებული სინამდვილეში არ იქნება მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე და ტურნირის ჩატარებასაც აზრი დაეკარგება. ლიბიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს ნოკაუტ-სისტემით სწორედ იმის გამო არ აღიქვამდნენ სერიოზულად, რომ ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეები არ მონაწილეობდნენ.

ასეა თუ ისე, ფიდემ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ოქტომბერში ტურნირის გამართვასაც გეგმავს. სად გაიმართება შეჯიბრება, ჯერ უცნობია, მაგრამ თბილისს მისი მასპინძლობის დიდი შანსი აქვს. უფრო სწორად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფიდეს მაღალჩინოსნებს ძალიან უნდათ, ტურნირს საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლოს. ამაზე ფიდეს საპატიო პრეზიდენტმა ფილიპინელმა ფლორენციო კამპომანესმა მიანიშნა. "თბილისში ტურნირის გამართვა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოახერხებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია იმ პრობლემების გადაჭრას, რაც ასეთი დონის ტურნირის მასპინძლობისთვის არის აუცილებელი, - ამბობს კამპომანესი, - საქართველო დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაა. თუ ის წარმატებით გადაწყვეტს ფინანსურ-საორგანიზაციო საკითხებს, საქართველო მიიღებს კარგ შანსს, უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატს".

თავის მხრივ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აბსანძემ აღნიშნა, რომ ფედერაცია ყველა ღონეს მიმართავს, რათა ყველა საკითხი, რომელიც ტურნირის ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული, წარმატებით გადაწყდეს. ფედერაციის ფინანსური შესაძლებლობები დიდი არ არის, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს სპონსორთა წინადადებები, რომლებიც მზად არიან, ამ ტურნირისთვის აუცილებელი შესაბამისი საორგანიზაციო საკითხები გადაჭრან. "დრო გვიჩვენებს შევძლებთ თუ არა მოვიგოთ ტენდერი ამ მატჩ-ტურნირის მასპინძლობის უფლებისთვის," - ამბობს გურამ აბსანძე.

თბილისისა და ელისტის გარდა, ტურნირის მასპინძლობის სურვილს გამოთქვამენ ერევანი და სინგაპური. სხდომაზე ილიუმჟინოვმა განაცხადა, რომ სხდომის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ფიდეს გენერალურ მდივნად სინგაპურელი იგნატიუს ლეონგი აირჩიონ.

კირსან ილიუმჟინოვი:

- ფიდეს მხრიდან ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ფიდეს ჩემპიონი რუსტამ კასიმჯანოვი და ვიცე-ჩემპიონი მაიკლ ადამსი. აგრეთვე "ბრეინ გეიმზის" გამარჯვებული ვლადიმირ კრამნიკი და ვიცე-ჩემპიონი პეტერ ლეკო. ამ ოთხი დიდოსტატის გარდა მოწვეულია რეიტინგის მიხედვით ოთხი საუკეთესო მოჭადრაკე - გარი კასპაროვი, ვიშვანათან ანანდი, ვესელინ ტოპალოვი და ალექსანდრ მოროზევიჩი.

- რომელიმე მოჭადრაკემ თამაშზე უარი რომ განაცხადოს?

- 15 მარტამდე ყველა მიიღებს ოფიციალურ კონტრაქტს ხელმოსაწერად. თუ რომელიმე მათგანი უარს განაცხადებს, მის ნაცვლად რეიტინგით მომდევნო დიდოსტატი ითამაშებს.

- როდის და სად გაიმართება გამაერთიანებელი ტურნირი და როგორია მისი საპრიზო ფონდი?

- ტენდერი გაიმართება, მაგრამ იმისთვის, რომ დავიწყოთ, მე შევთავაზე, 2005 წლის ოქტომბერში ტურნირი ელისტაში გავმართოთ. საპრიზო ფონდი კი 500 ათასი დოლარი იქნება. შეჯიბრების მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს საქართველომ, სომხეთმა და სინგაპურმა, მაგრამ მათ ჯერ ოფიციალური განაცხადი უნდა შემოიტანონ.

- როგორ იქნება ორგანიზებული მომდევნო ციკლი, ვინ შეხვდება მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს?

- მსოფლიოს თასის გამარჯვებული (ფიდეს ყოფილი მსოფლიო პირველობა ნოკაუტ-სისტემით), რომელიც წელს დეკემბერში გაიმართება.

დღევანდელი საქართველო და საბჭოთა სტერეოტიპები

ღია წერილი მშვენიერ ქალბატონებს: ნინო ბურჯანაძეს, სალომე ზურაბიშვილსა და მაია ნადირაძეს

ნოდარ მალაზონია

1998 წელს, ღია წერილით და ამავე სათაურით მივმართე ყოფილ ხელისუფალთ, რათა მათი ყურადღება იმჟამად არსებულ ანომალიებზე მიმეპყრო, რომლებიც ყოველგვარი ქირისა და დაყვედრების გარეშე "გუჯარით" გვიანდერძა ს.ს.რ.კ.-ს ეპოქამ.

გულისტკივილი ერთი იყო, მაგრამ თუ რა ძალისხმევა და დრო დასჭირდა, მეგობარი ქვეყნების დახმარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, არსებული საბჭოთა სტერეოტიპების ნგრევას, ეს თავად ცხოვრებამ გვიჩვენა.

და კიდევ, თუ მაშინ ჩემი ერთ-ერთი ადრესატი ჩამოთვლილთა შორის ბოლოში მოვიხსენიე, დღეს პირველია.

ხოლო არასახელისუფლებო სექტორიდან მრავალთა შორის მაინცადამაინც სწორედ მიხეილ სააკაშვილი თუ რატომ ავირჩიე, მხოლოდ იმით შემიძლია ავხსნა, რომ (აბა, ნოსტრადამუსობას ხომ ვერ დავიჩემებ) იგი იმთავითვე გამორჩეული იყო თავისი ინტუიციურ-იმპულსური ქმედებებით.

მოდით, მცირე ამონარიდში ვნახოთ, რას ვწერდი ქვეყნის პატრონებს, ან ისევ რისთვის გავიხსენე ეს წერილი და სათაურიც შეუცვლელი დავტოვე.

..."საკითხები, რომლებსაც ქვემოთ შევეხები, მხატვრის თვალით დანახული ვიზუალური ასოციაციებია წარსული სურათებისა, რომელიც დღემდე ყოველ ჩვენთაგანს საკუთარ სიბერესავით მიგვაცილებს და ვინძლო სამარის კარამდეც მიგვყვეს.

მაინც რა საბჭოთა სტერეოტიპზე იყო საუბარი?

"... წარმოვიდგინოთ, რომ კლინტონი, შირაკი ან კოლი, ერთ დღეს ჩაფრინდა მოსკოვში და მეორე დღეს ჩამოფრინდა თბილისში, გაიღო თვითმფრინავის კარი, გადმოდგა პირველი ნაბიჯი საპატიო სტუმარმა ტრაპზე, თვალი მოავლო იქაურობას და რას ხედავს? (აქ ნოდარ დუმბაძის "ჩასტუშკა" მოუხდება: - "საქართველო რუსეთია, საქართველო პროსტო ჰქვია").

იქ მართლა ელცინი დახვდა და აქ კი შევარდნაძე, მაგრამ სხვა დანარჩენი ხომ, როგორც გაჭრილი ვაშლი, ისე არა ჰგავს ერთმანეთს?

ჯერ ეს "კრემლიოვსკიე კრასნი, კავროვი, დაროჟკი", ისეა მიმოფენილი, ლამის ცეცხლი წაეკიდოს იქაურობას, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მთავარი აწი იწყება. საპატიო ყარაულითა და მათი "ნაჩალნიკით", - ხმლით, ამუნიციით და მისალმების რიტუალით "პეტუხინი შაგითა და ვიპრავკით".

როგორია არა? ლამის რუსებსაც შეშურდეთ.

ყველაფერ ამას კი, სასულე ორკესტრიც "ეგერსკი" მარშს რომ მიაგუგუნებს და ქართულად მოლაპარაკე "რუსის" ჯარი ფეხაწყობითა და გაშლილი წითელი დროშით, ადგილიდან დაიძრება შორეთიდან ჩამესმის:

- "კრასნოზნამიონნიი, გვარდეისკიი, ტამანსკიი, ორდენა ლენინა ი, ორდენა სუვოროვა, პერვოი სტეპენიი..."

კი, მაგრამ სად არის ქართული ჯარი?

ქართული ამუნიციითა და ქართული მხედრული რიტუალით! (თუნდაც, ეს ორმოცდაათი ჯარისკაცი?)"

მიაქციეთ ყურადღება, მე შვიდი წლის წინათ 50 ჯარისკაცის შესაბამისად აღჭურვისა და რიტუალებზედ ვოცნებობდი, ეს ერთი და მეორე, რატომ მაინცადამაინც აეროპორტიდან დავიწყე?

ბატონებო, უცხო სტუმრის "აყვანა თუ დაბმა" სწორედ იქიდან იწყება, სადაც ის პირველ ნაბიჯს დადგამს უცხო ქვეყნის მიწაზე.

აბა, სხვა, მეტად მნიშვნელოვანი კიდევ რა კოდი უნდა იყოს ჩადებული ამ რიტუალში?

დღეს აეროპორტმა მართალია, დაკარგა ამ ცერემონიალის ტრადიციული ფუნქცია, მაგრამ არა მგონია სამუდამოდ, რადგან განსაკუთრებული სტატუსის სტუმრის მიღებას თავისი შარმი და დიაპაზონი სჭირდება, ამიტომ ვერავინ უარყოფს იმას, რომ ამ თვალსაზრისით, აეროპორტს თავისი ხიბლი გააჩნდა, თუნდაც ქვემეხების ბათქით.

ისე კი, ზოგადად საპატიო სტუმრის მიღება-გაცილების რიტუალზე უარი რომ არავის უთქვამს, თავადვე ხედავთ, თუმცა ამჯერად უკვე (როგორცა ჩანს, დროისა და დამატებითი უსაფრთხოების მიზნით) პრეზიდენტებისა თუ პრემიერ-კანცლერების რეზიდენციებში გადაინაცვლა, თუნდაც მცირე ფორმატით, მაგრამ იმავე ხიბლითა და სულისკვეთებით.

ამიტომაც აქვე იბადება კითხვა!

დღეს, შესაბამისი რა ახალი პროცედურებია გათვალისწინებული, საქართველოს საგარეო უწყებათა მიერ ანალოგიურ ცერემონიალთა განაწესების რეგლამენტში?

ან არის კი საერთოდ შექმნილი ამ ტიპის თანამედროვე რეგლამენტი?

ვინ საზღვრავს მათ პროცედურულ მასშტაბებს?

ან, ვინ არის პასუხისმგებელი ამ მეტად ფაქიზი და განსაკუთრებულად საყურადღებო სახელმწიფოსარიტუალო სცენარის განსახორციელებლად.

შეიქმნა ახალი ჰიმნი, ახალი გერბი, ახალი დროშა. ახალი პასპორტი, ახალი ამუნიციით შეიმოსა პოლიცია, ჯარი. დაიხვეწა და გაყალბებისგან მეტად დაცულია ლარი.

რამდენად განვთავისუფლდით საბჭოთა სტერეოტიპებიდან, ცერემონიალურ ფორმატში?!

თუ ისევ ისე ქართულად, ფართი-ფურთით, ექსპრომტად, ღიმილის მომგვრელი ამბიციურობითა და რაც ყველაზე მეტად შემაშფოთებელია, თვითკმაყოფილებით.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა თავზე ჩაჩქანი დაიხურა, ტანზე ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა, ხელში მახვილი დაიჭირა და მწყობრში ფეხაწყობით სიარული ისწავლა, სტუმრის მიღებისა და გაცილების, გამარჯვებისა და დამარცხების ცერემონიალები, ყველა ქვეყანაში შესაბამისი ეტიკეტით განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

ყველანი ისე როგორც ეს მათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სულისკვეთებას მიესადაგება და რაც მთავარია, ყველანი ისე როგორც ეს მათ ქვეყანას უფრო წარმოაჩენს.

მეტიც შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ცერემონიალები, ერთგვარი ბარომეტრია ქვეყნის სახელმწიფოებრივი ამბიციურობის განზომიერებისა და თუ ვერ გამოხატავ იმას, რაც ხარ; ან კიდევ, მოინდომებ იმას, რაც არ ხარ, ქვეყნის დეგრადაცია გარდაუვალია.

ბუნდესტაგის სხდომათა დარბაზი. აქ პროექტის ავტორმა მიიღო ერთობ თამამი გადაწყვეტილება; მან არა თუ მხოლოდ ფერადოვნება შეუცვალა გერბს, არამედ სტრუქტურულად შეცვალა არწივის გრაფიკული ანატომია.

მხოლოდ აპელირება იმით: "რაც ვიყავით..." - კარგად ასოცირდება, "რომის ბატებთან"...

სოცსამყაროს ნგრევის შემდეგ დაწყებული მარათონი ჯერაც არ დასრულებულა, რადგან ურთულესია თანამედროვე მსოფლიოში მოიპოვო შენი ქვეყნის ფარდი ნიშა.

რაღაც სარიტუალო ხელოვნებამ ასე აგვაფორიაქა, ბარემ პარლამენტის სხდომის დარბაზშიაც შევიხედოთ და ერთი ორი გულსახეთქი რომ იქაც დაგვხვდება, თავადვე დარწმუნდებით.

ამასწინათ სხდომათა დარბაზის ცენტრალურ კედელზე, იქ, სადაც ელექტრონული ტაბლოებია განთავსებული, ერთი მუჭა საქართველოს სახელწმიფო გერბი ჩამოკიდეს.

საინტერესოა, ვინ არის ავტორი-განმკარგულებელი ამ ნოვაციის?

კერძოდ, სად, რა მასალაში, რა მასშტაბის და რა სიმაღლეზე განთავსებინათ ახალი სახელმწიფო გერბი?

არის ერთი კარგი გამოთქმა: - მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!

თუ ამ მარტივი ჭეშმარიტების პერიფრაზს გავაკეთებთ, მაშინ აქ, ეს ასე ითქმება: - მაჩვენე შენს აპარტამენტში რა სურათები გიკიდია, როგორ არიან ისინი ექსპონირებული და გეტყვი ვინ ხარ შენ!

ცნობილია, რომ როდესაც სიმბოლიკა, ისეთ სივრცობრივ არეალში გადაინაცვლებს, როგორიცაა პარლამენტი, სენატი თუ სხვა მსაგვსი დარბაზები, სიმბოლოს იდეურ-სახელმწიფოებრივ სტატუსთან ერთად დეკორატიული ფუნქციაც ეკისრება და ამ დროს, სრულებითაც არ არის საჭირო კონსტიტუციური სკრუპულოზურობით შევუნარჩუნოთ მას კანონიკური სურათოვნება.

არსებული ლოგიკის შინაარსი საჭოჭმანოდ რომ არ გაგვიხდეს, სამაგალითოდ ამისა ბუნდესტაგის სხდომათა დარბაზიც გამოდგება.

მაგრამ ჯერ ის გავიხსენოთ, თუ როგორია გერმანიის გერბი: ყვითელ ფერზე განთავსებულია შავი არწივი გაშლილი ფრთებით, წითელი კაუჭიანი ნისკარტითა და წითელი გაფარჩხული კლანჭებით.

ახლა კი ბუნდესტაგის სხდომათა დარბაზს ვეწვიოთ და ცენტრალურ კედლისკენ მივაპყროთ ჩვენი ყურადღება (უფრო ზუსტად სპიკერატს თავს ზემოთ), სადაც ვეებერთელა ერთ სიბრტყეზე ამოკვეთილი ვერცხლისფერი არწივი რომ არის განთავსებული, ამაღელვებლად დიადი და შთამბეჭდავი.

ნეტავ სად გაქრა ყვითელი ფერი, შავი არწივი და წითელი ნისკარტ-კლანჭები?

ფაფუ ბატონებო, რადგან სწორედ ეს სიურპრიზებია თვისობრივი ნებისმიერი სიმბოლოსი, როდესაც ის დეკორად გარდაიქმნება და არ აქვს მნიშვნელობა, ინტერიერშია ის განთავსებული თუ ექსტერიერში; ქვაშია თლილი თუ ბრინჯაოში სხმული.

ცხადია, მსგავსი პროფესიონალური პროექტის განხორციელებაში, ნორმალურ ქვეყნებში საკმაოდ უფლებიანი გახლავთ, არა თუ რომელიმე მაღალი რანგის მოხელე, არამედ თვით სპიკერიცა და გნებავთ, პრეზიდენტი, მაგრამ წარმოუდგენელია, ეგრეთწოდებულმა ნოვაციათა ავტორებმა, თუ თავად დეკორ-სიმბოლოების შემქმნელებმა ისეთი დაბალი ღირებულების "ტრანსპარანტები" განათავსონ სახელმწიფო აპარტამენტებში, რომელთა ხილვა წამდაუწუმ გვიხდება ჩვენ საგანგებო ბრიფინგებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი განცხადებების გაკეთების დროს ტელეეკრანებზე (მათ შორის სრულიად ახალი და მდარე ხარისხის ნიმუში სწორედ ახლახანს პრეზიდენტის საბრიფინგო დარბაზშიც ვიხილეთ).

წერილის დასაწყისში მე "ნომერ პირველი პოსტის", მავზოლეუმის ხიშტიან სალდათებზე ვისაუბრე, რომლის ანალოგი შევარდნაძის ეპოქის პარლამენტში იქნა რეანიმირებული, როგორც ტიპიური საბჭოთა სტერეოტიპი. დღეს კი, ჩვენი ეროვნული პარლამენტის ნოვაცია, "ჩოხოსანი ყმაწვილები"გახლავთ, რითაც ახალი ხელისუფლება ცდილობს მეტი ეროვნული მუხტი შთაბეროს რევოლუციის მონაპოვარს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე კი...

ან როგორც უინსტონ ჩერჩილმა თქვა: "ამ ქვეყნად ყველაფერზე არსებობს ორი მოსაზრება: ერთი კარგი და მეორე რეალური".

არსებული რეალობა კი, "კარგის" აუცილებელი მოთხოვნილების წინაშე გვაყენებს, რადგან მდარე ხარისხის (ამდენი მდარე?!) ფართლეულითა და "ქუდია თუ ბოხოხიას" იმიტაციით, ეროვნულობის ამბიციებს ვერ დაიკმაყოფილებთ.

მაინც რა იმიტაციაზე და არასრულყოფილებაზე მაქვს საუბარი?

ამჯერად ტრადიციებისადმი ერთგულებისა და პატივისცემის საუკეთესო ნიმუშად შოტლანდიელები და მათი ცნობილი კილტი გამოგვადგება.

დიახ, საქვეყნოდ ცნობილი სწორედ ის "შოტლანკები", დღესაც სანუკვრად მამაპაპისეულ ხელის დაზგაზე რომ იქსოვება, ფაფუკად ნაზარდი ცხვრის მატყლით და ბალახბულახთა ნახარშის ფერადოვნებით იღებება.

და ყველაფერი ეს არა პირადი ყოფითი მოთხოვნილებებისთვის, არამედ შოტლანდიელთა თვითდამკვიდრების სადღესასწაულოდ (ეს ისე, როგორც ახლო წარსულში ხევსურეთსა და თუშეთში, ყოფითი შედევრები იქმნებოდა, მოთელილი თუ თითისტარზე ახვეული ძაფებით).

ეს რაც შეეხება ქსოვილსა და მანუფაქტურის ხარისხს, მაგრამ რა ვუყოთ ფასონს?!

ვინ თქვა, რომ ქართული ეროვნული კოსტუმი ისეთია, რომლის დემონსტრირებას ამჯერად პარლამენტის "პოდიუმზე" ვახდენთ?

ვინ შექმნა, ან ვინ შეარჩია ეს ეროვნული კოსტუმის სტანდარტები?

ან იქნებ თავად ავტორმა გაგვცეს პასუხი, - რა განსხვავებაა ჩვენსა და ამჯერად უკვე, წამბაძველობითა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ, ოსთა და აფხაზთა ჩოხოსანთა შორის?!.

ფაქტობრივად, არაფერი.

შესაძლოა, მავანმა თავის გასამართლებლად, წამოგვაძახოს კდიეც: - ჩვენ ხომ კავკასიურ ეთნოსს მივეკუთვნებით, მსგავსებაც ლოგიკურია და საგანგაშოც არაფერიაო...

მაშინ ავშენებულვართ და ეს არის! ესე იგი, ისევ ინტერნაციონალურად, არა?

ხომ არ დაგვავიწყდა: სვანს, ფშავს, რაჭველს, იმერელს, გურულს, მეგრელს, კახელს, ქართლელს, თუშს, ხევსურს, ოსსა და აფხაზს, - ყველას თავთავიანთი ფასონისა და კოლორიტის: ყაბალახი, თუ ფაფანაკი რომ ახურავს?! (აქ აჯობებდა მეთქვა, ეხურა).

მეგრელი რომ მეგრულად იკრავს ყაბალახს და გურული გურულად? იმერული ჩოხა, რომ სხვაა (მრავალუამიერისდარად), კახური სხვა; ჩაქურა და შარვალი სხვადასხვა?!. ნუღა, ქალამან-უძიროები კიდევ სხვა და სხვა!

აი, ყველაფერი ეს ერთად, ბატონებო - მაესტრო ვირსალაძემ სცენურ ზეიმად აქცია!

ვიღაცამ კი დღეს ჩვენი ეროვნულობის სადარი - "კოსტიუმ, კავკასკიმ ლიცამ" შეთხზა!

მაინც როგორი უნდა იყოს ქართველი, "შვეიცარული კარისკაცების" კოსტუმი?

მზა რეცეპტები არ გამაჩნია,მაგრამ, თამამად შემიძლია განვაცხადო!

ამ სრულიად ახალ ფენომენს, რომელსაც რევოლუციური ხელისუფლება ამკვიდრებს, საგანგებო ყურადღებასა და სინატიფეს მოითხოვს და იგი ასე ჰაიჰარად ვერ დაიმკვიდრებს ღირსეულ-შესაფერის ადგილს საერთაშორისო ცნობიერებაში, მეტიც მალე შეიძლება მათი სრული დევალვირებაც კი მოხდეს, რადგან ბუტაფორიულობას ვერ ჰგუობს, ვერც ტრადიციები და ვერც, სამშობლოს სადიდებლად შექმნილი სარიტუალო ცერემონიალები.

მზა რეცეპტები არ გამაჩნია-მეთქი, ვთქვი: ისე სულის სანუგეშოდ, მოდით, ალექსანდრე დიუმას მოვუსმინოთ:

"...ქართველი მამაკაცები ჩემი აზრით, არა მარტო თვითონ არიან ულამაზესი, მთელი დედამიწის ზურგზე, არამედ მათ ასეთივე საუცხოო ტანისამოსი აცვიათ.

ნაცნობ თავადს, ემოსა ბროწეულისფერი ჩოხა ღია ცისფერი თავთის სარჩულზე, თეთრი ატლასის ახალუხი, შეკერილი ოქროს ბუზმუნტებით და განუსაზღვრელი ფერის შარვალი, რომელიც მტრედის ყელსა და ხმელი ფოთლის ფერებში გადადიოდა.

წელზე ოქროს ქიცვდაყრილი ქამარი ერტყა, სპილოს ძვლისტარიანი, ოქროთი ნაჭედი ვერცხლის ბოდიანი ხანჯლით..."

დიუმას აღტაცებას საზღვარი არ აქვს.

"...თავით ფეხებამდე აბრეშუმის და ხავერდის ტანისამოსში გახვეული, - ეს არის მეჩვიდმეტე საუკუნის ცივილიზაცია, ეს არის ვენეცია, სიცილია, საბერძნეთი".

"...ეს მიწაზე ჩამოსული ბერძენთა ღვთაებაა. ეს დიოსკური, რომელსაც დავიწყებოდა ოლიმპზე ასვლა..."

ვაი დედასა!!!

და ბოლოს კიდევ ერთი საკითხი, არა ჩემს განსასჯელად, არამედ გასაოცრად.

- "ჩართეთ ელექტრონული რეჟიმი! რეჟიმი! რეჟიმი!.."

სპიკერატული რეგლამენტით წამდაუწუმ რომ გაისმის ეს ცუდად ასოცირებადი სიტყვა, საქართველოს პარლამენტში.

კომუნისტურ-ფაშისტური, გულაგ-საკონცენტრაციო, ჩაუშესკუ, მილოშევიჩ, ჰუსეინების, რეჟიმები გამიგონია, მაგრამ ეს ელექტრონული რეჟიმი, ნეტავ რა ავგაროზია?!.

ჩემმა პრეზიდენტმა, ამას წინათ ბრძანა: - მე რაც შემეძლო, გავაკეთე... აჰა, საღებავი, აჰა ფუნჯი...

- ბატონო პრეზიდენტო, არ არის საკმარისი მხოლოდ ფუნჯი და საღებავი...

სამშობლოს უანგარო სამსახურისა და პროფესიონალური ნოვაციის გარეშე, ჯერ არავის არაფერი შეუქმნია ღირებული.

ჟიურის გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს ერთ-ერთი სწორი და უალტერნატივო

ვახტანგ დავითაია

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის კენჭისყრის შედეგების შემდეგ, როდესაც გამოვლინდებინან ლაურეატები, როგორც წესი, იწყება მასირებული შეტევა არაპრემირებულთა ერთი ნაწილისა კომიტეტზე, უპირატესად კომიტეტის ხელმძღვანელობაზე, თუმცა, არც წევრები რჩებიან "ეპითეტის" გარეშე.

კომიტეტის არქივში ბევრია გამოქაქებელი, სალანძღავი წერილები. ასე იყო ჩვენამდე, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალშიც. უკმაყოფილება ყოველი კონკურსის გარდაუვალი თანმდევია. კიდევ კარგი, რომ რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიები ყველა თანაბარი ღირებულებისაა და არა ხარისხობრივად განსხვავებული. ასე, რომ არ იყოს, წარმომიდგენია, რა დამატებითი პრობლემები შეექმნებოდა კომიტეტს.

კომიტეტი იშვიათად (თითქმის არასდროს) პასუხობს ამ განმაქიქებელ პუბლიკაციებზე, თუმცა, ხელმძღვანელობა ყოველთვის საქმის კურსში აყენებს კომიტეტის წევრებს მათ შესახებ.

ბოლო ათ წელიწადში მნიშვნელოვნად შემცირდა კომიტეტის რიცხობრივი შემადგენლობა (ის საერთაშორისო ტენდენციას უახლოვდება), რამაც ყოველი წევრის პასუხისმგებლობა ამორფული, კოლექტიური მდგომარეობიდან პერსონალურში გადაიყვანა. სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაიზარდა ნომინანტთა რაოდენობა - 25-27 ნომინანტი ყოველწლიურად სახელმწიფო პრემიაზე, 12- 15 ნომინანტი რუსთაველის პრემიაზე, რაც 2-ჯერ მეტია ადრინდელზე. გამარტივებულია პრემიაზე წარდგენის წესი.

არის თუ არა კომიტეტის გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი და უალტერნატივო? რა თქმა უნდა, არა. დარწმუნებული ვარ, ისევე როგორც სხვა კონკურსებში (არქიტექტორულ, სახელოვნებო, ქორეოგრაფიულ და სხვა), აქაც სხვა "ყიური" განსხვავებული გადაწყვეტილებას მიიღებდა, თუ რადიკალურად განსხვავებულს არა, 1-2 ნომინანტის შემთხვევაში მაინც. ამგვარი კონკურსები სპორტული შეჯიბრება არ არის, სადაც ყველაფერს ობიექტურად წყვეტს წამმზომი და ქულები. აქ სუბიექტური ფაქტორებიც შემოდის - რას ვიზამთ, ადამიანები ვართ.

მაინც სად არის მძაფრი ვნებათაღელვის სათავე, შეიძლება თუ არა მისი მინიმუმამდე დაყვანა? ყველაზე მეტი გაუგებრობა "პუბლიცისტიკაშია". "პუბლიცისტიკა აშუქებს პოლიტიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს პერიოდულ და ცალკეულ გამოცემებში" - აღნიშნულია ცნობარებში. ცხადზე ცხადია, რომ პუბლიცისტიკა არ არის კინო-თეატრმცოდნეობა, არც ლიტერატურთმცოდნეობა, არც მუსიკათმცოდნეობა, არც მეცნიერება და ა.შ. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად, მკაფიო სადემარკაციო ხაზის გავლება ვერ ხერხდება. ერთადერთი, რასაც შეუძლია ამ გაუგებრობის შერბილება, ესაა კომიტეტის წესდების სრულყოფა, მისი კონკრეტულობა განსაკუთრებით "პუბლიკაციასთან" მიმართებაში.

გაუგებრობები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, თუ კომიტეტი მეტი პრინციპულობით მიუდგებოდა ნაწარმოებთა ნომინაციებისადმი შესაბამისობის საკითხს. ხომ აჯობებდა, თუ ჩვენ ბ-ნ ნათან ბააზოვს, ამ დაუცხრომელ, მოღვაწე კაცს, რომელმაც 40 წლის მანძილზე ტიტანური შრომა გასწია, ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა 230 პოეტის 1111 ლექსი, ვეტყოდით, რომ არ არსებობს სახელმწიფო პრემიების ნომინაცია თარგმანში, მხოლოდ უცხო ენაზე "ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელი შეიძლება გახდეს ნომინანტი, ისიც კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილებით, დამატებითი პრემიების სახით.

შეიძლება, ნამუშევარი იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი, დიდი ეროვნული საქმე, მაგრამ არ შეესაბამებოდეს პრემიის არსს. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებამ ის უნდა აღნიშნოს სხვა, განსაკუთრებული წესით. კომიტეტს უფლება არა აქვს გადაუხვიოს წესდებას და იმუშაოს ავტორიტარულ-ფეოდალური პრინციპით.

არცთუ იშვიათად, ოპონენტები რაღაც ზეწოლაზე საუბრობენ, თითქოს კომიტეტი ვიღაცის დაკვეთას ასრულებს, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობა ყოვლისშემძლეა - ვისაც უნდა, იმას მისცემენ პრემიას. ეს ჩემი ყოფნის არცთუ მცირე დროის მანძილზე არ ყოფილა არავითარი ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან. თუ ასეთი რამ იყო კომიტეტის ხელმძღვანელობაზე, ხომ უნდა გამჟღავნებულიყო, სხვანაირად როგორ შეასრულებენ ისინი ამ "დაკვეთას". ასევე სრული კატეგორიულობით მინდა ვთქვა, არც ბ-ნი მურმან ლებანიძის დროს, არც ახლა, ბ-ნი ტარიელ ჭანტურიას პერიოდში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა მათი მხრიდან რომელიმე კანდიდატის ლობირებისა კულუარულ, ჩურჩულის დონეზე. საჯაროდ, კომიტეტზე, ყველას აქვს უფლება გამოთქვას თავისი აზრი, ვალდებულიცაა. კომიტეტის ხელმძღვანელებს, ისევე როგორც წევრებს, აქვთ ერთი ხმა და ისინი მხოლოდ ამ ხმის პატრონნი არიან. მეტი მათ არაფერი შეუძლიათ.

ზოგიერთი სვამს კითხვას: რამდენად სწორია, როდესაც "არაპროფესიონალები" (პირობითად), ვთქვათ, მწერალი და მსახიობი, განსჯიან არქიტექტორულ ნაწარმოებს, ან პირიქით, არქიტექტორმა უნდა შეაფასოს მწერლისა და კომპოზიტორის ნაღვაწი. ჩემი აზრით, ამაში შეუსაბამობა არ არის. რა თქმა უნდა, პოეტი მეორე პოეტის ლექსს სულ სხვა თვალით კითხულობს, ისევე როგორც კომპოზიტორი ისმენს მეორე კომპოზიტორის ნაწარმოებს განსხვავებულად, ვიდრე "არაპროფესიონალი", რადგან მათთვის ბევრი ნიუანსია ცნობილი, აბსურდია. სრული კატეგორიულობით შემიძლია ვთქვა, კომიტეტში რომელი ინტონაცია საიდან მოდის, ავტორისეულია თუ გავლენაა, და სხვა. მაგრამ არა მგონია, კომიტეტის რომელიმე წევრი შეცდეს ნაწარმოების მნიშვნელობის შეფასებაში. სამაგიეროდ "არაპროფესიონალს" ერთი უპირატესობა აქვს: იგი თავისუფალია "შიდასაცეხო," კულუარული, "საყოფაცხოვრებო" შეუთავსებელობისგან, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებისას.

ახლა კი მთავარზე, რამაც ეს წერილი დამაწერინა. გაზეთი "კალმასობის" დამატებაში "კრიტიკა" №1, რუბრიკით "რამდენიმე შეკითხვა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს", არის ინტერვიუები ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის წევრებთან. ბ-ნ ბიძინა კვერნაძესთან, ბ-ნ ჯუნა მიქატაძესთან და ჩემთან. გაზეთის გამოსვლამდე დაახლოებით ათი დღით ადრე დამირეკა ქალბატონმა გაზეთი "კალმასობიდან". გვარი არ უთქვამს. მეც არ ჩავძიებივარ - სოლიდური, ავტორიტეტული ორგანიზაციის გაზეთია. ხმის ჩამწერის ჩართვა აზრადაც არ მომსვლია. კითხვა: როგორ აფასებთ იმას, რომ გალაკტიონოლოგიის სამწიგნეულმა ვერ მიიღო სახელმწიფო პრემია? პასუხი: ძალიან სამწუხაროა, რომ გალაკტიონოლოგიის შესანიშნავმა სამტომეულმა ვერ მიიღო პრემია. ახლაც წინ მიდევს და განმეორებით ვკითხულობ, - ასე იყო ნათქვამი. ასეა გაზეთშიც. შემდეგ გამოტოვებულია არსებითი წინადადება, რომელსაც ქვემოთ აღვადგენ, გაზეთი კი აგრძელებს: ამდენი უსიამოვნების ატანა აღარ შემიძლია და კომისიიდან წამოვედი, ასე ხდებოდა შარშან, შარშანწინ... ძალიან ღირსეულები რჩებიან უპრემიოდ... მე კი ვთქვი: პრემიას იღებს 7 ნომინანტი, ხოლო ღირსეულები გაცილებით მეტია, ასე იყო შარშან, შარშანწინ... მე გარკვევით ვთქვი: გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ პრემიის მინიჭებას გარდაუვლად ახლავს ადამიანური უსიამოვნებები, გულისტკივილი, ასეთი განცდა აქვს თითოეულ წევრს, მე არ ვარ გამონაკლისი. კომიტეტის წევრობა არ არის იოლი და სასიამოვნო გასეირნება. აბა, ნაიკითხეთ 15-მდე წიგნი (ვერ იტყვი, რომ ყველა სიამოვნებას განიჭებს), ნახეთ ფილმები, ვიდეოფილმები, სპექტაკლები, ხშირად გაყინულ დარბაზებში, - ყველაფერი ეს დიდ დროს ითხოვს.

"რატომ ვერ მიიღო გალაკტიონის ოცნების სამწიგნეულმა სახელმწიფო პრემია"? - ვიზიარებ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების და პრესის შეფასებებს გალაკტიონოლოგიის სამტომეულზე, რომელიც "კრიტიკაშია" გამოქვენებული. ის მართლაც მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც ყოველი წიგნიერი ადამიანის მაგიდაზე უნდა იდოს. სამტომეული საინტერესოა არა მხოლოდ გალაკტიონის პოეზიის სხვადასხვა ასპექტის მაღალპროფესიული გაშუქებით, არამედ ფორმითაც. მოგახსენებთ ჩემს პირად მოსაზრებას იმის თაობაზე, რას შეეძლო გავლენა მოეხდინა კომიტეტის წევრ ერთ ნაწილზე, როცა "გალაკტიონოლოგიამ" ვერ დააგროვა საპრემიო ქულები. ვიცი, ეს უაღრესად საჩოთირო საქმეა, რადგან ასეთი "განმარტება" პირდაპირ ჩამრიცხავს ხმის არმიმცემთა კატეგორიაში. დე, იყოს ეს ჩემს ნამუსზე.

"გალაკტიონოლოგია" ავტორთა დიდი კოლექტივის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. ამგვარი ნამუშევარი უპრეცედენტო შემთხვევაა კომიტეტის პრაქტიკაში. პრემიაზე წარდგენილი იყო ბ-ნი გ.ბენაშვილი, - ინსტიტუტის დირექტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი, ბ-ნი თ. დოიაშვილი, რედაქტორი და ქ-ნი ნ. დარბაისელი, პასუხისმგებელი მდივანი. ისინი ასევე არიან სტატიების ავტორებიც. მათ უდიდესი შრომა გასწიეს. კომიტეტისთვის, ნამუშევრის მნიშვნელობასთან ერთად, აუცილებელია კონკრეტული ავტორი (ავტორები), შემოქმედებითი სახე (სახეები). ამ არაორდინარული შემთხვევისთვის უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა წარდგენის სხვა პრინციპი, მაგალითად, ისეთი, როგორსაც მიმართავენ შემოქმედებითი ანსამბლების შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც პრემიას ანიჭებენ ანსამბლსაც და მის წევრებსაც, რა თქმა უნდა, სათანადო ზომიერებით და მკაცრი შერჩევით. 1998 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა "ქართულ ხმებსა" და მის 11 წევრს, ხოლო 2001 წელს - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიურ ანსამბლ "რუსთავსა" და მის 8 წევრს. ეს ჩემი პირადი აზრია.

TV პროგრამა

1 მარტი

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "პატარა გაქცეული" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.30** პატრული **18.55** ხალხის პირისპირ **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "მინისქვეშეთი" (18) (კრისტოფერ ლამბერტი) **01.20** პატრული

TV5

1 მარტი **06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** მემარცხენათა ისტორია. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** საოჯახო ფოტოები. **12.15** კოკორიკო. ბატონი პულე. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟან რუში. **16.30** აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** დაკარგული წლები. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: წითელი ფარდა. **03.05** სამხრეთის ანარეკლი. ბურკინა ფასო. **04.20** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

8

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "მთვარის შვილები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "არქივი" - დოკ. ფილმი "წინანდალი" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ჰონგ-კონგი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -პრეისტ. ცხოველები **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"ვედმინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ქვის ხანის კოლუმბი" **23.00** პროფესიონალი - კოსმოსური ანტენა **23.30** მხ. ფილმი "ქარი" **01.10** საინფ. გამოშვება

მაესტრო

11.00 ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ალბატროსის ფრენა" (გ) **12.30** ტუწ-ემ **15.45** საქმე და ეკონომიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ახალი ჯან-კლოდი" (გ) **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განმ.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** დოკ. ფილმი "პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება **00.00** ფეხბურთი. "ბარსელონა"-"ესპანიოლი".

მეორე არხი

19.00 სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ზეციური სპილოს დაცემა" **21.45** სპექტაკლი "სახრჩობელაზედ" **22.30** კინოსეანსი "გადაღების ერთი დღე"

იმედი

06.55 "იმედის დილა" **07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ორი ბედი" **12.20, 17.10, 04.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.50** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "რომ გცოდნოდა" (ჯ. შეკი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილმი "ვიდოკი" (15) (ჟ. დეპარდიე) **01.20** მხ. ფილმი "უშიშარი" (15) (ო. მუტი) **02.45** გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

აჭარა

08.00 დილის გადაცემა **09.00** სერიალი "სამი და" (განმ.) **10.00** მუსიკა **10.30** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30, 14.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** კომედია "მამაკაცები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ" **13.20** მუსიკა **14.50** ბოევიკი "მინა-წყალი" **16.20** მულტფილმი **17.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **17.55** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" მე-2ნ. **19.30** სერიალი "სამი და" **21.05** დრამა "მაქსიმალური ექსტრიმი" **23.00** დოკ. ფილმი "ალექსანდრე" (პრემიერა) 1-ლი ნ. **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "დაბრუნება" **01.50** მუსიკა

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ПОТЕРЯВШИЕ СОЛНЦЕ". 11.10, 19.10** Сериал **"КЛОН". 12.20** Ким Бейсингер в фильме **"СВИДАНИЕ ВСЛЕПУЮ"**. **14.10** Спецрасследование. "Королевы красоты". **15.20** Док. детектив. "Покушение на Молотова". Дело 2003 г. **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.10** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 20.10** Док. фильм "Влад Листьев. Вспомнить все". **21.00** Время. **21.30** Сериал **"ПОТЕРЯВШИЕ СОЛНЦЕ". 22.30** Церемония вручения наград американской киноакадемии "Оскар-2005". Передача из Лос-Анджелеса. **00.20** Томми Ли Джонс в боевике **"КОСМИЧЕСКИЕ КОВБОИ"**. В 1958 году четверо лучших пилотов ВВС США из группы "Дедалус" - Фрэнк Корвин, Уильям Хоукинс, Джерри О'Нил и Тэнк Салливан готовились первыми покорить просторы космического пространства. Но в результате интриг их навсегда отстранили от полетов, а честь первой отправиться в космос досталась шимпанзе Мэри Энн. Сорок лет друзья находились в полном забвении. Но вот советская космическая станция, запущенная еще во времена холодной войны, сломалась и в любой момент может рухнуть на землю. У НАСА есть всего три недели, чтобы предотвратить катастрофу. На выполнение миссии спасения приглашают конструктора этой станции - Фрэнка Корвина. Он ставит условие: выводить спутник на орбиту он будет только вместе со своими тремя друзьями-астронавтами... **02.40** Что? Где? Когда? **04.00** Нэнси Трэвис в триллере **"КРАСНАЯ РОЗА". 1**-я серия. **05.05** Док. фильм "Чудо стволовой клетки.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ПОЕЗДКА В НЬЮ-ЙОРК". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Чистосердечное признание. **10.50** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5". 11.50** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 13.35** Иван Миколайчук в фильме **"ТЕНИ ЗАБЫТЫХ ПРЕДКОВ"**. С детства крепко дружили Иванко Палийчук и Мариччка Гутенюк, но враждовали их семьи, не давая благословения на законные узы. И пронесли они свою любовь через всю жизнь вопреки смерти, разделившей их на земле, но соединившей на небесах... **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"АДВОКАТ: ПРИЗНАНИЕ"**. Часть 1-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ТИХИЙ БЕРЕГ"**. Часть 2-я. **22.40** Сериал **"ЛЮБОВНЫЕ АВАНТЮРЫ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 01.25** Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ". 02.20** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II". 05.40** Чрезвычайное происшествие.

სახელი _____ მისამართი _____

გვარი _____

ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომერები _____

სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
- დაქორწინებული
- დაუქორწინებელი
- გაყრილი
- ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 აღრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 რომორ დახარჯავდით ჩვენ ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დაეხარჯავ არ მიიღება)

12 რომორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 რომორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩვენ ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩვენ ოჯახის წევრი არ შეგვიძლია საგანგებოდ კონკურსი "რუსული 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კრონპორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგეხმაროთ, "რუსული 2" ეძებს პრეზენტაციულ, თამაშ, მონაგებებანილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გკონდეთ ახლოს ზოგადი განათლება, შეშორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ამბავი ფეიერის გარეშეთ ბრალი ფეიერ

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, ფოტოზე ნათლადაა ფოტოსურათი, რომელზეც ფირფიტ თქვენ ხარ გადაღებული, ფოტო სახე გარეკვეთილ შეხა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უნდა მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული შეხა იქნა ერთ ორი წლის განმავლობაში.

სკანვორდი



ქალაქის მეზობელი მეინცერგა

ულამაზესი თეატრი

სალვადორ დალის ფეიერა

ძველი საბჭოთა სიტყვა

პირველი ასო ქართულში

ერთ-ერთი ფეოლოგი

ქალაქი საფრანგეთის სამხრეთ ქართულში

სპანური ქალდეური

დიდი თეატრი

თარიღი

VII თვე

თვის მეზობელი სალვადორ

სახელმწიფო აზრდაში

ბაბაევნოვის ასული

*** არაფერი ქეროლინა ლაბეთში

ბერლინის ლეიბერა ძვ. საბრალო რელიგიაში

ბარეთი - ქართულად

ერთ-ერთი ტვე თბილისში

თბილი შეხა

ისრაელის პარლამენტი

ელექტროენერგიის ეროსონაციი

ეიბერი თეთ

ეიბერის საბრალო

H_2O

ეროზიაკრეზი

"აღამიანი ამოდგომას" ავტორი

თბილ ბატალერი

ხმოვნის ჯვაელი

ბელიარდის საფეხელი ბრეზი

ეროვნული ბელადი

ბულგარეთის ფალეტა

ნიტა - ძველ ქართულად

ბარაბის მკელელი

ეროვნული ბელადი

ეროვნული ბერძენ-ბიზანტიელი

VI ნოხი

ნინა სკანვორდის პასუხები:

კარანდაში; ბალაუ; მატერიალიზმი; ბაი; კარა; ბეგასი; კუნცევო; გურუ; ორასი; კულაკობა; ამერი; მანეკენი; მინკუსი; ერგი; მანილა; მისალმება; დვორი; აერობიკა; დილა; ბორი; მითი; ქება; პიანინო; ამნისტია; ოინი; ფარსი; ფიტული; კლავიკორდი; აკვატორია; ატავიზმი; უზალთუნი; ტიარა; ქირურგია; ნიუკასლი; ასათიანი; ლინგვისტიკა; ლიტურგია.

ოსკარი-2004

საუკეთესო ფილმი:
"მილიონ დოლარიანი გოგონა" (კინოსტუდია "უორნერ ბროსი")
საუკეთესო რეჟისორი:
ქლინტ ისტვუდი - "მილიონ დოლარიანი გოგონა"
საუკეთესო მსახიობი მამაკაცი:
ჯეიმი ფოქსი - "რეი" (კინოსტუდია "უნივერსალი")
საუკეთესო მსახიობი ქალი:
ჰილარი სუენქი - "მილიონ დოლარიანი გოგონა"
საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობი მამაკაცი:
მორგან ფრიმენი - "მილიონ დოლარიანი გოგონა"
საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალი:
კეიტ ბლანშეტი - "ავიატორი" (კინოსტუდია "მირამაქსი")
საუკეთესო ორიგინალი სცენარი:
"უდარდელი გონების მუდმივი ნათება". სცენარი ჩარლი კაუფმანის.
საუკეთესო ადაპტირებული სცენარი:
"პირისპირ", სცენარი ალექსანდერ პეინი და ჯიმ ტეილორი (კინოსტუდია "ფოქს სერჩლაითი")
საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი:
"ზღვა შიგნით" (ესპანეთი)
საუკეთესო ანიმაციური ფილმი:
Incredibles - (დისტრიბუტორი "უოლტ დისნეი")

მარტინ სკორსეზე

ჯიზელი და ლეონარდო დი კაპრიო

საუკეთესო დოკუმენტური სურათი:
"ბორდელში დაბადებული"
საუკეთესო პარტიტურა:
"იპოვო ნევერლენდი" (იან კაჟმარეკი, კინოსტუდია "მირამაქსი")
საუკეთესო ორიგინალი სიმღერა:
Al Otro Lado Del Rio - ფილმიდან "მოტოციკლეტისტის დღიურები" (კინოსტუდია "ფოქუს ფიჩერზი")
საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი:
"ავიატორი", რობერტ რიჩარდსონი
საუკეთესო მხატვრული დადგმა:
"ავიატორი", დანტე ფერეტი, ფრანჩესკა ლო შიავო
საუკეთესო მაკიაჟი:
"ლემონი სნიკეტსის უიღბლო თავგადასავლების სერია", ვალი ო`რილი, ბილ კორსო (კინოსტუდია "პარამაუნტი")
საუკეთესო კოსტიუმების დიზაინი:
"ავიატორი", სენდი პაუელი
საუკეთესო კინომონტაჟი:
"ავიატორი", ტელმა შუნმეიქერი
საუკეთესო ვიზუალური ეფექტები:
"კაცი-ობობა 2", ჯონ დიკსტრა (კინოსტუდია "ქოლამბია ფიქჩერზი")
საუკეთესო ანიმაციური მოკლემეტრაჟიანი ფილმი:
"რაიანი"
საუკეთესო ბგერის მიქსი:
"რეი", სკოტ მილანი
საუკეთესო ბგერის მონტაჟი:
Incredibles, მაიკლ სილვერსი, რენდი ტომი
საუკეთესო დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი:
"ძლიერი დროება: ბავშვების მარში"

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) ვინვეთი ხარისხის მოსაპოვებლად შესდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ლორდშანიანობაშია თავმოყრილი. პროგრამები მაგალითის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ოქტომბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 4 აპრილი.

MBA MSc
ფინანსები / ფინანსები / IT
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია
სრული კურსის ფასი £4550
ხანგრძლივობა 16.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში მაგალითის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დამყარებული კურსის - BA (Hons) მილიონი ღირებულებაა £ 6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად
იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მესხეთის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284 მობ. 877-423569
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

რადიკალური ცვლილება

ცნობილი ჯგუფი Korn მოულოდნელად დატოვა გიტარისტმა ბრაიან უელშმა. ეს გადაწყვეტილება თავად მუსიკოსმა ასე ახსნა: ეს არის გონების განათების შედეგი, რამაც ცხოვრების რადიკალური ცვლილებისკენ უბიძგა. როგორც თავად ამბობს, ბრაიანმა, უბრალოდ, გაიაზრა, რომ აქამდე თავისი ცხოვრება სისულელეებს შეალია და რომ შეუძლია, გაცილებით სერიოზულ საქმეს მოჰკიდოს ხელი. მაგალითად, ღვთისმსახურებას. უელშის თქმით, კოლეგებთან ის შეინარჩუნებს მეგობრობას და ამტკიცებს, რომ მეგობრებს უხარიათ მისი გადაწყვეტილება. უელში თავისი სულიერი განახლების შესახებ მოგვიანებით საჯაროდ ისაუბრებს. ახლა კი აპირებს მივიდეს ერთ-ერთ ეკლესიაში და გადაწყვიტოს, როგორ გააგრძელებს ცხოვრებას.

რაც შეეხება Korn-ს, მუსიკოსები აგრძელებენ მუშაობას მორიგ სტუდიურ ალბომზე; ჩანაწერი სექტემბერში იქნება მზად. ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის ჯგუფში უელშს.

რობი ვოკულარულებთან თანამშრომლობს

პოპულარული ნიუ იორკული ჯგუფი Scissor Sisters უფრო და უფრო მოდური ხდება. ბიჭებმა ვერც კი მოასწრეს დაესრულებინათ ერთობლივ ჩანაწერზე მუშაობა კაილი მინოუგისთან, რომ მათთან თანამშრომლობა რობი უილიამსმა მოისურვა. მოკლედ, მუსიკოსები შეთანხმდნენ, რომ Scissor Sisters მონაწილეობას მიიღებს რობის ახალი ალბომის ერთ-ერთი სიმღერის ჩაწერაში. როგორც ირკვევა, უილიამსის ეს ნამუშევარი დუეტებისგან იქნება შემდგარი. ჯერეჯრობით არ ხმაურდება სხვა მუსიკოსების ვინაობა, ვისთანაც პოპულარულმა ბრიტანელმა ისურვა მუშაობა.

რობი უილიამსი

დარტყმა შავ ბაზარზე

ჰოლივუდის მსხვილი კინოსტუდიების გაერთიანებამ ქსელის მეკობრეების წინააღმდეგ ახალი ბრძოლა წამოიწყო. "სი-ენენის" ინფორმაციით, ინტერნეტ-მოვაჭრეები არალეგალური სატელევიზიო პროგრამებისა და ფილმების ასლების გავრცელებულ ყოველ ფაილზე 150 ათასი ამერიკული დოლარით დაჯარიმდებიან.

კინომწარმოებელთა ამერიკული ორგანიზაცია MPAA სარგებლობს "ოსკარების" დაჯილდოების ცერემონიალის ირგვლივ არსებული აჟიოტაჟით, რათა კიდევ ერთხელ მიაპყროს საზოგადოების ყურადღება მილიარდობით ზარალზე, რასაც შავი ბაზარი აყენებს მათ. სტუდიების წარმომადგენელთა მტკიცებით, მათი დანაკარგი ყოველწლიურად ვიდეო და ციფრული ვიდეოკასეტების მეკობრული გავრცელების გამო, 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამასთან ერთად, MPAA იუწყება, რომ ინტერნეტში უკვე გაჩნდა წლევანდელ "ოსკარებზე" ნომინირებული ფილმების არალეგალური ასლები. ასოციაციამ ამ ეტაპზე არ დააზუსტა, რამდენ სარჩელს შეიტანს სასამართლოში.

რა ემუქრება სან-რემოს ფესტივალს

შეუშლის თუ არა ხელს რომის პაპის ავადმყოფობა იტალიაში ცნობილი პოპ-მუსიკის ფესტივალის გამართვას, ჯერჯერობით უცნობია. იტალიურ ტელეკომპანია "რაის" ხელმძღვანელობა ამჟამად ფესტივალის გადატანაზე ფიქრობს.

პოპულარული მუსიკის ფესტივალი დაგეგმილი იყო 1-დან 5 მარტამდე. მას შემდეგ, რაც 84 წლის პაპი საავადმყოფოში მიიყვანეს, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში შეიკრიბნენ და იმსჯელეს, როგორ მოქცეულიყვნენ. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღიათ. ყველა შემთხვევაში, ფესტივალი პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. და კიდევ ერთი დეტალი ფესტივალთან დაკავშირებით: დღემდე არ არის გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა სან-რემოს ფესტივალში მონაწილეობას სკანდალური მოკრივე მაიკ ტაისონი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ყველა ტერიტორიულ ორგანოში გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებულ ტესტირების განრიგს

ყველა კონკურსანტი, რომლებიც გადიან ტესტირებას უნდა გამოცხადდნენ ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში (მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N3) მათთვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით შემდეგ დღეებში:

13 მარტი

9:00-სთ - N1-დან - N600 -ის ჩათვლით;
14:00-სთ - N601-დან - N1200-ის ჩათვლით;

19 მარტი

9:00-სთ - N1201-დან - N 1844-ის ჩათვლით;
14:00-სთ - N1845-დან - N2488-ის ჩათვლით;

20 მარტი

9:00-სთ - N 2501-დან - N3216-ის ჩათვლით;
14:00-სთ - N3501-დან - N4680-ის ჩათვლით;

საგამოცდო კომისია გაფრთხილებთ!

■ კონკურსანტებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ბარათი;

■ მობილური ტელეფონებით გამოცხადებული კონკურსანტები გამოცდაზე არ დაიშვებიან;

■ დაგვიანებული კონკუსანტები ტესტირებაზე არ დაიშვებიან.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდზე
www. justice.gov.ge
ტელ: 75 82 93

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.